ზოგადი განათლების ვაუჩერული დაფინანსების ეფექტურობის კვლევა თანასწორობის კონტექსტში

კვლევის ანგარიში

თბილისი
2014

კვლევა მომზადდა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის მიერ აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) პროგრამის „საქართველოში საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება“ (G-PAC) ფარგლებში. კვლევის ჩატარება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერის შედეგად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით.

The research is implemented by the Centre for Civil Integration and Inter-Ethnic Relations (CCIIR) in the framework of The East-West Management Institute's (EWMI) Policy, Advocacy, and Civil Society Development in Georgia (G-PAC) Program, funded by United States Agency for International Development (USAID). The study is made possible by the generous support of the American people through the USAID.

კვლევის დოკუმენტი შინაარსზე მთლიანად პასუხისმგებელია სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი. ის შესაძლოა არ გამოხატავდეს USAID-ის, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ან EWMI-ის შეხედულებებს.

The content is the responsibility of Centre for Civil Integration and Inter-Ethnic Relations and do not necessarily reflect the view of USAID, the United States Government, or EWMI.

ISBN: 978-9941-0-6994-9

სარჩევი

თავი 1:
შესავალი/ განათლების დაფინანსების და ვაუჩერული დაფინანსების სისტემის მიმოხილვა საქართველოში 4

თავი 2:
კვლევის მეთოდოლოგია 23

თავი 3:
სამაგიდე კვლევის შედეგები/ თანასწორობა და სოციალური ინტეგრაცია 29

თავი 4:
სამაგიდე კვლევის შედეგები/ ეფექტიანობა და კონკურენცია/ მართვისა და ხარჯების ოპტიმიზაცია 42

თავი 5:
სამაგიდე კვლევის შედეგები/ სკოლის არჩევანის თავისუფლება 55

თავი 6:
კვლევის შედეგები/კერძო სკოლების დაფინანსების ეფექტურობა 58

თავი 7:
კვლევის შედეგები/დირექტორთა გამოკითხვა 66

თავი 8:
რეკომენდაციები პოლიტიკის გასაუმჯობესებლად 97

ბიბლიოგრაფია 101

ცხრილები და დიაგრამები 103

დანართები 107

თავი 1.
შესავალი

1.1. ვაუჩერული დაფინანსების სისტემა

1956 წელს ფრიდმანის მიერ გამოთქმული ერთი შეხედვით უტოპიური იდეა სკოლების ვაუჩერული დაფინანსების შესახებ ძალიან მალე რეალობად იქცა და არაერთ ქვეყანაში ზოგადი განათლების ვაუჩერული დაფინანსების სისტემა სხვადასხვა ფორმატით, ფორმითა და შინაარსით იქნა შემოღებული. ფრიდმანი მიიჩნევდა, რომ ვაუჩერული დაფინანსება გახლდათ ეფექტური მექანიზმი სკოლებში განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, სკოლებზე გაწეული ხარჯების ეფექტურობის გასაკონტროლებლად და სასკოლო განათლების მიღების პრივატიზაციისთვის (ფრიდმანი, 1962).

ფრიდმანის მიერ შემოთავაზებულ ვაუჩერული დაფინანსების სისტემას ჰყავს როგორც უპირობო მხარდამჭერები, აგრეთვე მოწინააღმდეგეთა და კრიტიკოსთა დიდი არმია (კარნოი, 1998, გვ. 309).

განათლების პრივატიზაციის მსოფლიოში აღიარებული მკვლევრები (ბელფილდი და ლევინი) ზოგადი განათლების ვაუჩერული დაფინანსების სისტემის შესახებ არსებულ პოლემიკას ოთხ კატეგორიად აყალიბებენ და მიიჩნევენ, რომ რეალურად პოლემიკა სწორედ ამ ოთხი მიმართულებით მიმდინარეობს:

(1) სკოლის არჩევანის თავისუფლება;

(2) ეფექტიანობა;

(3) თანასწორობა;

(4) სოციალური ინტეგრაცია.

ოთხივე ამ მიმართულებას, რა თქმა უნდა, გააჩნია ურთიერთგადაკვეთის წერტილებიც.

ფრიდმანის იდეის მხარდამჭერებისთვის 1993 წელს მთავარი არგუმენტი არჩევანის თავისუფლება გახლდათ. ისინი მიიჩნევდნენ, რომ სკოლების ვაუჩერული დაფინანსების სისტემა იძლეოდა შესაძლებლობას, რომ მშობლებს მისცემოდათ სკოლის არჩევანის რეალური შანსი, ანუ, ვაუჩერული დაფინანსების პირობებში სკოლები აირჩევდნენ სწორედ იმ სკოლას, რომელიც უკეთესად დააკმაყოფილებდა მათი შვილების საგანამანათლებლო საჭიროებებს და სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ ვაუჩერს მიიტანდნენ მათ მიერ შერჩეულ სკოლაში. სწორედ მშობლების მიერ სკოლის არჩევანის თავისუფლება გახლდათ დაფინანსების ვაუჩერული სისტემის მხარდაჭერის თავდაპირველი მოტივი და არგუმენტი.

სკოლის არჩევანის თავისუფლების კონტექსტში ამ იდეის მხარდამჭერები მიუთითებდნენ თანასწორობის საკითხებზეც და თვლიდნენ, რომ სწორედ ვაუჩერული დაფინანსება უზრუნველყოფს საზოგადოებრივი რესურსის თანასწორად გადანაწილებას სხვადასხვა სოციალურ ფენაში და ამ ფენის წარმომადგენლებს აძლევს განათლების მიღების თანაბარ შესაძლებლობას (კარნოი, 1998).

სკოლის არჩევანის თავისუფლების კონტექსტში ვაუჩერული დაფინანსების სისტემას უამრავი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა; ისინი მიიჩნევდნენ, რომ ეს არჩევანი ყოველთვის შეზღუდული იქნება ორი მნიშვნელოვანი ფაქტორის გამო:

(ა) ტერიტორიული მდებარეობა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მათ შორის ტრანსპორტირების პრობლემა;

(ბ) ინფორმაციის ფლობის განსხვავებული დონე (კარნოი, 1998, გვ. 311).

ამავე კონტექსტში ნეჩიბა (1996) ხაზს უსვამს, რომ ვაუჩერული დაფინანსება ვერ მოიტანს სასურველ შედეგს ხარისხიანი განათლების მიღების თვალსაზრისითაც, რადგან კერძო სკოლები, საკუთარი გადასახადიდან გამომდინარე, ისევ მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მოსწავლეების რეკრუტირებას მოახდენენ.

ვაუჩერული დაფინანსების შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კატეგორიად ითვლება სისტემის ეფექტიანობა. ამ თვალსაზრისით ვაუჩერული დაფინანსების მომხრეები თვლიან, რომ, ერთი მხრივ, შესაძლებელი ხდება კერძო სექტორის განვითარება, რომლის მიერ მიწოდებული განათლების სერვისი ხარისხიანია და, მეორე მხრივ, კონკურენცია იზრდება როგორც კერძო და საჯარო სკოლებს შორის, ასევე საჯარო სკოლებს შიგნით და სკოლები იძულებულნი არიან იყვნენ უფრო ეფექტიანები როგორც თანხების ხარჯვისა და მართვის, ისე სწავლების ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისითაც. თუმცა ამ მოსაზრებასაც, რა თქმა უნდა, ჰყავს უამრავი ოპონენტი და მათი უმრავლესობის არგუმენტია, რომ კერძო სკოლების მომსახურება ხელმიუწვდომელია დაბალი სოციალური ფენებისთვის და, შესაბამისად, ეს პროცესი ხელს არ უწყობს სოციალურ თანასწორობას.

აღნიშნული კვლევის მიზანია საქართველოში ვაუჩერული დაფინანსების სისტემა განიხილოს სწორედ თანაბარი საგანამანათლებლო შესაძლებლობების და თანასწორობის კონტექსტში. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ თანაბარი საგანამანათლებლო შესაძლებლობების განმარტებაც და ინტერპრეტირებაც განსხვავებულად შეიძლება იქნას გააზრებული.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა თანაბარი საგანამანათლებლო შესაძლებლობების 4 ძირითად განმარტებას ეფუძნება. თითოეულ ამ განმარტებას საკუთარი დასაბუთება გააჩნია, თუმცა ამავე დროს თითოეული არგუმენტაციის საწინააღმდეგოდ სათანადო კონტრარგუმენტებიც ჩნდება.

თანაბარი საგანამანათლებლო შესაძლებლობების შექმნის პირველი განმარტება გულისხმობს საგანმანათლებლო რესურსების თანაბრად გადანაწილებას ყველა მოსწავლისათვის (ბრიგჰაუსი, 1996).

მეორე განმარტების მიხედვით თანაბარი საგანამანათლებლო შესაძლებლობები გულისხმობს ერთნაირი შედეგის მიღწევას სასკოლო განათლების ფარგლებში.

მესამე განმარტება ეფუძნება თანაბარი შესაძლებლობების ზოგად პრინციპს, რაც გულისხმობს იმას, რომ „მათ, ვისაც გააჩნიათ ერთნაირი ტალანტი, უნარები და სურვილი ამ ტალანტის და უნარების გამოსაყენებლად, უნდა ჰქონდეთ წარმატების თანაბარი შესაძლებლობები და პერსპექტივები, მიუხედავად მათი სოციალური სტატუსისა და მდგომარეობისა“ (ჯონ რაულსი, 1971). საგანმანათლებლო სივრცეში ამ პრინციპის გადმოტანა გულისხმობს, რომ სწავლის ერთნაირი უნარებისა და სურვილის მქონე

მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ წარმატების მიღწევის ერთნაირი შანსი, მიუხედავად მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და სტატუსისა (ბრიგჰაუსი, 1996).

თანაბარი საგანამანათლებლო შესაძლებლობების მეოთხე მიდგომა გულისხმობს საჭიროებებზე დაფუძნებულ მიდგომას, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ, საჭიროებებიდან გამომდინარე, უნდა გადაანაწილოს არსებული რესურსი და მისცეს მეტი მას, ვისაც ამის მეტი საჭიროება გააჩნია.

თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობების ინტერპრეტირების მრავალფეროვნება ართულებს არსებული სისტემის შეფასებას, რადგან ერთი ინტერპრეტაციით გაკეთებული შეფასება ვერანაირად ვერ ასახავს განათლების თანაბარი შესაძლებლობების განსხვავებული ინტერპრეტაციით შეფასებას. მიუხედავად ამისა, საქართველოში არსებული ვითარების შესწავლა გარკვეული შეფასებების საშუალებას იძლევა. შევეცდებით გავაანალიზოთ კვლევის ფარგლებში არსებული სისტემის ეფექტურობა და ხარვეზები და, შესაბამისად, შევიმუშაოთ გამოსწორების გზებსა და, საერთოდ, მათ დახვეწასთან დაკავშირებით სათანადო რეკომენდაციები.

1.2. ზოგადი განათლების სისტემა საქართველოში

საქართველოს განათლების სისტემა მოიცავს სკოლამდელ, ზოგადი და უმაღლესი განათლების საფეხურებს, აგრეთვე პროფესიული განათლების და ტრენინგების კომპონენტს.

ზოგადი განათლების სისტემა, თავის მხრივ, სამ საფეხურად იყოფა:

(1) დაწყებითი განათლება, რომელიც მოიცავს I-VI კლასებს;

(2) საბაზისო განათლება, რომელიც მოიცავს VII-IX კლასებს და

(3) საშუალო განათლება X-XII კლასები.

ამჟამინდელი განათლების სისტემა ეფუძნება 2005 წლის აპრილში მიღებულ კანონს „ზოგადი განათლების შესახებ“. ზოგადი განათლების შესახებ კანონში გაწერილია მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების უფლებები და თავისუფლებები. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, სკოლები, წარმოადგენენ საჯარო სამართლის დამოუკიდებელ იურიდიულ პირს.

საქართველოს განათლების სისტემაში 2084 საჯარო და 243 კერძო სკოლა ფუნქციონირებს, მოსწავლეთა რაოდენობა კი არის დაახლოებით 550 000. საქართველოს მთავრობა ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობები ყველა მოსწავლისათვის (ტაბატაძე, გორგაძე, 2014).

საქართველოს ზოგადი განათლების დაფინანსების განხილვამდე ალბათ მნიშვნელოვანია მიმოვიხილოთ საქართველოს განათლების სისტემის ზოგიერთი მახასიათებელი, რომელიც გავლენას ახდენს სკოლების დაფინანსების ფორმულასა და მოცულობაზე. საქართველოს სკოლების გადანაწილება რეგიონებისა და სკოლის სიდიდის მიხედვით ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სკოლის სიდიდე წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს სკოლების დასაფინანსებლად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია აღნიშნული მიმართულებით.

ცხრილი 1. სკოლები რეგიონების მიხედვით მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად.
ცხრილი შედგენილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ბაზის მიხედვით

რეგიონი/ მოსწავლეები	**1-5**	**6-10**	**11-15**	**16-20**	**21-25**	**26-30t**	**31-35**	**36-40**	**41-50**	**51-100**	**101-200**	**201-300**	**301-400**	**401-500**	**501-600**	**601-700**	**701-800**	**801-900**	**901-1000**	**1001 და მეტი**	**სულ**
აფხაზეთი					1					2	7	5									**15**
აჭარა	1	1	3	4	4	8	8	11	13	53	74	25	15	10	9		2	1	3	9	**254**
გურია			2	1	2	2	2	3	7	31	28	10	4	5	2	1		1			**101**
თბილისი			1	1	3		1	1	5	17	40	37	20	13	25	24	24	18	17	44	**291**
იმერეთი	2	6	7	9	10	13	14	4	16	80	140	32	22	8	15	3	10	5	4	2	**402**
კახეთი	1	1		1		3	2	3	5	25	60	42	25	8	7	4	1	2	1	1	**192**
მცხეთა-თიანეთი	2	4	3	2	3	3	1	2	7	32	13	7	2	4	1	1	1	1			**89**
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	1	9	5	5	8		4	3	8	17	2	3		1							**66**
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1	1	3	3	4	3	4	9	12	63	95	27	16	4	5	2	3	2	1	3	**261**
სამცხე-ჯავახეთი		2	5	6	5	6	10	9	14	60	53	21	6	4	1			1	1	1	**205**
ქვემო ქართლი	1	2	2	4	5	5	4	6	10	56	65	35	20	20	7	7	4	4	6	5	**268**
შიდა ქართლი			2	2	1	2	2	3	8	39	39	29	17	9	9	3	1	1	2	1	**170**
სულ:	**9**	**26**	**33**	**38**	**46**	**45**	**52**	**54**	**105**	**475**	**616**	**273**	**147**	**86**	**81**	**45**	**46**	**36**	**35**	**66**	**2314**

საქართველოში საჯარო სკოლები განსხვავდებიან სწავლების ენის თვალსაზრისით. საქართველოში წარმოდგენილია ქართულენოვანი, სომხურენოვანი და რუსულენოვანი სკოლები. მნიშვნელოვანია, რომ არაქართულენოვანი სკოლების კონცენტრაცია საქართველოს მხოლოდ 3 რეგიონშია. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ სწავლების ენა განსაზღვრავს მოსწავლის ზოგადი განათლების დაფინანსების ოდენობას. არაქართულენოვანი სკოლების რაოდენობა და გადანაწილება რეგიონების მიხედვით შედეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 2. არაქართულენოვანი სკოლები რეგიონების მიხედვით, 2013

რეგიონი	**აზერბაიჯანული**	**რუსული**	**სომხური**	**სულ**
თბილისი	1	2	1	4
კახეთი	4	1		5
სამცხე-ჯავახეთი		4	96	100
ქვემო ქართლი	80	4	20	104
სულ	**85**	**11**	**117**	**213**

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2013.

არაქართულენოვანი სკოლების გარდა საქართველოში ფუნქციონირებს სკოლები, რომლებსაც სწავლების ენის მიხედვით სკოლის შიგნით რამდენიმეენოვანი სექტორი აქვთ. სექტორები აგრეთვე მნიშვნელოვან როლს თამაშობს სკოლების დაფინანსებაში. ამ თვალსაზრისით საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში სექტორების რაოდენობა შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 3. არაქართულენოვანი სექტორები რეგიონების მიხედვით

რეგიონი	ქართული, აზერბაიჯანული	ქართული, რუსული	ქართული, რუსული, აზერბაიჯანული	ქართული, რუსული, სომხური	ქართული, სომხური	სულ
აჭარა		6			1	7
თბილისი	1	9	1	5		16
იმერეთი		1				1
კახეთი	6	3			1	10
სამეგრელო-ზემო სვანეთი		3				3
სამცხე-ჯავახეთი		1		2	5	8
ქვემო ქართლი	21	8	2		1	32
სულ	**28**	**31**	**3**	**7**	**8**	**77**

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტრო, 2014.

სკოლების დაფინანსებისთვის მნიშვნელოვანია სკოლების გეოგრაფიული განსახლება, რადგან ეს ფაქტორი სკოლების დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტია. გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით სკოლები იყოფა ქალაქის, სოფლისა და მთის სკოლებად. აღნიშნული თვალსაზრისით სკოლების გადანაწილება შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 4. სკოლები გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით (ცხრილი შედგენილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული ბაზის მიხედვით)

გეოგრაფიული მდებარეობა	საჯარო სკოლების რაოდენობა	მოსწავლეთა რაოდენობა	მასწავლებლების რაოდენობა	მოსწავლე-მასწავლებლის შეფარდება
სოფელი	1021	159826	25560	1/6,3
ქალაქი	470	290470	22344	1/13
მთა	591	50550	12120	1/4,1
სულ	**2082**	**500846**	**60024**	**1/8.5**

1.3. განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება საქართველოში

განათლების სფერო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის. ამასთანავე, ეს სფერო ერთ-ერთი უდიდესია. საქართველოში დაქირავებით მომუშავეთა რიცხოვნება 806 000 ადამიანს შეადგენს. დასაქმებულთაგან ყველაზე დიდი რაოდენობა სწორედ განათლების სექტორშია დასაქმებული; ამ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობა 155 400 ადამიანს შეადგენს (საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი), რაც დაქირავებით დასაქმებულთა საერთო რაოდენობის 19,28%-ია.

მიუხედავად დასაქმებულთა დიდი რაოდენობისა, მათი ხელფასები ყველაზე დაბალია სხვა სექტორთან შედარებით. 2014 წლის საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, განათლების სფეროში დასაქმებულთა საშუალო ანაზღაურება 426,10 ლარს შეადგენს. აღნიშნული ტენდენცია ნათლად არის წარმოდგენილი ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ცხრილი 5. საქართველოს ეროვნული მეურნეობის სხვადასხვა დარგში საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება

2014 წლის I კვარტალი		
საქმიანობის სახე, NACE rev.1.1-ის მიხედვით	დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნება*, ათასი კაცი	საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, ლარი
საფინანსო საქმიანობა	29.2	1,744.80
სახელმწიფო მმართველობა	106	1,190.30
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	53.5	1,093.20
მშენებლობა	41.8	982.2
ელექტროენერგიის, აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	22.3	950.6

2014 წლის I კვარტალი		
საქმიანობის სახე, NACE rev.1.1-ის მიხედვით	დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნება*, ათასი კაცი	საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, ლარი
სამთომოპოვებითი მრეწველობა	5.3	879.8
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	63.3	833.6
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	105.1	705
დამამუშავებელი მრეწველობა	74.8	702.3
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	53.1	673.5
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება***	65.5	647.2
თევზჭერა, მეთევზეობა	0.3	526.3
სოფლის მეურნეობა. ნადირობა და სატყეო მეურნეობა	8.5	495.5
სასტუმროები და რესტორნები	22.1	485.4
განათლება**	155.4	426.1

*გაანგარიშებულია დაკავებული სამუშაო ადგილების მიხედვით.

**მოიცავს სახელმწიფო დაკერძო სასწავლო დაწესებულებს (სკოლამდელ, დაწყებით, საშუალო, პროფესიულ და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს; საბავშვო სამუსიკო, სამხატვრო და ქორეოგრაფიულ სკოლებს, სამხატვრო აღზრდის სახლებს და სხვა განათლების დაწესებულებებს, რომლებიც არ ექვემდებარება საფეხურების მიხედვით დაყოფას).
განათლების სამინისტროში დასაქმებულთა რიცხოვნება ჩართულია „სახელმწიფო მმართველობის“ (L) სექციაში.

***მოიცავს როგორც სამეწარმეო (ბიზნესსექტორი), ისე არასამეწარმეო სფეროს სახელმწიფო და კერძო ჯანდაცვის დაწესებულებებს (ფართო პროფილის და სპეციალიზებულ საავადმყოფოებს, სტომატოლოგიურ კაბინეტებს, ვეტერინალურ საქმიანობას და ა. შ,), ასევე სოციალური დახმარებით დაკავებულ დაწესებულებებს.

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური/ნანახია ჟურნალ ლიბერალის ვებგვერდზე

აღნიშნული ტენდენცია მხოლოდ დღევანდელ ვითარებას როდი წარმოადგენს, არამედ იგი უკვე დიდი ხანია საქართველოს მოსახლეობის დასაქმებისა და ანაზღაურების ზოგადი მაჩვენებელია განათლების სფეროში. ქვემოთ გთავაზობთ 2000-2010 წლებში განათლების სფეროში დასაქმებულთა ხელფასების შედარებას იმავე წლებში ხელფასების ეროვნული მეურნეობის საშუალო მაჩვენებელთან. დასაქმებულთა საშუალო ხელფასი ეროვნულ ეკონომიკაში დასაქმებულთა საშუალო ხელფასს ორჯერ ჩამორჩება და მიუხედავად ხმამაღალი დეკლარირებისა განათლების სფეროს პრიორიტეტულობის შესახებ, არსებითი გარდატეხა ამ მიმართულებით არ მომხდარა.

ცხრილი 6. საშუალო თვიური ხელფასი განათლების სფეროში 2000-2010 წლებში, იოსებ არჩვაძე, 2010 (ლარი)

წელი	საშუალოდ ეროვნული მეურნეობა	მათ შორის განათლების სფერო	განათლება თ საშუალო მაჩვენებელთან
2000	72.6	45.5	62.7
2001	94.6	45.5	48.1
2002	113.5	56.5	49.8
2003	125.9	68.5	54.4
2004	156.6	88.7	56.6
2005	204.2	92.5	45.3
2006	277.9	122.1	43.9
2007	368.1	152.2	41.3
2008	534.9	245.1	45.8
2009	572.5	270.8	47.3
2010 (პირველი ნახევარი)	581.8	296.8	51.0

განათლების სფეროში დასაქმებულთა დაბალი ხელფასი წარმოადგენს ანარეკლს მთლიანად სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებაზე (იგულისხმება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი) გაღებული სახსრების მოცულობის თანაფარდობისა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტთან და სახელმწიფო ბიუჯეტთან. სახელმწიფო ბიუჯეტში განათლების სფეროს დაფინანსების წილი 2008-2014 წლებში ასეთია:

ცხრილი 7. განათლების სფეროს დაფინანსების წილი 2008-2014 (ცხრილი შედგენილია იოსებ არჩვაძის (2010) და საქართველოს მთავრობის მონაცემებზე დაყრდნობით), (მლნ. ლარი)

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
ხარჯები - სულ	458.3	519.4	561.7	552.5	627.3	673.2	754.3
სახელმწიფო ბიუჯეტის მთელ ასიგნებებთან, პროცენტი	6.8	7.2	7.9	7.4.	8.0	7.7	8.3

როგორც ცხრილიდან ჩანს, განათლების სფეროს დაფინანსების ხვედრითი წილი საქართველოს ბიუჯეტში 2008-2014 წლებში 6,8%-დან-8,3%-მდე მერყეობს. ეს მაჩვენებელი კი გაცილებით დაბალია ევროკავშირის ქვეყნების მაჩვენებელთან შედარებით, რომელთან ინტეგრაციას (მათ შორის საგანმანათლებლო ინტეგრაციასაც) ესწრაფვის საქართველო. ქვემოთ გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც თვალნათლივ არის ასახული სახელმწიფოს ბიუჯეტიდან განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების ხვედრითი წილი ევროპულ სახელმწიფოებში.

ცხრილი 8. სახელმწიფო ხარჯების წილი განათლებაზე ევროკავშირში, ნორვეგიასა და საქართველოში 2008 წელს(პროცენტობით), იოსებ არჩვაძე, 2010

ქვეყანა	მთლიან შიდა პროდუქტში	სახელმწიფო ბიუჯეტში
ევროკავშირი (EU-27)– საშუალოდ	**5.2**	**11.1**
ბელგია	5.9	11.8
ბულგარეთი	4.2	11.3
ჩეხეთი	4.7	11.0
დანია	7.0	13.5
გერმანია	3.9	8.9
ესტონეთი	6.7	16.8
ირლანდია	5.3	12.6
საბერძნეთი	3.1	6.4
ესპანეთი	4.6	11.2
საფრანგეთი	5.8	11.0
იტალია	4.6	9.4
კვიპროსი	7.8	18.3
ლატვია	6.5	16.8
ლიტვა	5.8	15.5
ლუქსემბურგი	4.4	11.8
უნგრეთი	5.2	10.6
მალტა	5.5	12.2
ნიდერლანდები	5.2	11.3
ავსტრია	5.3	10.8
პოლონეთი	5.8	13.4
პორტუგალია	6.0	13.0
რუმინეთი	4.8	12.8
სლოვენია	6.2	14.0
სლოვაკეთი	3.3	9.5
ფინეთი	5.9	11.9
შვედეთი	6.9	13.0
გაერთიანებული სამეფო	6.3	13.3
ნორვეგია	5.2	13.0
საქართველო	**2.4**	**6.8**

საინტერესოა განათლებისა და მეცნიერების სფეროს დაფინანსების ხვედრითი წილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით 2008-2014 წლებში. ქვემოთ ცხრილის სახით წარმოდგენილია აღნიშნული მონაცემები:

ცხრილი 9. განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების ხვედრითი წილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით 2008-2014 (მლნ. ლარი)

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014 დაგეგმილი
მთლიანი შიდა პროდუქტი	19 074,9	17 986.0	20 743.4	24 344.0	26 167.3	26 824.9	29 000.0
განათლებისა და მეცნიერების ბიუჯეტი	458.3	519.4	561.7	552.5	627.3	673.2	754.3
განათლების სახელწიფო ბიუჯეტის ხარჯები მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდებით	2.4	2.9	2.7	2.2.	2.4	2.5	2.6

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, 2014.

წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, რომ მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განათლებისა და მეცნიერების სფეროში მერყეობს 2,2%-დან 2,9%-მდე. აღნიშნული მაჩვენებელიც მკვეთრად ჩამორჩება როგორც ევროკავშირის ქვეყნების (იხილეთ ცხრილები ქვემოთ), ისე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს.

ცხრილი 10. განათლების საბიუჯეტო ხარჯების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან ევროკავშირის ქვეყნებში 2009-2013

	2009	2010	2011	2012	2013
ავსტრია	6	5.9	5.8		
ბელგია	6.6	6.6	6.5		
ბულგარეთი	4.6	4.1			
ხორვატია	4.4	4.3			
კვიპროსი	7.9	7.3			
ჩეხეთი	4.4	4.2	4.5		
დანია	8.7				
ესტონეთი	6	5.7	5.2		
ინგლისი	6.8	6.8	6.8		
საფრანგეთი	5.9	5.9	5.7		
გერმანია	5.1	5.1			
საბერძნეთი					
უნგრეთი	5.1	4.9	4.7		
ირლანდია	6.4	6.4	6.2		
იტალია	4.7	4.5	4.3		
ლატვია	5.6	5	4.9		

	2009	2010	2011	2012	2013
ლიტვა	5.7	5.4	5.2		
ლუქსემბურგი					
მალტა	5.4	6.9			
ჰოლანდია	5.9	6	5.9	5.9	
პოლონეთი	5.1	5.2			
პორტუგალია	5.8	5.6			
რუმინეთი	4.2	3.5	3.1		
სლოვაკეთი	4.1	4.2	4.1		
სლოვენია	5.7	5.7	5.7		
ესპანეთი	5	5			
შვედეთი	7.3	7			
გაერთიანებულისამეფო	5.5	6.2			
საქართველო	**3.2**		**2.7**	**2**	

მსოფლიო ბანკის მონაცემები:
http://data.worldbank.org/indicator/SE.XPD.TOTL.GD.ZS/countries/1W-AM-AZ-GE-RU-MD-UA?display=default

ცხრილი 11. განათლების საბიუჯეტო ხარჯების შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

	2009	2010	2011	2012	2013
ყაზახეთი	3.1				
ყირგიზეთი	6.2	5.8	6.8		
ტაჯიკეთი	4.1	4	3.9	4	
საქართველო	**3.2**		**2.7**	**2**	
სომხეთი	3.8	3.2	3.1	3.3	
აზერბაიჯანი	3.2	2.8	2.4		
უკრაინა	7.3		6.2		
მოლდოვა	9.5	9.1	8.6	8.4	
ბელარუსი	4.5	5.4	4.8	5.1	

მსოფლიო ბანკის მონაცემები:
http://data.worldbank.org/indicator/SE.XPD.TOTL.GD.ZS/countries/1W-AM-AZ-GE-RU-MD-UA?display=default

წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები ნათელს ხდის, რომ ზოგადად მნიშვნელოვანია განათლებისა და მეცნიერების სფეროს დაფინანსების ხვედრითი წილის გაზრდა როგორც ბიუჯეტთან, ასევე მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით. დაფინანსების გაზრდა თავისთავად გამოიწვევს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ვაუჩერული დაფინანსების გაზრდას და ამ სფეროში დასაქმებულთა ხელფასების მატებას, რაც უმნიშვნელოვანესია განათლების სისტემის განვითარებისთვის.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების კვალდაკვალ, ალბათ, მნიშვნელოვანია განვიხილოთ უშუალოდ ზოგადი განათლების სისტემის ვაუჩერული დაფინანსების დინამიკა 2008-2014 წლებში როგორც რაოდენობრივი, ასევე საერთო ბიუჯეტთან მიმართების თვალსაზრისით. ქვემოთ ცხრილის სახით წარმოგიდგენთ ვაუჩერული დაფინანსების მოცულობას 2008-2014 წლებში:

ცხრილი 12. ვაუჩერული დაფინანსების მოცულობა და მისი შეფარდება განათლებისა და მეცნიერების სფეროს ბიუჯეტთან და საერთო ბიუჯეტთან

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
განათლებისა და მეცნიერების ბიუჯეტი	458.3	519.4	561.7	552.5	627.3	673.2	754.3
ვაუჩერული დაფინანსების ბიუჯეტი	315.3	320.2	350.9	392,3	421,602.3	410.0	380.0
პროცენტული შეფარდება საერთო ბიუჯეტთან	68.8%	61,6%	62,5%	71%	67%	60,9%	50,4%

ცხრილი შედგენილია საქართველოს მთავრობის და სტატისტიკის დეპარტამენტის 2014 წლის მონაცემების მიხედვით.

როგორც ცხრილიდან ჩანს, განათლებისა და მეცნიერების საერთო დაფინანსების წილში საკმაოდ მაღალია ზოგადი განათლების ვაუჩერული დაფინანსების ხვედრითი წილი. აქვე აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისით ვაუჩერული დაფინანსების ყველაზე დაბალი პროცენტული წილი განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების საერთო წილიდან 2014 წელს დაფიქსირდა და ამ მაჩვენებელმა მხოლოდ 50,4% შეადგინა. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ 2014 წელს ვაუჩერული დაფინანსება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტში არა მხოლოდ პროცენტულად შემცირდა, არამედ რაოდენობრივადაც და თუ 2013 წელს ვაუჩერული დაფინანსების პროგრამა 410 მილიონ ლარს შეადგენდა, 2014 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 380 მილიონი გახდა, ანუ 30 მილიონი ლარით შემცირდა წინა წელთან შედარებით (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2014, საჯარო ინფორმაციის ვებგვერდი).

აქვე საინტერესოა მხოლოდ ზოგადი განათლების დაფინანსების შეფარდებაც მთლიანად საქართველოს ბიუჯეტთან და საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტთან. აღნიშნული წარმოდგენილია ცხრილის სახით 2008-2014 წლების მონაცემების მიხედვით (ვემყარებით საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მასალებს):

ცხრილი 13. ზოგადი განათლების დაფინანსების ხვედრითი წილი საერთო ბიუჯეტთან და მთლიან შიდა პროდუქტთან 2008-2013 (მლნ. ლარი)

	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014 დაგეგმილი
მთლიანი შიდა პროდუქტი	19 074.9	17 986.0	20 743.4	24 344.0	26 167.3	26 824.9	29 000.0
სახელმწიფო ბიუჯეტი	**5,554.7**	**5,367.2**	**5,466.5**	**5,926.8**	**6,641.5**	**6,545.6**	**9080.0**
ზოგადი განათლების ბიუჯეტი	315.3	320.2	350.9	392,3	421,602.3	410.0	380.0
ზოგადი განათლების სახელწიფო ბიუჯეტის ხარჯები მთლიან შიდა პროდუქტთან შეფარდებით	1.6	1.8	1..7	1.6	1.6	1.5	1.3
ზოგადი განათლების ბიუჯეტის შეფარდება სახელმწიფო ბიუჯეტთან	4.7 %	4.4%	4.9%	5.2%	5.4%	4.7%	4.2

ცხრილი შედგენილია საქართველოს მთავრობის და სტატისტიკის დეპარტამენტის 2014 წლის მონაცემების მიხედვით.

ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსების საერთო სურათთან ერთად საინტერესოა ერთ მოსწავლეზე გათვლილი საშუალო დაფინანსება წელიწადში. ქვემოთ წარმოგიდგენთ 2006-2014 წლების მონაცემებს ამ მიმართულებით.

ცხრილი 14. ერთი მოსწავლის საშუალო დაფინანსების ოდენობა 2006-2014

წელი	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
თანხა (ლარი)	420	480	495	510	598	695	755	742	694

ცხრილი: ერთ მოსწავლეზე გათვლილი საშუალო წლიური დაფინანსება საქართველოში (ცხრილი შედგენილია მაღლაკელიძის, გიორგობიანის, შუკაკიძისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საინფორმაციო მართვის სისტემების (EMIS) მონაცემებზე დაყრდნობით).

დაფინანსების ოდენობითაც საქართველო ბევრად ჩამორჩება როგორც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) სახელმწიფოებს, ასევე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების უმრავლესობას, სადაც ერთ მოსწავლეზე საშუალო წლიური დაფინანსების საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ეს ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში:

ცხრილი 15. ერთი მოსწავლის საშუალო დაფინანსების ოდენობა OECD ქვეყნებში, 2008

OECD ქვეყნები	აშშ დოლარი საშუალო დანახარჯი ერთ მოსწავლეზე წელიწადში ზოგადი განათლების პროგრამებისთვის (აშშ დოლარში)
ავსტრალია	9200,00
ავსტრია	11 533,00
ბელგია	10 511,00
კანადა	8388,00
ჩილე	2 596, 00
ჩეხეთის რესპუბლიკა	6338,00
დანია	10 268,00
ესტონეთი	6 264,00
ფინეთი	10 950, 00
საფრანგეთი	8816,00
გერმანია	7 509, 00
უნგრეთი	4852,00
ისლანდია	10 100,00
ირლანდია	10 583, 00
ისრაელი	6 429,00
იტალია	9 616
იაპონია	8 621, 00
კორეა	6 307, 00
ლექსემბურგი	19 791, 00

მექსიკა	1 853, 00
ჰოლანდია	10 608, 00
ახალი ზელანდია	6 071, 00
ნორვეგია	11 860, 00
პოლონეთი	4 424, 00
პორტუგალია	6 910, 00
სლოვაკეთი	3 716, 00
სლოვენია	9 287, 00
ესპანეთი	9 108, 00
შვედეთი	9 739, 00
შვეიცარია	16 737
გაერთიანებული სამეფო	9 487
ამერიკის შეერთებული შტატები	11 551,00
OECD ქვეყნები საშუალო	8 498, 00

OECD, 2011 Annual expenditure per student by educational institutions for all services, by type of programme, at the secondary level (2008).

ცხრილი 16. ერთი მოსწავლის საშუალო დაფინანსების ოდენობა დსთ-ის ქვეყნებში

დსთ-ის ქვეყნები	საშუალო დანახარჯი ერთ მოსწავლეზე წელიწადში ზოგადი განათლების პროგრამებისთვის (აშშ დოლარში)
მოლდოვა	804,50
რუსეთი	1000+
სომხეთი	543,40
საქართველო	445,00

წყარო: http://data.uis.unesco.org/index.aspx?queryid=190

წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები ნათელ წარმოდგენას ქმნის განათლებისა და მეცნიერების სფეროს დაფინანსების თვალსაზრისით არსებულ პრობლემებზე და მათ შორის ზოგადი განათლების სისტემის დაფინანსების სავალალო მდგომარეობის შესახებ საქართველოში. საერთაშორისო, ევროპულ თუ მსოფლიო სტანდარტებთან მისაახლოებლად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების სფეროს დაფინანსება, სულ მცირე, უნდა გაორმაგდეს და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდასთან ერთად გაიზარდოს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი რეალური და ეფექტური რეფორმების გატარება განათლების სისტემაში და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება მოსწავლეთათვის ხარისხიანი განათლების მისაცემად. აღნიშნული ცვლილებების გატარებამდე კი ის შუზღუდული ფინანსური რესურსი, რომელსაც სახელმწიფო ზოგადი განათლების ვაუჩერული სისტემის ფარგლებში გამოყოფს, მაქსიმალურად ეფექტურად და ოპტიმალურად უნდა იყოს გახარჯული და გამოყენებული.

1.4. ვაუჩერული დაფინანსების სისტემის კონტექსტი და ისტორია საქართველოში

საქართველოში ვაუჩერული დაფინანსების სისტემა 2005 წლიდან ამოქმედდა. იგი წარმოადგენდა ფართო საგანმანათლებლო რეფორმის ნაწილს. ზოგადი განათლების შესახებ 2005 წელს მიღებული კანონის განმარტებით, „ვაუჩერი სახელმწიფოს მიერ მოსწავლისათვის გადაცემული, მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტია, რომელიც შეიძლება გამოშვებული იქნეს როგორც მატერიალიზებული, ისე არამატერიალიზებული ფორმით და რომელიც განკუთვნილია მოსწავლის მიერ ზოგადი განათლების მიღების დასაფინანსებლად“(მუხლი 2).

ვაუჩერული დაფინანსების შემოღებას 2005 წელს რამდენიმე მიზანი გააჩნდა, კერძოდ:

(ა) მშობლებისთვის სკოლის არჩევის თავისუფლების მინიჭება, რადგან ზოგადი განათლების შესახებ ახალი კანონის შესაბამისად მშობელს ეძლეოდა შესაძლებლობა საკუთარი შეხედულებისამებრ შეერჩია სკოლა და სახელმწიფოს მიერ გაცემული ვაუჩერი საკუთარი არჩევანის შესაბამისად გამოეყენებინა (მუხლი 22, 2005) ;

(ბ) კერძო სექტორის გაძლიერება და ზოგადი განათლების სისტემაში კერძო სექტორის როლის გასაძლიერებლად ინსენტივების სისტემის შექმნა;

(გ) კონკურენციის და ეფექტიანობის გაზრდა როგორც საჯარო და კერძო სკოლებში, ასევე საჯარო სკოლების შიგნით, რაც აისახებოდა სასკოლო განათლების ხარისხზე;

(დ) ოპტიმიზაცია, ანუ არსებული რესურსების ოპტიმალური ხარჯვა სკოლების მიერ;

(ე) საგანმანათლებლო რესურსების თანაბარი გადანაწილება, რადგან ვაუჩერული დაფინანსების სისტემის შემოღებამდე დაფინანსება იყო არაპროპორციული და გაუმჭვირვალე, დამოკიდებული სკოლასა და მის ხელმძღვანელობაზე; აქამდე ერთნაირი ტიპის სკოლები იღებდნენ განსხვავებულ დაფინანსებას და განსხვავებულ მდგომარეობაში იყვნენ მოსწავლეები.

ვაუჩერული დაფინანსების სხვადასხვა მოდელიდან საქართველომ აირჩია „უნივერსალური“ დაფინანსების მოდელი, რაც გულისხმობდა ყველა მოსწავლის დაფინანსებას, მიუხედავად იმისა, კერძო სკოლაში სწავლობდა ის თუ საჯაროში. ამასთანავე, კერძო და საჯარო სკოლების ვაუჩერული დაფინანასება თანაბარი იყო საწყის ეტაპზე და არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, მშობელს კი ჰქონდა შესაძლებლობა, თუ კერძო სკოლაში სწავლის ღირებულება აღემატებოდა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ ვაუჩერს, თვითონ შეევსო სწავლის გადასახადი საკუთარი ფინანსური რესურსიდან. ამასთანავე, სკოლებს დაფინანსების მისაღებად ესაჭიროებოდათ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან შესაბამისი ლიცენზიისა თუ ავტორიზაციის პროცედურების გავლა (თავი მესამე, მუხლი 22).

ვაუჩერული დაფინანსების ფორმულა შემუშავდა 2005 წელს მსოფლიო ბანკის პროექტის - „ილია ჭავჭავაძის“ - ფარგლებში და მოქმედება დაიწყო საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში 2006 წლის იანვრიდან. აღნიშნული ფორმულა მოიცავდა მხოლოდ ერთ კომპონენტს - მოსწავლეთა რაოდენობას და ამის მიხედვით საჯარო და კერძო სკოლები იღებდნენ ვაუჩერულ დაფინანსებას. დაფინანსების ოდენობა გაყოფილი

იყო გეოგრაფიული პრინციპით 3 კატეგორიად: ქალაქი, სოფელი და მაღალმთიანი რეგიონი. თითოეული კატეგორიის მიხედვით ვაუჩერის ღირებულება განსხვავებული იყო.

2005-2008 წლებში ცვლილებები ვაუჩერულ დაფინანსების პრინციპსა და ფორმულაში არ განხორციელებულა, იზრდებოდა მხოლოდ ვაუჩერის ოდენობა არსებულ კატეგორიებში წლების განმავლობაში. დეტალურად აღნიშნული ტენდენცია წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ცხრილი 17. ვაუჩერული დაფინანსება 2005-2008 წლებში

	2005/06		2006/07		2007/08 2007 წლის ოქტომბრიდან		2007/08 2007 წლის დეკემბრიდან	
	თანხა ლარებში	%	თანხა ლარებში	%	თანხა ლარებში	%	თანხა ლარებში	%
ქალაქი	220	100	235	100	250	100	300	100
სოფელი	330	150	350	149	350	140	420	140
მთა	396	180	425	181	425	170	530	170

წყარო: მსოფლიო ბანკი, 2011.

მთავრობის 2008 წლის 31 დეკემბრის N268 დადგენილებით დაფინანსების ფორმულას დაემატა ახალი კომპონენტი - მოსწავლეთა რაოდენობა. კერძოდ, განსხვავებული დაფინანსება შემოვიდა 400 მოსწავლემდე და 400 მოსწავლის ზევით ქალაქის სკოლებისთვის, ხოლო 200 მოსწავლემდე და 200 მოსწავლის ზევით სოფლისა და დაბის სკოლებისთვის. აღნიშნული ცვლილების მიზეზი ის იყო, რომ მცირეკონტინგენტიანი სკოლები იყვნენ ძალიან დაბალი დაფინანსების პირობებში, ხოლო მაღალკონტინგენტიან სკოლებს საკმაოდ მაღალი დაფინანსება ჰქონდათ. აღნიშნული ცვლილებების დეტალური ცხრილი იხილეთ ქვემოთ.

ცხრილი 18. ვაუჩერული დაფინანსება 2008-2009- 2009-2010 სასწავლო წლები

	2008-2009 (ქალაქის 400-მდე და სოფლის 200-მდე მოსწავლე		2008-2009 (ქალაქის 400-ს ზევით და სოფლის 200-ს ზევით მოსწავლე		2009-2010 (ქალაქის 400-მდე და სოფლის 200-მდე მოსწავლე		2009-2010 (ქალაქის 400-ს ზევით და სოფლის 200-ს ზევით მოსწავლე	
	თანხა ლარებში	%	თანხა ლარებში	%	თანხა ლარებში	%	თანხა ლარებში	%
ქალაქი	345	106,2	325	100	415	106,2	380	100
სოფელი	475	146,2	450	138,5	545	146,2	505	138,5
მთა	565	173.8	565	173,8	635	173.8	635	173,8

2010 წელს დაგროვილი გამოცდილების გათვალისწინებით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით დაიწყო ინტენსიური მუშაობა დაფინანსების ფორმულის შეცვლაზე, რაც, საბოლოო ჯამში, აისახა მთავრობის 2010 წლის N395 დადგენილებაში, რომელიც ძალაში შევიდა 2011 წლის 1 იანვრიდან. დაფინანსების ახალი ფორმულა ითვალისწინებდა რამდენიმე სიახლეს, კერძოდ, ახალი დაფინანსების ფორმულა მოიცავდა 6 კომპონენტს:

1. შემოვიდა საბაზისო დაფინანსება 1-160-კონტინგენტიან სკოლებზე მათი საჭიროებებიდან გამომდინარე;
2. შეიცვალა დაფინანსების სტრუქტურა. ვაუჩერების გარდა სკოლები იღებდნენ საბაზისო დაფინანსებასაც;
3. სკოლების დაყოფა მოხდა მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით და ვაუჩერის ღირებულება და საბაზისო დაფინანსების ოდენობა განისაზღვრა სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობის კლასტერების მიხედვით;
4. ვაუჩერის ღირებულების დიფერენცირება მოხდა კლასების მიხედვით. განსხვავებული გახდა ვაუჩერის ოდენობა I-VIII და IX-XII კლასელებისთვის. IX-XII კლასელებისთვის შემოვიდა დამატებითი კოეფიციენტი;
5. არაქართულენოვანი სკოლებისთვის შემოღებულ იქნა დამატებითი კოეფიცინტი და ისინი იღებდნენ განსაზღვრულ ნორმატივზე დამატებულ კოეფიციენტს ენობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე;
6. სპეციალური სკოლების დაფინანსება ხორციელდებოდა მათი საჭიროებებიდან გამომდინარე.

აღნიშნული ცვლილებების შედეგად 2011-2012 სასწავლო წლებში სკოლების დაფინანსების შემდეგი სურათი გამოიკვეთა:

ცხრილი 19. ვაუჩერული დაფინანსება (2011-2012 სასწავლო წლები)

სკოლის სიდიდე (მოსწავლეთა რაოდენობა)	სკოლები		დამატებითი საბაზისო დაფინანსება	სპეციალური სკოლები
	კლ. I-VIII ვაუჩერის ოდენობა (ლარი)	კლ. IX-XII ვაუჩერის ოდენობა (ლარი)		არაქართულენოვანი სკოლები
წელი 2011				
1-160	საბაზისო	საბაზისო		
161-230	430	516	30 000	0.08
231-299	390	468	17 000	0.08
300-449	385	462	14 000	0.08
450-599	370	444	10 000	0.08
600-999	350	420	0	0.08

1000<	330	396	0	0.08
კერძო სკოლები	300	300	0	

2011 წლის 29 დეკემბერს ცვლილებები განხორციელდა დაფინანსების ფორმულაში. არაქართულენოვანი სკოლების კოეფიციენტი გაიზარდა 0.12-მდე, შემოვიდა მრავალშენობიანი სკოლების კოეფიცენტი. 2012 წელს განხორციელებული ცვლილებებით შეიცვალა დაფინანსების მოცულობა და სკოლების სიდიდის კრიტერიუმები, ხოლო საჭიროებებზე დაფუძნებული საბაზისო დაფინანსება მიეცა სკოლებს, სადაც 1-169-მდე მოსწავლეა, ნაცვლად 1-160-მდე მოსწავლისა. 2012-2013 წლებში განხორციელებული ვაუჩერული დაფინანსების სისტემის დინამიკა ასახულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში:

ცხრილი 20. ვაუჩერული დაფინანსება 2012-2013 სასწავლო წლები

<table>
<tr><th rowspan="2" colspan="2">სკოლის სიდიდე (მოსწავლეთა რაოდენობა)</th><th colspan="4">სკოლები</th><th rowspan="2" colspan="2">დამატებითი საბაზისო დაფინანსება</th><th colspan="4">სპეციალური საჭიროების სკოლები</th></tr>
<tr><th colspan="2">კლ. I-VIII ვაუჩერის ოდენობა (ლარი)</th><th colspan="2">კლ. IX-XII ვაუჩერის ოდენობა (ლარი)</th><th colspan="2">არაქართულენოვანი სკოლები</th><th colspan="2">მრავალშენობიანი სკოლები</th></tr>
<tr><th>წელი 2012</th><th>წელი 2013</th><th>წელი 2012</th><th>წელი 2013</th><th>წელი 2012</th><th>წელი 2013</th><th>წელი 2012</th><th>წელი 2013</th><th>წელი 2012</th><th>წელი 2013</th><th>წელი 2012</th><th>წელი 2013</th></tr>
<tr><td>1-160</td><td>1-169</td><td colspan="10">გაანგარიშებული დაფინანსება</td></tr>
<tr><td rowspan="2">161-230</td><td>170-190</td><td rowspan="2">430</td><td>405</td><td rowspan="2">516</td><td>486</td><td rowspan="2">30,000</td><td>47,000</td><td rowspan="2">0.12</td><td rowspan="7">არა-ქართუ-ლენო-ვანი სკოლის მოსწავ-ლეები X 0.14</td><td rowspan="2">0.12</td><td rowspan="7">კლ. 1-6 X 0.1; კლ. 1-9 X 0.15; კლ. 1-12 X 0.25</td></tr>
<tr><td>191-205</td><td>400</td><td>480</td><td>45,000</td></tr>
<tr><td>231-299</td><td>206-225</td><td>390</td><td>395</td><td>468</td><td>474</td><td>17,000</td><td>43,000</td><td>0.12</td><td>0.12</td></tr>
<tr><td>300-449</td><td>226-530</td><td>385</td><td>390</td><td>462</td><td>468</td><td>14,000</td><td>39,000</td><td>0.12</td><td>0.12</td></tr>
<tr><td>450-599</td><td>531-735</td><td>370</td><td>385</td><td>444</td><td>462</td><td>10,000</td><td>32,000</td><td>0.12</td><td>0.12</td></tr>
<tr><td>600-999</td><td>736-1269</td><td>350</td><td>380</td><td>420</td><td>456</td><td>0</td><td>25,000</td><td>0.12</td><td>0.12</td></tr>
<tr><td>1000<</td><td>1270<</td><td>330</td><td>375</td><td>396</td><td>450</td><td>0</td><td>10,000</td><td>0.12</td><td>0.12</td></tr>
<tr><td colspan="2">კერძო სკოლები</td><td>300</td><td>300</td><td>300</td><td>300</td><td>0</td><td>0</td></tr>
</table>

ვაუჩერული დაფინანსების ფორმულაში მცირედი ცვლილებები განხორციელდა 2013 წელს. შეიცვალა მოსწავლეთა რაოდენობრივი გადანაწილება და ახალი გადანაწილებით მოხდა დაფინანსების ოდენობის განსაზღვრა, შეიცვალა აგრეთვე საბაზო დაფინანსების ოდენობა მოსწავლეთა სხვადასხვა რაოდენობის სკოლების სხვადასხვა სეგმენტისთვის, რათა აღმოფხვრილიყო დეფიციტური სკოლების პრობლემები, რაც ახალი ფორმულის შედეგად წარმოიშვა. 2013 წელს გატარებული ცვლილებების შედეგად ვაუჩერული დაფინანსების სისტემამ შემდეგი სახე მიიღო:

ცხრილი 21. ვაუჩერული დაფინანსება (2013-2014 სასწავლო წლები)

სკოლის სიდიდე (მოსწავლეთა რაოდენობა)	სკოლები				დამატებითი საბაზისო დაფინანსება		სპეციალური საჭიროების სკოლები			
	კლ. I-VIII ვაუჩერის ოდენობა (ლარი)		კლ. IX-XII ვაუჩერის ოდენობა (ლარი)				არაქართულენოვანი სკოლები		მრავალშენობიანი სკოლები	
წელი 2014	წელი 2014		წელი 2014		წელი 2014		წელი 2014		წელი 2014	
1-169										
170-205	420		504		52,000		#			
206-299	414		498		49,000					
300-530	411		492		44,000					
531-735	405		486		38,000					
736-1269	396		474		33,000					
1270<	390		468		25,000					
კერძო სკოლები	300	300	300	300	0	0				

ზემოთ წარმოდგენილ ცხრილში ვაუჩერული დაფინანსების წესია მოცემული, რასაც ემატება სოფლისა და მთის, ანუ გეოგრაფიული მდებარეობის კომპონენტები. 2012-2013 და 2013-2014 წლებში სოფლის სკოლები იღებენ ერთ მოსწავლეზე 1.03%, ხოლო მთის სკოლები - 1.05% კოეფიციენტს.

სულ უკანასკნელი ცვლილებები დაფინანსების თვალსაზრისით განხორციელდა 2013 წლის 5 ნოემბერს. აღნიშნული ცვლილებების შედეგად სკოლებს დამატებით დაფინანსება გამოეყოფათ სპეციალური საჭიროებების მოსწავლეებისთვის შემდეგი პროპორციით:

ა) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 1-6 მოსწავლის სწავლებისთვის - 4200 ლარი;

ბ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 7-13 მოსწავლის სწავლებისათვის - 8400 ლარი;

გ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 14-23 მოსწავლის სწავლებისათვის -12600 ლარი;

დ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 23-ზე მეტი მოსწავლის სწავლებისათვის - 16800 ლარი.

თავი 2.
კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში სამი მეთოდი იქნა გამოყენებული: რაოდენობრივი, თვისებრივი და სამაგიდე კვლევა. მოკლედ მიმოვიხილავთ თითოეული მეთოდის ფარგლებში გამოყენებული ინსტრუმენტებს:

სამაგიდე კვლევა.

სამაგიდე კვლევის ფარგლებში გაანალიზდა შემდეგი დოკუმენტები:

(ა) საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ;

(ბ) 2005 წლიდან 2014 წლამდე არსებული ბრძანებები ერთ მოსწავლეზე გათვლილი ზოგადი განათლების ვაუჩერული დაფინანსების ნორმატივის განსაზღვრის შესახებ;

(გ) მონაცემები სკოლების შესახებ (მდებარეობა, მასწავლებელთა და მოსწავლეთა რაოდენობა, სწავლების ენა, კორპუსების რაოდენობა, ინკლუზიურ მოსწავლეთა რაოდენობა;

(დ) სკოლების დაფინანსება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2012-2014 წლებში განხორციელებული გადარიცხვების დოკუმენტების საფუძველზე;

(ე) კვლევისთვის შერჩეული სკოლების ფინანსური ანგარიშების და ბიუჯეტების ანალიზი 2012-2013 წლებში.

რაოდენობრივი კვლევა/ დირექტორთა გამოკითხვა-შერჩევა.

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 432 სკოლის დირექტორი. გამოკითხვის დიზაინისა და შერჩევის პრინციპების შესაბამისად, გამოკითხვა ვალიდურია და რეპრეზენტატიული ნებისმიერი ტიპის საჯარო სკოლისათვის დაფინანსების ფორმულის მიხედვით განსაზღვრული პარამეტრების გათვალისწინებით (სკოლების გამოკითხული დირექტორების ზუსტი გადანაწილება მოცემულია ცხრილებში).

სკოლის შერჩევის კვოტები ითვალისწინებდა:

- გეოგრაფიულ მდებარეობას, რაც განსაზღვრავს ვაუჩერის რაოდენობას თითოეულ მოსწავლეზე;
- სკოლის მფლობელობაში არსებული შენობების რაოდენობას;
- სწავლების ენას ან სკოლაში სხვა ენობრივი სექტორის არსებობას.

ცხრილი 22. სკოლების გადანაწილება დასახლების ტიპის მიხედვით

სკოლის ტიპი	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი	კომულაციური პროცენტი
სასოფლო დასახლება	312	72.2	72.2	72.2
დაბა	24	5.6	5.6	77.8
ქალაქი	94	21.8	21.8	99.5
არ დასახელდა	2	5	.5	100.0
სულ	432	100.0	100.0	

როგორც ცხრილში ჩანს, გამოკითხული სკოლებიდან 312 სოფელშია განთავსებული, რაც მიზნობრივი სკოლების 72.2% შეადგენს, 24 - დაბაში (5.6%), ხოლო 94 - ქალაქში (21.8), რაც სრულიად ვალიდურია სკოლების სრული რაოდენობის გეოგრაფიული გადანაწილების გათვალისწინებით. მეორე კატეგორია სკოლის ბალანსზე მყოფი შენობების რაოდენობაა, რომელიც დაფინანსების განსხვავებას იწვევს მეორე და ყოველი შემდეგი შენობის ქონის შემთხვევაში. გამოკითხულ სკოლათაგან 135 (31.3%)-ის ბალანსზე 2 ან 2-ზე მეტი შენობა იმყოფება, ხოლო ერთშენობიანი სკოლები კი 297-ს შეადგენს, რაც მიზნობრივი ჯგუფის 68.8%-ია. 2 სკოლის შენობების შესახებ ინფორმაცია არ დადგინდა.

იხ. ცხრილი:

ცხრილი 23. სკოლების გადანაწილება შენობების რაოდენობის მიხედვით

სკოლის ტიპი	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი	კომულაციური პროცენტი
მრავალშენობიანი	135	31.3	31.3	31.3
ერთშენობიანი	297	68.8	68.8	100.0
სულ	432	100.0	100.0	

განსხვავებული დაფინანსების საგანია სწავლების ენა, რომელიც ასევე იყო გათვალისწინებული შერჩევისას. შესაბამისად, მიზნობრივი ჯგუფი შეადგენს 372 ქართულ სკოლას, რაც არის სრული გამოსაკითხი პოპულაციის 86.1%; 44 სკოლა არაქართული იყო (სრული რაოდენობის 10.2%); გამოიკითხა დამატებითსექტორებიანი 14 სკოლის დირექტორები (მთელი მიზნობრივი პოპულაციის 3.2%). 2 სკოლის სწავლების ენა, რაც სრული რაოდენობის 0.5%-ს შეადგენს, გამოკითხვის შედეგად ვერ დადგინდა. იხ. ცხრილი ქვემოთ:

ცხრილი 24. სკოლების გადანაწილება სწავლების ენის მიხედვით

სკოლის ტიპი/ სწავლების ენა	სიხშირე	პროცენტი	ვალიდური პროცენტი	კომულაციური პროცენტი
ქართული	372	86.1	86.1	86.1

არაქართული	44	10.2	10.2	96.3
სექტორული	14	3.2	3.2	99.5
არ დასახელდა	2	.5	.5	100.0
სულ	432	100.0	100.0	

და ბოლოს, სკოლები განხილულია სიდიდის (მოსწავლეთა რაოდენობის) მიხედვითაც, რაც ასევე განაპირობებს მისი დაფინანსების პირობებს. გამოკითხული სკოლები ამ მხრივ შემდეგნაირად გადანაწილდა: 1-169-კონტინგენტიანი სკოლები, რომლებიც ინდივიდუალურად ფინანსდება და დაფინანსება არ არის დამოკიდებული მოსწავლეების რაოდენობაზე, გამოკითხული სკოლების 61.8%-ს შეადგენდა და ეს რიცხვი აბსოლუტურ თანხვედრაშია საერთო სკოლების გადანაწილების პროპორციასთან. შესაბამისად, სკოლები რომლებიც ვაუჩერით ფინანსდება და გამოკითხვაში მოხვდა, საერთო რაოდენობის 38.2%-ს შეადგენს.

დიაგრამა 1. სკოლების გადანაწილება მოსწავლეების რაოდენობის (დაფინანსების გადანაწილების მიხედვით).



მიუხედავად სკოლის დაფინასებების ამგვარი გადანაწილებისა და სიდიდისა, კვლევისათვის საჭიროდ ჩაითვალა 3 ქვეკატოგორიად დაყოფილიყო მცირეკონტინგენტიანი სკოლები მათი დიდი რაოდენობისა და შესაძლო განსხვავებული თვისებების გამო და შესაბამისად, ამგვარი სკოლები 1-დან 50-მდე, 51-100 და 101-169 რაოდენობის მოსწავლეების მიხედვით ჩაიშალა. შესაბამისად, თითოეულ კვოტაში შემდეგ რაოდენობის სკოლები გადანაწილდა:

ცხრილი 25. სკოლების გადანაწილება მოსწავლეების რაოდენობის (კვლევის ფარგლებში გამოყოფილი კვოტების მიხედვით)

სკოლის კონტინგენტი	პროცენტული გადანაწილება	რაოდენობა სიდიდის მიხდვით
1-50	20.1	87
51-100	21.3	92
101-169	20.4	88
170-205	7.2	31

206-299	8.1	35
300-530	11.1	48
531-735	4.2	18
736-1269	6.0	26
1270 +	1.6	7

საგულისხმოა, რომ კითხვარი ექვსი სექციისგან შედგებოდა, საიდანაც პირველი სექცია სკოლისა და დირექტორის შესახებ დემოგრაფიული ინფორმაციის შეგროვებას ითვალისწინებდა. სექცია A დირექტორის ფინანსურ მართვასა და ანგარიშგების უნარებს, საჭიროებებს და დამოკიდებულებებს სწავლობდა. სექცია B დაფინანსების სისტემას და ამ სისტემის გავლენასთან დაკავშირებულ კითხვებს მოიცავდა, სადაც დირექტორი ზუსტი ინფორმაციის გარდა (შემოსავლები, გასავლების გადანაწილება), საკუთარ მოსაზრებას აფიქსირებდა არსებული სისტემის უპირატესობასა და ნაკლოვანებებთან დაკავშირებით. სექცია C მოიცავს კითხვებს, რომლებიც სწავლობს დირექტორის დამოკიდებულებას სკოლის არსებული დაფინანსების ფარგლებში სკოლებისა და, შესაბამისად, მოსწავლეების თანასწორობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. სექცია D დირექტორების პროფესიული განვითარების საჭიროებებთან დაკავშირებულ მოსაზრებებსა და ფაქტებზეა აქცენტირებული, ხოლო ბოლო სექცია - E კი სკოლის მართვის მთლიან სისტემაში ფინანსურ საკითხების წილს, მის მნიშვნელობასა და საქმიანობის რელევანტურობას ეხება.

კითხვარი შერეული ტიპის კითხვებისგან შედგება, კონკრეტულად კი მოიცავს:

(ა) დახურულ და ღია კითხვებს (Dichotomous Questions), რომლებიც მეტწილად დახურული-ღია თანმიმდევრობითაა მოცემული და filter or contingency question-ის პრინციპს ეფუძნება.

(ბ) ინტერვალური კითხვები, რომლებიც Based on Level Of Measurement, Likert response scale, semantic differentia and cumulative or Guttman scale-ის პრინციპითაა შედგენილი.

კითხვარი მოცულობითია და მის შევსებას საშუალოდ ერთი საათი სჭირდებოდა. საველე სამუშაოების შედეგად შესაძლებელი გახდა შერჩეული ყველა სკოლის დირექტორის გამოკითხვა. მონაცემები შეყვანილია კომპიუტერულ პროგრამა SPSS-ში, მოხდა მონაცემთა დამუშავება და სტატისტიკური ანალიზი.

თვისებრივი კვლევა/ფოკუსჯგუფები და ინტერვიუები.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში ორი ინსტრუმენტი გამოვიყენეთ : (ა) ფოკუსჯგუფები; (ბ) განათლების და მეცნიერების სამინისტროს მოხელეებთან ინტერვიუები; მოკლედ მიმოვიხილავთ თოთოეული თვისებრივი კვლევის მეთოდს:

ფოკუსჯგუფები მოიცავდა შემდეგ მიმართულებებს:

(1) სამი ფოკუსჯგუფი მშობლებთან;

(2) სამი ფოკუსჯგუფი მოსწავლეებთან;

(3) სამი ფოკუსჯგუფი მასწავლებლებთან.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა სამი ფოკუსჯგუფი მშობლებთან. მშობლებთან ფოკუსჯგუფები ჩატარდა ზუგდიდში, ახალქალაქსა და მარნეულში. ფოკუსჯგუფებში თანაბარი რაოდენობით მონაწილეობდნენ მე- 4-6 და მე- 7-12 კლასების მოსწავლეთა მშობლები. აღნიშნულ ქალაქებში აგრეთვე ჩატარდა სამი ფოკუსჯგუფი ამავე კლასის მოსწავლებთან. 3 ფოკუსჯგუფი ჩატარდა ბათუმში, ახალციხესა და თელავში მასწავლებლებთან.

მშობელთა ფოკუსჯგუფი მიზნად ისახავდა მშობლების ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების გარკვევას სკოლების ვაუჩერული დაფინანსების სისტემასთან მიმართებით. საინტერესო იყო ასევე მშობლების პოზიციის დადგენა სკოლების ინფრასტრუქტურულ მოწყობასთან დაკავშირებით (რამდენად არის ის მორგებული მათი შვილების საჭიროებებსა და სურვილებს).

ფოკუსჯგუფის პროტოკოლი ასევე მოიცავდა კითხვებს, რომელთა მიზანი იყოს იმის გარკვევა, რამდენად იყვნენ ჩართული მშობლები ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

მოსწავლეთა ფოკუსჯგუფის მიზანი იყო გაერკვია მოსწავლეთა დამოკიდებულება სკოლაში არსებულ ინფრასტრუქტურულ გარემოსთან დაკავშირებით, აკმაყოფილებს თუ არა ეს გარემო მათ საჭიროებებს, მოლოდინსა და სურვილებს. მოსწავლეთა ფოკუსჯგუფის პროტოკოლი მოიცავდა აგრეთვე კითხვებს სწავლების ხარისხთან დაკავშირებით (აკმაყოფილებთ თუ არა მოსწავლეებს სწავლების ხარისხი, აქვთ თუ არა შესაძლებლობა დაკავდნენ სკოლის ბაზაზე არსებული კლასგარეშე აქტივობებით, ისურვებდნენ თუ არა რაიმე დამატებით აქტივობას ან შეცვლიდნენ თუ არა სკოლაში რაიმეს სწავლების ან ინფრაქტრუქტურული განვითარების კუთხით).

მასწავლებელთა ფოკუსჯგუფებში აქცენტი გაკეთდა მათ დამოკიდებულებებზე განათლების დაფინანსების შესახებ ზოგადად და მათ სკოლებში კონკრეტულად, სკოლებში დაფინანსების გამო არსებულ პრობლემებსა და გამოწვევებზე, რაც მათ ხელს უშლით ეფექტური და ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვაში და აგრეთვე მათ მოსაზრებებზე, თუ რამდენად შეიცვალა ვითარება ბოლო დროს განხორციელებული ვაუჩერული დაფინანსების სისტემური ცვლილებების კვალობაზე.

ჩაღრმავებული ინტერვიუები.

პროექტის ფარგლებში ჩატარდა ექვსი ჩაღრმავებული ინტერვიუ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან, კერძოდ, გამოიკითხა:

(1) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსი, ნათია ჯოხაძე;

(2) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკური სამსახურის უფროსი ლაშა საღინაძე;

(3) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციული სისტემების მართვის ცენტრის სტატისტიკის სამსახურის უფროსი დავით საღინაძე;

(4) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი ელენე ჯიბლაძე;

(5) მარნეულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის სპეციალისტი იულია დარბაიძე;

(6) ნინოწმინდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორი დავით ზედგინიძე.

ინტერვიუები ჩატარდა წინასწარ შემუშავებული პროტოკოლის მიხედვით. ინტერვიუების ნაწილი ჩატარდა ტელეფონის მეშვეობით.

კვლევის შეზღუდვები.

კვლევას გააჩნდა გარკვეული შეზღუდვები. კითხვარი მოიცავდა დირექტორების მიერ ფინანსური ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობას, ამ მასალის წყაროა დირექტორების მიერ მოწოდებულ ინფორმაცია. კვლევისას გამოვლინდა, რომ დირექტორთა ნაწილი ვერ ფლობდა სრულ ინფორმაციას სკოლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ისევე როგორც ვაუჩერული დაფინანსების შესახებ. ასეთი კითხვარების გადამოწმება ფინანსური ნაწილის თვალსაზრისით ხდებოდა ოფიციალური წლიური ბალანსების მეშვეობით. მიუხედავად ამისა, გარკვეული ნაწილის გადამოწმება ვერ მოხერხდა ამ ტიპის ოფიციალური ინფორმაციის არქონის გამო. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ტენდენციები კონკრეტულ საკითხთან მიმართებით ნათელია, მათი შესაბამისობა რეალურ სურათთან ვერ დგინდება, მონაცემთა ნაწილი არ იძლევა განზოგადების, რელევანტური დასკვნების გამოტანის და, შესაბამისად, კონკრეტული რეკომენდაციების მომზადების საშუალებას.

ამის გამო კვლევაში ჩართული ჯგუფი ამ ნაწილში თავს იკავებს განზოგადებებისა თუ დასკვნებისგან და კონკრეტულ რეკომენდაციებს არ სთავაზობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

თავი 3.
სამაგიდე კვლევის შედეგები/ თანასწორობა და სოციალური ინტეგრაცია

დოკუმენტის მომდევნო თავებში წარმოდგენილი იქნება სამაგიდე კვლევის შედეგები. კვლევის შედეგებს განვიხილავთ ზოგადი განათლების დაფინანსების განათლების პოლიტიკის 3 მნიშვნელოვან ჭრილში: (ა) თანასწორობა და სოციალური ინტეგრაცია; (ბ) სისტემის ეფექტიანობა და ოპტიმალური მართვა; (გ) სკოლის არჩევანის თავისუფლება. კვლევის ანგარიშის მესამე თავი თანასწორობისა და სოციალური ინტეგრაციის საკითხებს შეეხება.

თანასწორობა და სოციალური ინტეგრაცია.

თანასწორობისა და სოციალური ინტეგრაციის თვალსაზრისით ზოგადი განათლების დაფინანსების სისტემას გარკვეული ხარვეზები გააჩნია, - მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა სოციალური თანასწორობის და ინტეგრაციის თვალსაზრისით. მიმოვიხილავთ ამ კონტექსტში კვლევის ფარგლებში გამოვლენილ პრობლემატიკას.

ა) არაქართულენოვანი სკოლების არაეფექტური დაფინანსების პრობლემა;

არაქართულენოვანი სკოლების დაფინანსების თვალსაზრისით საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ენობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე გაზრდილი ფინანსური ვაუჩერის გამოყოფას. კერძოდ, არაქართულენოვანი სექტორები დამატებით იღებენ ვაუჩერის 0,13 %-ს და სექტორები კი დაფინანსების 0,14%-ს. მიუხედავად გაზრდილი ვაუჩერისა, არაქართულენოვანი სკოლების დაფინანსებაში ორი ტიპის პრობლემა იკვეთება:

(ა) სკოლების დაფინანსების ზრდა და გაზრდილი დაფინანსების დანახარჯი არ გამომდინარეობს ამ სკოლების საჭიროებებიდან;

(ბ) პრობლემურია სექტორების დაფინანსება სკოლების იმ ნაწილისთვის, რომელთაც ამ სექტორებზე მცირე კონტინგენტი ჰყავთ.

სკოლებს, რომლებსაც აქვთ არაქართულენოვანი სექტორები, მიუხედავად გაზრდილი ვაუჩერისა, არ ჰყოფნით დაფინანსება ამ სექტორის დასაფინანსებლად და ისინი ამ სექტორს აფინანსებენ ქართულენოვანი სექტორებიდან, რაც მათ ქართულენოვან სექტორზეც უქმნით პრობლემას. ანუ, გაზრდილ ვაუჩერს იღებენ მხოლოდ არაქართულენოვანი სექტორის და არა ყველა მოსწავლისთვის, რადგან სკოლა ორ- ან მეტსექტორიანია, რაც ფინანსური მართვის თვალსაზრისით პრობლემას ქმნის.

არაქართულენოვან სკოლებში განათლების შედარებით დაბალ ხარისხს ადვილად ადასტურებს სასკოლო საატესტატო გამოცდებისა და მისაღების გამოცდების ზოგადი უნარების ტესტების ანალიზი. მოკლედ მიმოვიხილავთ ამ გამოცდების შედეგებს, რათა თვალსაჩინო გავხადოთ არაქართულენოვან სკოლებში არსებული პრობლემატიკა განათლების ხარისხის თვალსაზრისით და მიუხედავად ამ სკოლებისთვის გამოყოფილი გაზრდილი ვაუჩერისა, მისი არაეფექტური ხარჯვა დავადასტუროთ.

სასკოლო გამოსაშვები გამოცდები.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2011 წლიდან სკოლის დამამთავრებელი სავალდებულო გამოცდები და მათი ჩატარების წესი დაადგინა. სასკოლო გამოსაშვები გამოცდები დაეფუძნა არსებულ სასწავლო გეგმებს. გამოცდები ჩატარდა შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, მათემატიკა და უცხო ენა. ამასთანავე, სკოლის დამამთავრებელ გამოცდებს აქვს ატესტატის ასაღებად საჭირო დატვირთვა და არის მინიმალური კომპეტენციის დამადასტურებელი.

საატესტატო გამოცდებთან დაკავშირებით 2011 წელს გამოიკვეთა 2 ტიპის პრობლემა:

(ა) მოსწავლეთა საკმაოდ დიდმა რაოდენობამ ვერ გადალახა მინიმალური ზღვარი. 4110 მოსწავლიდან მხოლოდ 2500-მა მოსწავლემ შეძლო საატესტატო გამოცდების მოთხოვნის დაკმაყოფილება (შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტრო, 2014). ანუ, 1610-მა მოსწავლემ ვერ გადალახა საატესტატო ზღვარი (გამოცდაზე გასულ მოსწავლეთა 39, 17%).

(ბ) საგნების მიხედვით საატესტატო გამოცდების შედეგები ძალიან დაბალია. ქართულ ენაში არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებს სხვა საგნებთან შედარებით უფრო მაღალი შედეგები აქვთ (ტაბატაძე და სხვები, 2014).

ცხრილი 26. გამოსაშვებ გამოცდებზე არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეთა საშუალო მაჩვენებლები (ცხრილი შედგენილია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული პირველადი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით)

საგანი	საშუალო ქულა
ქართული	7.29516
მათემატიკა	6.217
ბიოლოგია	6.0885
ქიმია	6.518
ისტორია	6.426
გეოგრაფია	6.8008
ფიზიკა	6.0313
უცხო ენები	6.5615

აღსანიშნავია, რომ 1610 მოსწავლის უატესტატოდ დატოვების საფრთხიდან გამომდინარე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა 2011 წლის 12 ივლისს გამოსცა N453 ბრძანება, რომლის მიხედვით, „პირს, რომელიც სკოლის გამოსაშვებ გამოცდებზე არ დარეგისტრირდა ან ვერ მიიღო სრული ატესტატის მოპოვებისთვის საჭირო საგნებში დადებითი შეფასება და სურს, სწავლა განაგრძოს უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ეძლევა სპეციალური სერიის მქონე სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. სპეციალური სერიის მქონე ატესტატის მფლობელი ვერ სარგებლობს საქართველოში მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლისა და მობილობის უფლებით (ტაბატაძე და სხვები, 2014).

აღნიშნული ბრძანების მიღების საფუძველი სწორედ საატესტატო გამოცდებზე არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეთა დაბალი შედეგები გახლდათ, რის შესახებაც საუბრობს ყოფილი განათლების მინისტრიც: „ბავშვებს, რომლებიც აპირებენ საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებას, ვაძლევთ სპეციალური სერიის ატესტატს, რომლის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ საზღვარგარეთ. ამ ატესტატის საქართველოში გამოყენება და მოგვიანებით აქ სწავლის გაგრძელება შეუძლებელია. ჩვენ ამ ბავშვებს განათლების მიღებაში ვეხმარებით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი სომეხი და აზერბაიჯანელი თანამოქალაქეებისთვის. საატესტატო გამოცდები ყველა ქვეყანაში არ არის და რამდენიმე ქვეყანა არ აღიარებს სკოლის მიერ გაცემულ სერტიფიკატს (კახეთი, საინფორმაციო ცენტრი, 2012; ტაბატაძე და სხვები , 2014).

2012 წლის საატესტატო გამოცდების შედეგებიც საკმაოდ ნეგატიური აღმოჩნდა არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეთათვის და მათი საკმაოდ დიდი პროცენტი ჩაიჭრა აღნიშნულ გამოცდებზე. შედარებისა და თვალსაჩინოებისთვის გავაანალიზებთ ჩაჭრილთა რაოდენობას საერთოდ საქართველოს მასშტაბითა და არაქართულენოვან რეგიონებში კომპაქტური განსახლების რაიონების არაქართულენოვანი სკოლების მეთორმეტეკლასელებთან შედარებით (ტაბატაძე და სხვები, 2014):

ცხრილი 27. 2012 წლის საატესტატო გამოცდების შედეგებით საგნების მიხედვით ჩაჭრილთა რაოდენობა – კომპაქტური განსახლების რაიონების არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეები (ახალქალაქი, ნინოწმინდა, მარნეული, ბოლნისი, დმანისი, ასპინძა)

საგანი	გამოცდაზე გამსვლელთა რაოდენობა	გადალახა	ვერგადალახა	ჩაჭრილთა %
ქართული	**2262**	**1936**	**326**	14.4
მათემატიკა	2288	1711	577	25.2
უცხოენა	2328	2101	227	9.7
ისტორია	2210	1987	223	10.1
გეოგრაფია	2222	2039	183	8.2
ბიოლოგია	2227	1896	331	14.8
ქიმია	2237	1994	243	10.8
ფიზიკა	2290	1604	686	29.9

ცხრილი 28. 2012 წლის საატესტატო გამოცდების შედეგებით საგნების მიხედვით ჩაჭრილთა რაოდენობა საქართველოს მასშტაბით

საგანი	გამოცდაზე გამსვლელთა რაოდენობა	გადალახა	ვერგადალახა	ჩაჭრილთა %
ქართული	**39444**	**38691**	**753**	1.9
მათემატიკა	39621	38457	1164	2.9
უცხოენა	39625	38169	1456	3.6
ისტორია	38931	38304	627	1.6
გეოგრაფია	38814	38000	814	2.1
ბიოლოგია	38766	37727	1039	2.7
ქიმია	38817	38221	596	1.5
ფიზიკა	38981	37208	1773	4.5

წარმოდგენილი სტატისტიკური ანალიზიდან თვალსაჩინოა ის უკიდურესი სხვაობა, რომელიც არსებობს არაქართულენოვან და ქართულენოვანი სკოლის მოსწავლეების მაჩვენებლებს შორის. არაქართულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულებში ჩაჭრილთა პროცენტული რაოდენობა სხვადასხვა საგანში 8,23%-დან 29,95%-მდე მერყეობს. იგივე მაჩვენებელი საქართველოს მასშტაბით 1,53%-დან 4,54%-მდე მერყეობს. აღნიშნული შედეგები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს არაქართულენოვან სკოლებში სწავლების ხარისხის ძალიან დაბალ დონეს, მათ შორის ქართულენოვან სკოლებთან შედარებითაც (ტაბატაძე და სხვები, 2014).

ერთიანი ეროვნული გამოცდები.

ანალოგიური ვითარებაა ერთიანი ეროვნული გამოცდების ზოგადი უნარების ტესტებშიც, რომელსაც სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტები მათ მშობლიურ ენაზე აბარებენ. 2010-2013 წლების მისაღები გამოცდების შედეგები ხაზს უსვამს ზოგადი უნარების ტესტებში სომხურენოვან და აზერბაიჯანულენოვან ჩაჭრილ აბიტურიენტთა საკმაოდ მაღალ რაოდენობას, რაც 27,8%-ს შეადგენს. აქვე აღსანიშნავია, რომ ქართულენოვან აბიტურიენტთა ანალოგიური მაჩვენებელი არ აღემატება 10 %-ს. ჩაჭრილ აბიტურიენტთა მაღალი მაჩვენებელი ააშკარავებს ზოგადი განათლების სისტემაში არსებულ პრობლემებს. თვალსაჩინოებისათვის იხილეთ ცხრილი, სადაც წარმოდგენილია წლების მიხედვით ჩაჭრილი აბიტურიენტების რაოდენობა და მისი შეფარდება გამოცდაზე გასულთა რაოდენობასთან (ტაბატაძე, გორგაძე, 2013).

ცხრილი 29. 2010-2013 წლებში რეგისტრაციის, გამოცდაზე გასვლის საერთო სტატისტიკა

წელი	რეგისტრაცია	გავიდა გამოცდაზე	გადალახა ზღვარი ზოგად უნარებში	ჩაიჭრა	ჩაჭრილთა %
2010	**588**	**491**	**331**	**160**	**32.5**
2011	**574**	**517**	**394**	**123**	**23.7**

2012	**869**	**803**	**614**	**189**	**23.5**
2013	**1460**	**1332**	**928**	**404**	**30.3**
სულ:	**3491**	**3143**	**2267**	**876**	**27.8**

ასევე კარგ სურათს იძლევა ანალიზისთვის სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი აბიტურიენტების ზოგადი უნარების გამოცდების შედეგები და მათი შედარება ქართულენოვანი და რუსულენოვანი აბიტურიენტების შედეგებთან. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადი უნარების გამოცდა ტარდება აბიტურიენტთა მშობლიურ ენაზე, მათი შედეგები გაცილებით დაბალია ქართულენოვან და რუსულენოვან აბიტურიენტებთან შედარებით, რაც კიდევ ერთხელ ნათლად მიუთითებს ზოგადი განათლების საფეხურზე სწავლების ხარისხთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ნათელს ხდის ამ თვალსაზრისით არსებულ პრობლემატიკას (ტაბატაძე, გორგაძე, 2013):

ცხრილი 30. 2010-2013 წლების ზოგადი უნარების ტესტის საშუალო ქულა გამოცდის ენის მიხედვით. საშუალო ქულა წლების მიხედვით

გამოცდა	2010	2011	2012	2013
ზოგადი უნარები (სულ)	**37.00**	**37.58**	**37.30**	**37.29**
ზოგადი უნარები (ქართ.)	**37.15**	**37.75**	**37.52**	**37.64**
ზოგადი უნარები (რუს.)	**38.28**	**39.00**	**39.43**	**40.40**
ზოგადი უნარები (აზერ.)	**23.85**	**26.88**	**26.68**	**25.02**
ზოგადი უნარები (სომხ.)	**25.20**	**26.62**	**26.94**	**28.39**

(ბ) იძულებით ადგილნაცვალ პირთა დაფინანსება.

იძულებით ადგილნაცვალ პირთა ზოგადი განათლების ხელშეწყობისა თუ სოციალური ინტეგრაციისთვის ახალი დაფინანსების სისტემაში არავითარი განსაკუთრებული ღონისძიება არ გატარებულა. ვაუჩერული დაფინანსება არ ითვალისწინებს დამატებითი დაფინანსების გამოყოფას იმ სკოლების ან იმ რეგიონების სკოლებისთვის, სადაც იძულებით ადგილნაცვალი მოსწავლეები სწავლობენ. აღნიშნული მოსახლეობასთვის სპეციალური ფსიქოლოგიური დახმარების, საგანმანათლებლო თუ ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდებოდა, მათ შორის სახელიმწიფი დაფინანსებით 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ, თუმცა დღესდღეობით იძულებით ადგილნაცვალ პირთათვის თანაბარი საგანმანათლებლო პირობების შექმნის მიზნით დამატებით დაფინანსება ზოგადი განათლების სისტემაში (ისევე როგორც კონკრეტული პროგრამები) არ ხორციელდება.

გ) ინკლუზიური განათლების დაფინანსება.

დღევანდელი მდგომარეობით საქართველოს მასშტაბით 245 საჯარო სკოლა (საჯარო სკოლების საერთო რაოდენობის დაახლოებით 12%) აღჭურვილია ეტლით მოსარგებლე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის გაკეთებული პანდუსით, ხოლო 103 საჯარო სკოლაში (საჯარო სკოლების საერთო რაოდენობის დაახლოებით 5%) მოწყობილია

ადაპტირებული სველი წერტილი. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ადაპტაციისა და მათთვის ხელმისაწვდომი ფიზიკური გარემოს სტანდარტების გათვალისწინების ვალდებულებას პროექტირებისა და მშენებლობის პროცესში არეგულირებს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 06 იანვრის N41 განკარგულება (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი, 2014). აღნიშნული რაოდენობა, რა თქმა უნდა, ხელმისაწვდომს არ ხდის განათლებას შეზღუდული შესაძლებლობების მოსწავლეთათვის, თუმცა პროგრესი ამ თვალსაზრისით მაინც თვალსაჩინოა.

სკოლის ინკლუზიური განათლების სტანდარტების მიხედვით მოწყობისთვის 2014 წლის სამინისტროს ბიუჯეტიდან ,,ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 იანვრის დადგენილების პირველი მუხლის მე-13 პუნქტის თანახმად, საჯარო სკოლებს გამოეყოფა დამატებითი დაფინანსება:

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 1-6 მოსწავლის სწავლებისათვის - 4 200 ლარის ოდენობით;

7-13 მოსწავლის სწავლებისათვის - 8 400 ლარის ოდენობით;

14-23 მოსწავლის სწავლებისათვის - 12 600 ლარის ოდენობით და

23-ზე მეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლებისათვის - 16 800 ლარის ოდენობით.

2014 წლის აპრილის თვის მონაცემებით აღნიშნული მიზნით 689 საჯარო სკოლას 3 381 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სწავლებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერიცხება თანხა. აქვე აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა კვლევით ინკლუზიურ მოსწავლეთა რაოდენობა 10 000-ს ბევრად აჭარბებს. (იუნესკოს კვლევა, 2012). ეს კვლევები ადასტურებს, რომ დგას ინკლუზიურ მოსწავლეთა რეგისტრაციის პრობლემა. ფოკუსჯგუფებმა მშობლებთან, სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან ამ თვალსაზრისით ორი პრობლემა გამოკვეთა:

(ა) სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების მშობლები არ არეგისტრირებენ მოსწავლეს, რათა თავიდან აირიდონ ბავშვის სტიგმატიზაცია. ანუ, რეალურად სკოლაში სერიოზულად დგას ასეთი მოსწავლეების ინკლუზიის პრობლემა და მშობლები უარს ამბობენ რეგისტრაციაზე, რაც სკოლებს ამ მოსწავლეების საჭიროებებზე რეაგირების საშუალებას არ აძლევს;

(ბ) მშობლები საუბრობენ იმ აუცილებელ პირობებზე, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების წარმატებული ინტეგრაციისა და ადეკვატური აკადემიური შედეგებისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ უმრავლეს შემთხვევაში ამგვარი პირობების შექმნა სკოლებში ვერ ხერხდება, ისინი პრიორიტეტს სპეციალიზებულ სკოლებს ანიჭებენ ამგვარი სკოლების ტერიტორიულად მოსახერხებელ ადგილას არსებობის შემთხვევაში;

(გ) მშობლების მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულება ჩნდება, თუ კლასში ირიცხება სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლე, შესაბამისად, სკოლის ადმინისტრაცია დაინტერესებულია, რომ არ ჰყავდეს ასეთი მოსწავლეები;

(დ) პედაგოგები საუბრობენ არასაკმარის კადრებზე იმისათვის, რომ ეფექტურად მოხდეს ინკლუზიური განათლების განხორციელება კლასში; შესაბამისად, საუბრობენ შემთხვევებზე, როდესაც კლასში მოსწავლეები არათანაბარ პირობებში აღმოჩნდებიან, რადგან სასწავლო პროცესი მხოლოდ სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეზე ხდება ორიენტირებული.

მიუხედავად წარმოჩენილი პრობლემებისა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გარკვეულ ნაბიჯებს დგამს ამ პრობლემების მოსაგვარებლად. კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 24 იანვრის N110 ბრძანებით დამტკიცებული ,,ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში მიმდინარე წელს ფინანსდება სამ საჯარო სკოლასთან (სსიპ ქალაქ თბილისის N64 საჯარო სკოლა, სსიპ ქალაქ თბილისის N166 საჯარო სკოლა, სსიპ ქალაქ თბილისის N147 საჯარო სკოლა (ამ უკანასკნელი სკოლის მიერ განხორციელდა საგანმანათლებლო სერვისის მიწოდება იაშვილის სახელობის კლინიკაში ხანგრძლივად ჰოსპიტალიზებულ ქრონიკული დაავადებების მქონე ბავშვებისთვის)) არსებული ინტეგრირებული კლასები, რისთვისაც პროგრამის ფარგლებში გამოყოფილია 67 700 ლარის ოდენობით ასიგნებები **(განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი, 2014**).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 24 იანვრის N109 ბრძანებით დამტკიცებული ,,განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა სპეციალური დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში მიმდინარე წელს ფინანსდება პანსიონური მომსახურების მქონე 8 საჯარო სკოლა: სსიპ ქალაქ თბილისის N200 საჯარო სკოლა, სსიპ ქალაქ თბილისის N202 საჯარო სკოლა, სსიპ ქალაქ თბილისის N203 საჯარო სკოლა, სსიპ ქალაქ თბილისის N198 საჯარო სკოლა, სსიპ ქალაქ სამტრედიის N15 საჯარო სკოლა, სსიპ ქალაქ ჭიათურის N12 საჯარო სკოლა, სსიპ ქალაქ ახალციხის N7 საჯარო სკოლა და სსიპ ქალაქ ქუთაისის N45 საჯარო სკოლა. აღნიშნული საჯარო სკოლების საერთო დაფინანსება პროგრამის ფარგლებში შეადგენს 700 200 ლარს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი, 2014).

სპეციალური მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისი „სპეციალური მასწავლებლის პროფესიული განვითარების კურსი" 2011 წლიდან დღემდე გაიარა 211-მა პედაგოგმა (**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი, 2014**).

2013 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში განახორციელა „საჯარო სკოლებში ინტეგრირებული კლასების შექმნის ქვეპროგრამა", რომელიც 2014 წელსაც ხორციელდება.

პრობლემების მქონე დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის ფუნქციონირება დაიწყო ინტეგრირებულმა კლასმა. კლასის ბენეფიციარები უზრუნველყოფილი არიან სპეციალური მასწავლებლის, ფსიქოლოგის, მეტყველების თერაპევტის, სურდოპედაგოგის, საგნის მასწავლებლისა და დამხმარე სპეციალისტის (ძიძის) მომსახურებით (მოსწავლეების მიღწევებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციების შესაბამისად). ინტეგრირებული კლასების ფუნქციონირებამ წარმოაჩინა საჯარო სკოლებში მსგავსი ტიპის მომსახურების არსებობის საჭიროება, შესაბამისად, 2014-2015 სასწავლო წლიდან რამდენიმე სკოლაში იგეგმება

ახალი ინტეგრირებული კლასის გახსნა (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი, 2014).

დ) მოქალაქეობის არმქონე პირთა და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა დაფინანსება.

უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ან მოქალაქეობის არმქონე პირთა ვაუჩერული დაფინანსება პრობლემატური იყო გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რაც აღინიშნებოდა არაერთ ანგარიშში. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური იყო ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტური განსახლების რეგიონებში, სადაც მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი არ იყო საქართველოს მოქალაქე და იყო საკუთარი ისტორიული სამშობლოს მოქალაქე, თუმცა რეალურად ცხოვრობდა მხოლოდ საქართველოში და ვერ იღებდა ვაუჩერს ზოგადი განათლებისთვის. მსგავსი ტიპის პრობლემა ჰქონდათ იმ მოსწავლეებს, რომლებიც საზღვარგარეთ დაიბადნენ, თუმცა მშობლები საქართველოს მოქალაქეები არიან, მაგრამ დაბადებით მიიღეს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა და ორმაგი მოქალაქეობა ჯერ არ მიუღიათ. ეს პრობლემა ამ ეტაპზე დარეგულირებულია და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გამოყოფს ვაუჩერულ დაფინანსებას. კერძოდ 2013-2014 წლებში უცხო ქვეყნის 397 მოქალაქე ფინანსდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ და მათი დაფინანსების საერთო წლიური მოცულობა შეადგენს 91 985.89 ლარს (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2014).

ე) სოციალურად დაუცველი ჯგუფების დაფინანსება.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ზოგადი განათლების დაფინანსების თვალსაზრისით დამატებითი დაფინანსება სკოლებზე სოციალურად დაუცველებისთვის არ ხორციელდება, თუმცა სამინისტროს ჰქონდა სპეციალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა ამ მოსწავლეების უზრუნველყოფას სახელმძღვანელოებით. აღსანიშნავია, რომ 2013 წლიდან ეს პროგრამა უნივერსალური გახდა და ვრცელდება საჯარო სკოლის ყველა მოსწავლეზე და კერძო სკოლების სოციალურად დაუცველ მოსწავლეებზე. ამასთანავე, სამინისტრომ მოსწავლეთა განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით დაიწყო მოსწავლეთა სკოლამდე ტრანსპორტირების პროგრამა. ამ ეტაპზე სხვა დამატებითი სპეციალური პროგრამა ზოგადი განათლების საფეხურზე სოციალურად დაუცველთათვის არ ხორციელდება, ისევე როგორც დაფინანსების ფორმულა არ ითვალისწინებს დამატებით დაფინანსებას სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისთვის და საჭიროებებზე მორგებული დაფინანსების სისტემის შემოტანას. ამ თვალსაზრისით „უნივერსალიზმის“ მიდგომა საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში გრძელდება.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მნიშვნელოვან კორელაციაშია ზოგადი განათლების მიღებასთან. საქართველოში სოციალური მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. მოსწავლეთა ოჯახების ნაწილი სიღარიბის ზღვარს ქვემოთაა, რაც მნიშვნელოვნად აისახება სოციალურად დაუცველი მოსწავლეების სწავლაზე. 2008 წლის მონაცემებით, ყველაზე ღარიბი რეგიონებია: ქვემო ქართლი, აჭარა, მცხეთა-თიანეთი და კახეთი, სადაც სიღარიბის მაჩვენებელი 50%-ზე მაღალია. საქართველოს ღარიბი მოსახლეობის 40% სწორედ აღნიშნულ რეგიონებში ცხოვრობს. შედარებით დაბალი სიღარიბის დონის მქონე რეგიონებია: თბილისი (30.2%), იმერეთი (31.4%) და სამცხე-ჯავახეთი (32.6%). 2008 წლისთვის ყველაზე მდიდარი რეგიონის _ თბილისის ფულადი

შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე ღარიბი რეგიონების ფულად შემოსავალს 2.5-ჯერ აღემატებოდა. თუმცა, ღარიბი მოსახლეობის ყველაზე დიდი ნაწილი (20%) სწორედ საქართველოს დედაქალაქში ცხოვრობს. საქართველოში დიდია უმუშევართა რაოდენობაც. საქართველოში დაუსაქმებელთა რაოდენობამ 2008 წელს შეადგინა 297.6 ათასი ადამიანი.

ცხრილი 31. სიღარიბის დონის და ღარიბთა განაწილება რეგიონების მიხედვით (ოფიციალურ მინიმუმთან მიმართებით)

რეგიონი	2005	2008	ცვლილებები
1. კახეთი	45,0	50,2	5,2
2. თბილისი	29,8	30,2	0,4
3. შიდა ქართლი	40,6	47,2	6,6
4. ქვემო ქართლი	66,0	52,5	-13,5
5. სამცხე-ჯავახეთი	47,1	32,6	-14,5
6. აჭარა	48,1	52,5	4,4
7. გურია	34,7	47,8	13,1
8.სამეგრელო	41,7	41,1	-0,6
9.იმერეთი	26,1	31,4	5,3
10.მცხეთა-თიანეთი	46,9	52,2	5,3
სულ:	39,5	39,9	0,4

საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო კომისია (CEGSTAR), 2009.

სიღარიბის მაჩვენებელი რეგიონის მიხედვით თითქმის თანხვდება, მაგალითად, რეგიონების მიხედვით მოსწავლეების მიერ სკოლის მიტოვების მაჩვენებლები.

დიაგრამა 2. რეგიონების მიხედვით მოსწავლეების სკოლის მიტოვების მაჩვენებელი.



საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, 2007 (EMIS).

ამასთანავე, აღსანიშნავია ამ თვალსაზრისით 2005-2006 წლების სტატისტიკა, თუ რა მიზეზებით მოხდა ამ წლებში სკოლის მიტოვება. ეს სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი 32. სკოლის მიტოვების მიზეზები, მსოფლიოს ბავშვთა ფონდი, 2013

მიზეზი	რაოდენობა	%
საზღვარგარეთ წასვლა	2817	46%
მუშაობის დაწყება	1388	22%
ქორწინება	560	9 %
ავადმყოფობა	287	5 %
სიკვდილიანობა	150	3%
მიზეზი უცნობია	853	15%
სულ	6055	100 %

სკოლის მიტოვების მიზეზებში თვალსაჩინოა, რომ ჭარბობს სოციალური პრობლემები, მათ შორის სოციალური მდგომარეობის გამო საზღვარგარეთ წასვლა და მოსწავლეთა მოწყვეტა განათლების სისტემიდან, მუშაობა ადრეულ ასაკში, დაქორწინება ადრეულ ასაკში და ავადმყოფობა. შესაბამისად, სოციალური დაუცველი მოსწავლეებისთვის დამატებითი დაფინანსება და პროგრამული უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი კომპონენტია თანასწორი საგანმანათლებლო შესაძლებლობების შესაქმნელად.

ვ) სოფელსა და ქალაქს შორის არსებული განსხვავებული შესაძლებლობები.

ამ თვალსაზრისით რამდენიმე პრობლემა გამოიკვეთა: ქალაქის სკოლებს აქვთ შემოსავლების დივერსიფიკაციის შესაძლებლობა, ანუ, მათ შეუძლიათ ვაუჩერული დაფინანსების მიღმა მიიღონ დამატებითი დაფინანსება იჯარის, საგანმანათლებლო სერვისებისა თუ ადგილობრივი თვითმმართველობის დახმარებით, რისი საშუალებაც სოფლისა და მთის სკოლებს არ გააჩნიათ. შემოსავლებისა და ხარჯების თვალსაზრისით სოფელსა და ქალაქს შორის არსებულ განსხვავებებზე ყურადღება გამახვილებულია სხვა კვლევებშიც. გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებულ კვლევაში ხაზგასმულია, რომ თბილისის ცენტრალურ ადგილებში ზოგიერთი სკოლის დამატებითი შემოსავალი საკმაოდ მაღალია და რიგ შემთხვევებში ოდნავ ჩამორჩება ვაუჩერულ დაფინანსებას. ამავე კვლევის მიხედვით, თბილისის ცენტრალურ უბნებში შერჩეული 29 სკოლიდან 27 იღებს შემოსავალს სკოლის ფართის გაქირავებით და ეს შემოსავალი მერყეობს სკოლების საერთო შემოსავლის 3-დან 11 %-მდე (გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევა, 2013).

ჩვენი კვლევის ფარგლებში დადასტურებულია აღნიშნული განსხვავება და ტენდენცია. ქალაქის სკოლებს მეტი შესაძლებლობა აქვთ დამატებითი დაფინანსება მიიღონ როგორც იჯარის, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტიდან. სკოლების მიერ ფართის იჯარით გაცემის შესწავლამ აჩვენა, რომ კვლევაში მონაწილე ქალაქის სკოლების 70 %-ს აქვს იჯარიდან მიღებული რაიმე ტიპის შემოსავალი, იმ დროს, როცა სოფლის, დაბისა და მთის სკოლებში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 19 %-ს წარმოადგენს. აღნიშნული ტენდენცია წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

ცხრილი 33. სკოლების გადანაწილება იჯარით მიღებული შემოსავლებით გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით

გეოგრაფიული მდებარეობა	**იჯარა**	**იჯარის გარეშე**	**სულ**	**%**
ქალაქი	65	29	94	69.15
სოფელი/დაბა/მთა	64	272	336	19.05
	129	301	430	30

ფართის თუ სხვა ქონების იჯარით მიღებული შემოსავლის გადანაწილება საინტერესოა რეგიონების მიხედვით. ამ საკითხის შესწავლა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმ რეგიონებზე, რომელთა შემოსავლის ერთადერთი წყაროც სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მიღებული თანხაა. ამ თვალსაზრისით ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ჩანს, რომ იჯარით მიღებული შემოსავლების მიხედვით თბილისსა და იმ რეგიონებს აქვთ მაღალი პროცენტული მაჩვენებელი, სადაც არის დიდი ქალაქი (აჭარა - ბათუმი, იმერეთი - ქუთაისი, შიდა ქართლი - გორი, კახეთი - თელავი და ა.შ). აღნიშნული ინფორმაცია დეტალურად არის წარმოდგენილი ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ცხრილი 34. ქონების იჯარით შემოსული შემოსავლებით სკოლები რეგიონების მიხედვით

რეგიონები	იჯარა	იჯარის გარეშე	სულ	%
იმერეთი	22	55	77	28.6
ქვემო ქართლი	11	40	51	21.6
შიდა ქართლი	14	14	28	50
გურია	1	14	15	6.67
აჭარა	16	35	51	31.4
კახეთი	18	30	48	37.5
თბილისი	27	4	31	87.1
მცხეთა-მთიანეთი	3	11	14	21.4
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	1	17	18	5.56
სამეგრელო ზემო სვანეთი	13	41	54	24.1
სამცხე-ჯავახეთი	3	40	43	6.98
სულ	129	301	430	30

სკოლების შემოსავლების დივერსიფიკაციის და ამ მხრივ არსებული შესაძლებლობების მიხედვით საინტერესო სურათი აჩვენა კვლევამ ადგილობრივი თვითმმართველობისგან მიღებული შემოსავლების თვალსაზრისით. კვლევის ფარგლებში 432 სკოლიდან 22-მა სკოლამ დააფიქსირა, რომ მათ შემოსავალი მიღებული აქვთ ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან. თუ ამ თვალსაზრისით ქალაქისა და სოფლის/მთის სკოლებს შევადარებთ, გამოჩნდება, რომ დაფინანსებას იღებენ როგორც ქალაქის, ასევე სოფლის სკოლები, მაგრამ ქალაქის სკოლების ხვედრითი წილი კვლევაში მონაწილე დაფინასებულ სკოლებს შორის დაახლოებით 31 %-ია (22-დან 7 სკოლა), ეს მაშინ, როცა

კვლევაში მონაწილე სკოლებიდან მხოლოდ 21,8% წარმოადგენდა ქალაქის სკოლებს, რაც თავისთავად მიუთითებს, რომ ქალაქის სკოლები უფრო მეტად ფინანსდება ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტიდან. ეს არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი, თუმცა თუნდაც დაფინანსების შესაძლებლობის თვალსაზრისით, ნათელია, რომ ქალაქის დონის თვითმმართველობებს აქვთ შესაძლებლობა საკუთარი ბიუჯეტით დააფინანსონ საჯარო სკოლები, რასაც მოკლებულია სოფლის დონის თვითმმართველობები მათი დაბალი შემოსავლებისა და ფინანსების გამო.

გეოგრაფიული უთანასწორობა მნიშვნელოვანია არამხოლოდ დაფინანსების კონტექსტში, არამედ ის რეალურად განაპირობებს სხვადასხვა საგანმანათლებლო შესაძლებლობებს მოსწავლეებისთვის. თუმცა ამ უთანასწორობის აღმოსაფხვრელად მთისა და მცირეკონტინგენტიანი სოფლის სკოლების დაფინანსების ზრდაზე მეტად ამ სკოლების სტრუქტურულ და შინაარსობრივ რეფორმირებას უნდა ჰქონდეს რეალური ეფექტი. ამ კონტექსტში საინტერესოა 2010-2011 წლებში ჩატარებული კვლევა გეოგრაფიული უთანასწორობის შესახებ სტუდენტთა უმაღლეს სასწავლებლებში პრესტიჟულ და კონკურენტულ პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ (ჩანქსელიანი, 2012). **კვლევის მიზანი იყო,** დაედგინა კავშირი აბიტურიენტის წარმოშობის ადგილსა და უმაღლესი სასწავლებლის არჩევას შორის და კავშირი აბიტურიენტის წარმოშობის ადგილსა და პრესტიჟულ სასწავლებელში მოხვედრის ალბათობას შორის. **კვლევის ფარგლებში** გამოყენებული იყო რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების შერეული მეთოდი.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ რაც უფრო ვინაცვლებთ მაღალმთიანი სოფლებიდან ქალაქის ტიპის დასახლებებისაკენ, მით უფრო იზრდება მოთხოვნა ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტებზე. მაღლამთიანი სოფლების მოსახლე აბიტურიენტების მხოლოდ 26% და თბილისელი აბიტურიენტების 46% პრიორიტეტეულ არჩევანად ყველაზე პრესტიჟულ უნივერსიტეტს ასახელებს. წინამდებარე კვლევის მიხედვით, ის აბიტურიენტები, რომლებიც სკოლას დედაქალაქში არ ამთავრებენ, ეროვნულ გამოცდებზე პირველ არჩევანად ძირითადად არაპრესტიჟულ ან არც ისე პრესტიჟულ უნივერსიტეტებს ასახელებენ. აბიტურიენტების მიერ პრიორიტეტულად დასახელებული უნივერსიტეტების ზოგადი უნარების ქულისა და გეოგრაფიული წარმოშობის მიხედვით ანალიზმა აჩვენა, რომ უნარებში ერთი და იმავე ქულის მქონე ორი აბიტურიენტიდან მაღალმთიანი სოფლის მაცხოვრებელი თბილისელთან შედარებით დაახლოებით 12-ჯერ მეტი ალბათობით ირჩევს ყველაზე არაპრესტიჟულ უნივერსიტეტს (ჩანქსელიანი, 2012).

კვლევამ დაადასტურა, რომ არსებობს კავშირი სტუდენტის გეოგრაფიულ წარმოშობასა და იმ სასწავლებლის პრესტიჟულობას შორის, სადაც ის გამოცდების შემდეგ ხვდება. სოფლელი სტუდენტები მნიშვნელოვნად ნაკლები ალბათობით ხვდებიან პრესტიჟულ სასწავლებელში, ვიდრე ქალაქელი სტუდენტები. თბილისელებთან შედარებით მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები სტუდენტები თითქმის 8-ჯერ მეტი ალბათობით ხვდებიან ყველაზე არაპრესტიჟულ უნივერსიტეტებში, ხოლო სოფელში მცხოვრები სტუდენტები 7-ჯერ მეტი ალბათობით ხვდებიან ყველაზე არაპრესტიჟულ უნივერისტეტებში, ვიდრე ყველაზე პრესტიჟულ სასწავლებელში.

აღნიშნული კვლევის შედეგები ცალსახას ხდის, რომ მიუხედავად მაღალმთიანი და სოფლის სკოლებზე გაწეული დანახარჯებისა, შედეგის თვალსაზრისით საკმაოდ მძიმე ვითარებაა

და საჭიროა ამ სკოლების და მთლიანად სისტემის ოპტიმიზაცია და ეფექტური მართვა როგორც ფინანსური რესურსების, ასევე სწავლების ხარისხისა და სასწავლო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით.

შეიძლება შევაჯამოთ: დაფინანსების არსებული სისტემა მეტ-ნაკლებად უპასუხებს თანასწორობის საკითხებს და ცდილობს დამატებითი დაფინანსებით თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობა შეუქმნას ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, მცირეკონტინგენტიანი სკოლის, მთისა და სოფლის სკოლის მოსწავლეებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებს, უცხოელ მოსწავლეებს და ა.შ. მიუხედავად დაფინანსების უზრუნველყოფისა, ვერცერთი ეს სეგმენტი ვერ იძლევა თანაბარ საგანმანათლებლო შესაძლებლობებს ამ ჯგუფებისთვის. მოწყვლადი ფენების წარმომადგენელი მოსწავლეები რეალურად უთანასწორო ვითარებაში იმყოფებიან. ამის მიზეზია დაფინანსებისა და განათლების პოლიტიკის ურთიერთკავშირის არარსებობა. რეალურად გამოყოფილი დამატებითი ფინანსები არ არის გამომდინარე განათლების ამ სეგმენტის პოლიტიკიდან; მაგალითად, არაქართულენოვანი სკოლებისთვის გამოყოფილი დამატებითი თანხები არ გამომდინარეობს ამ სკოლების რეფორმირებისა და მათი ლინგვისტური საჭიროებების გათვალისწინებით შემუშავებული განათლების პოლიტიკიდან. ანალოგიური ვითარებაა მთის მცირეკონტინგენტიანი სკოლების დაფინანსების კონტექსტშიც, ისევე როგორც ინკლუზიური მოსწავლეების დაფინანსების შემთხვევაში. ამიტომ უმნიშვნელოვანესია, რომ განათლების დაფინანსებისთვის ამოსავალი იყოს არამხოლოდ ფინანსური პერსპექტივა, არამედ, საერთოდ, განათლების რაციონალური პოლიტიკა და მისით ხელმძღვანელობა.

თავი 4.
სამაგიდე კვლევის შედეგები / ეფექტიანობა და კონკურენცია / მართვისა და ხარჯების ოპტიმიზაცია

ვაუჩერული დაფინანსების სისტემის შეფასება კვლევის ფარგლებში მოხდა განათლების პოლიტიკის ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულების კონტექსტში, როგორიცაა სისტემის ეფექტური და ოპტიმალური მართვა ფინანსური თვალსაზრისით. კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს ზოგადი განათლების დაფინანსების არსებული სისტემა ხელს არ უწყობს ხარჯების ოპტიმიზაციას, სკოლებს შორის კონკურენციასა და სისტემის ეფექტიან მართვას. არსებული ვაუჩერული დაფინანსების სისტემის ფარგლებში საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში შემდეგი ტენდენციები იკვეთება:

(ა) 2084 საჯარო სკოლიდან 1264 არ ფინანსდება ვაუჩერული დაფინანსების სისტემით და, შესაბამისად, ეს სკოლები ამ სისტემის მიღმაა. აქედან გამომდინარე, მათი ბიუჯეტი მოჭრილ კალკულაციაზე გათვლილი, რაც ძველ, 2005 წლამდე, ვაუჩერულ დაფინანსებაზე გადასვლამდე არსებულ სისტემაზე დაბრუნების ნიშნებს ატარებს. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენილია სკოლების გადანაწილება მოქმედი ზოგადი განათლების დაფინანსების ნორმატივის შესაბამისად.

დიაგრამა 3. სკოლების გადანაწილება მოქმედი ზოგადი განათლების დაფინანსების ნორმატივის შესაბამისად



აქვე საინტერესოა სკოლების პროცენტული განაწილება სკოლის სიდიდის მიხედვით ვაუჩერული დაფინანსების ნორმატივის შესაბამისად. არსებული საჯარო სკოლების 61% მოსწავლეთა რაოდენობის 1-169-მდე მარჯაშია და, შესაბამისად, არ იღებს ვაუჩერულ დაფინანსებას, რეალურ ხარჯებზე დაფუძნებულ დაფინანსებას:

დიაგრამა 4. სკოლების პროცენტული გადანაწილება მოქმედი ზოგადი განათლების დაფინანსების ნორმატივის შესაბამისად



სკოლებში მოსწავლეების რაოდენობის გადანაწილება სკოლის სიდიდის მიხედვით გვაძლევს შესაძლებლობას გარკვეული ანალიზი გაკეთდეს სისტემის მოქნილობის თვალსაზრისით. კერძოდ, სკოლების საერთო რაოდენობის 60, 17%-ში მოსწავლეთა მხოლოდ 19% სწავლობს. ეს ტენდენცია დეტალურად არის წარმოდგენილი ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაში:

დიაგრამა 5. სკოლებში მოსწავლეთა პროცენტული გადანაწილება მოქმედი ზოგადი განათლების დაფინანსების ნორმატივის შესაბამისად სკოლების სიდიდის მიხედვით



სკოლების სიდიდის მიხედვით მასწავლებლების რაოდენობის გადანაწილება ასევე იძლევა გარკვეულ სურათს და ანალიზის საშუალებას. მაგალითად, სკოლების საერთო რაოდენობის 60,17%-ში (რომლებიც ვაუჩერული დაფინანსების მიღმა არიან დარჩენილი და მათი დაფინანსების მიღება და გადანაწილება გაუმჭვირვალე და გაურკვეველია) ასწავლის მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 42%, რომლებიც ემსახურებიან მოსწავლეთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 19%-ს.

დიაგრამა 6. სკოლებში მასწავლებელთა პროცენტული გადანაწილება მოქმედი ზოგადი განათლების დაფინანსების ნორმატივის შესაბამისად სკოლების სიდიდის მიხედვით



საინტერესოა დაფინანსების გადანაწილება სკოლის სიდიდის მიხედვით. არავაუჩერულ დაფინანსებაზე მყოფი სკოლების დაფინანსების წილი სკოლების დაფინანსების საერთო სისტემაში არის 41, 1%, ანუ, დაფინანსების 41%-ზე მეტი სისტემაში ხორციელდება მოსწავლეზე გათვლილი ვაუჩერის გარეშე. ამ თვალსაზრისით ინფორმაცია დეტალურად არის წარმოდგენილი ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაში.

დიაგრამა 7. სკოლების დაფინანსების პროცენტული გადანაწილება მოქმედი ზოგადი განათლების დაფინანსების ნორმატივის შესაბამისად სკოლების სიდიდის მიხედვით



დაფინანსების გაუმჭვირვალე და არასამართლიანი გადანაწილება 1-169-კონტინგენტიან სკოლებზე სერიოზულ გაურკვევლობას და ეჭვებს წარმოქმნის დაფინანსების სისტემის ეფექტურობაზე. კერძოდ, ერთნაირი კონტინგენტის მქონე სკოლების დაფინანსებას შორის სხვაობა დიდია. საკმაოდ ხშირად მოსწავლეთა ერთნაირი რაოდენობის პირობებში ერთი სკოლის დაფინანსება 3-4-ჯერ მეტია სხვა სკოლის დაფინანსებაზე. ეს არ არის გამონაკლისი შემთხვევები და მეტყველებს იმაზე, რომ სკოლების ბიუჯეტებს შორის განსხვავებას ლოგიკური ახსნა არა აქვს, არ შეიმჩნევა კონკრეტულ კრიტერიუმებზე დაფუძნებული ნიშნები. ეს ტენდენცია თვალსაჩინოა ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაში, სადაც წარმოდგენილია დაფინანსების „პრინციპები“, დაწყებული 6-10-კონტინგენტიანი სკოლებით და დამთავრებული 150-169-კონტინგენტიანი სკოლებით:

დიაგრამა 8. სკოლების დაფინანსების მაქსიმალური და მინიმალური ოდენობები 6-70-კონტინგენტიან სკოლებში



დიაგრამა 9. სკოლების დაფინანსების მაქსიმალური და მინიმალური ოდენობები 71-169 -კონტინგენტიან სკოლებში



ზემოთ წარმოდგენილი გრაფიკები ნათელს ხდის იმ დისპროპორციას, რაც სკოლების დაფინანსებაში არსებობს. ცხრილი დალაგებულია მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით, იდენტურია სკოლების სასწავლო გეგმა, თუმცა დაფინანსებაში განსხვავება არ არის. ზედმეტი თანხა სკოლებს მინიჭებული არა აქვთ ინკლუზიური სწავლებისთვის. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი კომპონენტი არ არის ტერიტორიული განსახლებაც: არის მაღალმთიანი, მაგრამ დაბალბიუჯეტიანი სკოლები მოსწავლეთა რაოდენობასთან შედარებით და ქალაქის, მაგრამ მაღალბიუჯეტიანი სკოლები.

შესაბამისად, ამ დისპროპორციას ორი ახსნადი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს:

(ა) სწავლების ენა;

(ბ) სკოლის კორპუსების რაოდენობა.

თუმცა ეს ორი კომპონენტიც ვერ ხსნის არსებულ დისპროპორციას, რომლის მაგალითიც ქვემოთ არის წარმოდგენილი სქემატურად.

დიაგრამა 10. ყველაზე მაღალი დაფინანსების 50-მოსწავლიანი და ყველაზე დაბალი დაფინანსების 150- მოსწავლიანი სკოლების დაფინანსების შედარება



არსებული სისტემის არაეფექტიანობა ნათლად ჩანს სხვადასხვა სკოლაში მოსწავლე-მასწავლებლების რაოდენობის შეფარდების თვალსაზრისით. ეს მონაცემები წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ცხრილი 35. მოსწავლე-მასწავლებლის შეფარდება სკოლის სიდიდის მიხედვით დაფინანსების ნორმატივის შესაბამისად

სკოლები	სკოლების რაოდენობა	მოსწავლეების რაოდენობა სულ (ძირითადი ბაზა)	მასწავლებლების რაოდენობა სულ	შეფარდება
1-169	1264	99165	25313	1/3,9
170-205	128	23365	3472	1/6,7
206-299	200	49226	6063	1/8,1
300-530	229	90106	9118	1/10,0
531-735	103	64741	5034	1/13,0
736-1269	124	116355	6810	1/17,08
1270 და ზევით	34	57588	3342	1/17,23
სულ	**2082**	**500546**	**59152**	**1/8,5**

წარმოდგენილი ცხრილი ცხადყოფს, რომ არსებობს სამი განსხვავებული შეფარდება:

(ა) მოსწავლე-მასწავლებლის ძალიან შეუსაბამო შეფარდება, როცა მასწავლებელთა რაოდენობა თითქმის უთანაბრდება მოსწავლეთა რაოდენობას: 1-169-კონტინგენტიან სკოლებში მოსწავლე-მასწავლებლის შეფარდება 1/3,9 შეადგენს. კიდევ ერთხელ აღსანიშნავია, რომ ამ სკოლების რაოდენობა სკოლების დაახლოებით 61%-ს შეადგენს;

(ბ) მაღალი შეფარდება მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. ამ მარჯაში ჯდება 736-1269-კონტინგენტიანი და 1270-ზე მეტ კონტინგენტიანი სკოლები. ეს სკოლების

საერთო რაოდენობის 7,59 %-ს შეადგენს, თუმცა ამ სკოლებში მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 34,7% სწავლობს;

(გ) დაბალანსებული შეფარდება მოსწავლე-მასწავლებელთა შორის 300-735-კონტინგენტიან სკოლები. ამ შეფარდებაში ხვდება სკოლების მხოლოდ 15,95% და მოსწავლეთა მხოლოდ 30,9%.

მოსწავლე-მასწავლებელთა შეფარდება ნათელს ხდის დაფინანსების არსებული სისტემისა და ზოგადი განათლების არსებული სისტემის არაეფექტურობას როგორც განათლების ხარისხის, ასევე შეზღუდული ფინანსური რესურსების მართვის თვალსაზრისით.

საინტერესოა, რომ ერთი მოსწავლის დაფინანსების ოდენობა მკვეთრად განსხვავდება სკოლის სიდიდის მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია ეს მონაცემები.

ცხრილი 36. მოსწავლეთა საშუალო წლიური დაფინანსება სკოლის სიდიდის მიხედვით

მოსწავლეთა რაოდენობა	თანხა წელიწადში (საჯარო სკოლები)	მოსწავლეთა რაოდენობა
1-10	7452,75	221
11-20	5305,95	1137
21-30	3775,20	2,314.0
31-40	3066,35	3316
41-50	2,494.5	5,052.0
51-60	2171,93	5,657.0
61-70	1,967.4	5,175.0
71-80	1665,44	7,489.0
81-90	1554,00	6398
91-100	1414.05	6384
101-110	1,294.3	11,840.0
111-120	1160.22	8079
121-130	1080,00	8729
131-140	1007,45	6925
141-150	973,17	7,172.0
151-169	867	13277
170-205	798.0	23,665.0
206-299	702.8	49,226.0
300-530	593.3	90,106.0
531-735	504.0	64,741.0
736-1269	467.2	116,355.0
1270 <	432.0	57,588.0

ცხრილიდან ჩანს, რომ სისტემის მოუქნელობის გამო ერთი მოსწავლის საშუალო წლიური დაფინანსება 432 ლარიდან 7452, 75 ლარამდე დიაპაზონშია, თუმცა დაფინანსების ოდენობა და ეს საოცარი კონტრასტი ვერანაირად ვერ აისახება შესაბამისი განათლების ხარისხზე. სახელმწიფო ხარჯავს საკმაოდ დიდ თანხას მცირეკონტინგენტიანი სკოლის მოსწავლეებზე, თუმცა ამ დახარჯული თანხის ეფექტი მცირეა; მეორე მხრივ, სახელმწიფო ხარჯავს საკმაოდ მცირე თანხას მოსწავლეთა დიდ ნაწილზე (432 ლარიდან 593 ლარამდე), რაც, ბუნებრივია, ასევე არ არის ეფექტის მომტანი, რადგან წლიური დაფინანსება საკმაოდ მცირეა.

ანალიზისათვის, ალბათ, საინტერესოა ერთ მოსწავლეზე გათვლილი დაფინანსების სტატისტიკა გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით. სახელმწიფო საშუალოდ ხარჯავს 1517, 20 ლარს მაღალმთიანი სკოლების ერთ მოსწავლეზე, 928.5 ლარს - სოფლის სკოლის და მხოლოდ 504.15 ლარს ქალაქის სკოლის მოსწავლეებზე. როგორც სათანადო თავში იყო განხილული, ეს დაფინანსებაც არაეფექტურია და მაღალმთიანი და სოფლის სკოლის მოსწავლეებს არა აქვთ თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობები. ანუ სახელმწიფოს მიერ გაცემული თანხის მოცულობა ვერ იძლევა ეფექტს და ვერც თანხის გაზრდა იქნება შედეგის მომტანი, თუ დღის წესრიგში არ დადგა ამ სკოლების რეფორმირების საკითხი და არ ამუშავდა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით არსებული დაფინანსება წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

ცხრილი 37. მოსწავლეთა საშუალო წლიური დაფინანსება გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით

გეოგრაფიული მდებარეობა	თანხა წელიწადში (საჯარო სკოლები)	მოსწავლეთა რაოდენობა
მთა	1517,20	50550
სოფელი	928.5	159826
ქალაქი	504,15	290470

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი 38 წარმოდგენას გვიქმნის ერთ მოსწავლეზე დახარჯულ წლიურ თანხებზე საქართველოს რეგიონების მიხედვით. ყველაზე ცოტა თანხა მოსწავლეზე იხარჯება თბილისში და ის შეადგენს მხოლოდ 476.7 ლარს, ხოლო რეგიონების მიხედვით ყველაზე დიდი თანხები იხარჯება რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში, სამცხე-ჯავახეთსა და მცხეთა-თიანეთში.

ცხრილი 38. მოსწავლეთა საშუალო წლიური დაფინანსება რეგიონების მიხედვით

რეგიონი	თანხა წელიწადში (საჯარო სკოლები)	მოსწავლეთა რაოდენობა
თბილისი	**476,7**	**142992**
აფხაზეთი	873.3	2267
სამეგრელო-ზემო სვანეთი	871.8	41,450.00
აჭარა	843.6	47079
გურია	987.7	13,981.00

იმერეთი	813.30	70,740.0
კახეთი	735.10	42,739.0
მცხეთა-თიანეთი	**1017.9**	**11,331.0**
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი	**2038.10**	**3553**
სამცხე-ჯავახეთი	**1172.50**	**25176**
ქვემო ქართლი	750.40	63,115.0
შიდა ქართლი	738.60	36323

კვლევის ფარგლებში ზოგადი პრობლემების გარდა შესწავლილი იქნა კონკრეტული სკოლების მაგალითებიც. წარმოდგენილი მაგალითები ხაზს უსვამს სისტემაში არსებულ პრობლემატიკას ფინანსური მართვის თვალსაზრისით. თანხების ოპტიმალური და ეფექტური ხარჯვის თვალსაზრისით კვლევამ რამდენიმე საინტერესო შემთხვევა და მაგალითი გამოავლინა. აღნიშნული მაგალითები ხაზს უსვამს არსებულ ტენდენციებს და პრობლემებს, რომელზე რეაგირებაც დაფინანსების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია. ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ 1-169-კონტინგენტიანი სკოლების დაფინანსება არის გაუმჭვირვალე და არაოპტიმალური.

არაეფექტური დაფინანსებისა და არაოპტიმალური ხარჯვის თვალსაზრისით რამდენიმე სკოლა გამოირჩა ჩვენი კვლევის მიხედვით. მსგავსი მაგალითები, სავარაუდოდ, მრავლად იქნება; შესაბამისად, მნიშვნელოვანია ადეკვატური რეაგირება დაფინანსების ცვლილებასთან დაკავშირებით. არარაციონალური დაფინანსების რამდენიმე მაგალითს წარმოვადგენთ:

(1) ახალციხის რაიონის დაბა ვალის მე-3 და მე-4 სკოლების დაფინანსება არის საკმაოდ დიდი. მესამე სკოლა არის სომხურენოვანი, ხოლო მეოთხე სკოლა სომხური და ქართული სექტორებით. ამავე დროს დაბა ვალეში ფუნქციონირებს 1-ლი და მე-2 ქართული სკოლები. სახელმწიფო ვალის მე-4 სკოლის დაფინასებაში ხარჯავს 175,135.8 ლარს. სკოლაში სწავლობს მხოლოდ 36 მოსწავლე და ფუნქციონირებს ქართული და სომხური სექტორები; ეს მაშინ, როდესაც ამ 36 მოსწავლის გადანაწილება ქართული სექტორიდან შესაძლებელია ქართულ სკოლებში (პირველში ან მეორეში), ხოლო სომხური სექტორიდან სომხურის მესამე სკოლაში, რომელიც თავისთავად განიცდის მოსწავლეთა ნაკლებობას (მხოლოდ 40 მოსწავლეა) და რომლის დაფინანსებაც სახელმწიფოს უჯდება 151,686.2 ლარი;

(2) სოფელ შაუმიანში ფუნქციონირებს სამი საჯარო სკოლა. პირველ საჯარო სკოლაში სწავლობს 235 სომხურენოვანი მოსწავლე. მეორე საჯარო სკოლაში 3 სექტორია: ქართული, რუსული, სომხური. მესამე საჯარო სკოლაში მხოლოდ სომხური სკოლა. მოსწავლეთა რაოდენობა ამ სკოლებში შემდეგნაირად ნაწილდება: შაუმიანის მე-2 საჯარო სკოლა: 143 მოსწავლე, 39 მასწავლებელი და დაფინანსება - 278 186; მე-3 საჯარო სკოლა: 97 მოსწავლე, 31 მასწავლებელი, დაფინანსება - 148 796. ორივე სკოლის დაფინანსება ერთად შეადგენს 426 983 ლარს და ამ ორ სკოლაში ერთად სწავლობს მხოლოდ 240 მოსწავლე. ეს მაშინ, როცა ანალოგიური დაფინანსება აქვს, მაგალითად, მარნეულის მე-5 სკოლას, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა 960-

ია. ამ სკოლებში არაოპტიმალური და არაეფექტურია როგორც ხარჯი, აგრეთვე სწავლება როგორც ქართულენოვან, ისე რუსულენოვან სექტორებზე. შესაბამისად, ამ სკოლებში ბილინგვური მოდელის ამუშავება ეფექტური იქნება როგორც ხარჯვის, ისე განათლების ხარისხის თვალსაზრისითაც;

(3) ნინოწმინდის რაიონის სოფელ ორლოვკის საჯარო სკოლა იღებს დაფინანსებას 274 000.00 ლარს და სკოლაში სწავლობს მხოლოდ 55 მოსწავლე. სკოლაში ფუნქციონირებს 2 სექტორი, ქართული და სომხური. ამ სკოლის მაგალითი რამდენიმე თვალსაზრისითაა საინტერესო: (ა) ყურადღებას იქცევს სკოლის ხარჯები და წლიური ნაშთი. საინტერესოა, რომ ამ სკოლის წლიურმა ხარჯმა 2013 წელს შეადგინა 193 000 ლარი, ანუ სკოლას დარჩა 81 000 ლარი წლიური დაფინანსებიდან. შემთხვევა, როდესაც საკმაოდ დიდი ნაშთი რჩება გაუხარჯავი, საკმაოდ ხშირია 1-169-კონტინგენტიან სკოლებში, - ამ დროს სხვა სკოლებში თანხები ძლივს ჰყოფნით სახელფასო, კომუნალური და სხვა მიმდინარე ხარჯების გასასტუმრებლად; (ბ) საინტერესოა ასევე ამ სკოლის 2012-2013 წლების სახელფასო ხარჯების შედარება. აღნიშნული სკოლა 2012 წელს ხელფასებისთვის ხარჯავდა 122,000.00 ლარს, ხოლო უკვე 2013 წელს ეს თანხა გაიზარდა 180 000-მდე, ანუ მოიმატა 58,000.00 ლარით, რაც გამოწვეული იყო ქართული სექტორის გახსნით. ანუ, აღნიშნულმა სკოლამ ქართული სექტორის დამატებით გაზარდა საკუთარი სახელფასო ხარჯი 50%-ით და, როგორც ჩანს, ეს ტენდენცია წახალისებულია სახელმწიფოს მიერ, რადგან სხვა სკოლების მაგალითებშიც გვხვდება. თავს იჩენს პრობლემა - ფინანსური გაუმართლებელი ხარჯი და სწავლების არაეფექტური შედეგი როგორც ქართულენოვან, ისე სომხურენოვან სექტორებზე. შესაბამისად, სკოლებში, სადაც ორი სექტორი ფუნქციონირებს, ორივე არაეფექტურია როგორც ხარჯების, ისე საგანმანათლებლო შედეგების თვალსაზრისით. საკითხის ოპტიმალურ გადაწყვეტად გვესახება ბილინგვური განათლების მოდელის დანერგვა. (გ) საბიუჯეტო თანხების არაოპტიმალური ხარჯვა. აღსანიშნავია, რომ სოფელ ორლოვკიდან 2 კმ-ის მოშორებით მდებარეობს სოფელ გორელოვკის ქართულენოვანი (57 მოსწავლე - 131,902.10 ლარის დაფინანსებით), რუსულენოვანი (29 მოსწავლე - 139,229.00 ლარის დაფინანსებით) და სომხურენოვანი (103 მოსწავლე - 151,686.20 ლარის დაფინანსებით) სკოლები. სამივე სკოლა მოსწავლეთა მცირე კონტინგენტით გამოირჩევა და ამ სამი სკოლის დაფინანსება ერთად სახელმწიფოს 422, 817. 30 ლარი უჯდება. ორლოვკის სკოლის ქართულენოვანი სექტორის მოსწავლეების გორელოვკის ქართულენოვან სკოლაში გადანაწილება, ისევე როგორც ორლოვკის სკოლის სომხურენოვანი სექტორის გორელოვკის სომხურენოვანი სკოლაში გადანაწილება აბსოლუტურად რეალისტურია და ხარჯების რეალურ ოპტიმიზაციას გამოიწვევს.

(4) დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ საბათლოს სკოლა, სადაც სწავლობს 60 მოსწავლე და მუშაობს 23 მასწავლებელი. სკოლას აქვს მხოლოდ ერთი კორპუსი, წარმოადგენს სოფლის სკოლას სომხურენოვანი სწავლებით და 16 მოსწავლეზე გახსნილია ქართული სექტორიც, სადაც სწავლა ხორციელდება ყველა კლასში, მერვე და მეექვსე კლასების გარდა. აღნიშნული სკოლის დაფინანსება შეადგენს 234,338.4 ლარს, ხოლო 2013 წელს შეადგენდა 250 000 ლარს. წარმოდგენილი წლიური ბალანსების შესაბამისად ამ სკოლის ხარჯები წელიწადში უტოლდება 158,166.00 ლარს. შესაბამისად, ამ სკოლას ნაშთის სახით ან სხვა ხარჯებისთვის წელიწადში დამატებით

რჩება 92,000.00 ლარამდე, რაც ამ ზომის სკოლების მთლიან დაფინანსებაზე მეტია ხშირ შემთხვევაში. ანალოგიური მონაცემების სოფლის ერთშენობიანი და 60-მოსწავლიანი სკოლები 92 000-დან 130 000-მდე ლარით ფინანსდება, მაგალითად, სსიპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის №3 საჯარო სკოლისა და სსიპ გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო სობისის საჯარო სკოლის დაფინანსება 92,728.8 ლარს შეადგენს. განსხვავება ამ ერთნაირი ტიპის სკოლების დაფინანსებას შორის შეადგენს 141 000 ლარს, რაც მიუთითებს სკოლების დაფინანსების უთანასწორობასა და გაუმართაობაზე. ანალოგიური ტიპის სკოლა ნინოწმინდის რაიონის სოფელ ღაურმაში (ყაურმაში), სადაც 28 მოსწავლე და 15 მასწავლებელია, იღებს დაფინანსებას მხოლოდ 56 000 ლარის ოდენობით, ანუ 4-ჯერ ნაკლებს. გასაგებია, რომ დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ საბათლოს სკოლა წარმოადგენს სასაზღვრო სოფელს და ამ სკოლას დამატებითი მხარდაჭერა სჭირდება, თუმცა მიზანშეწონილია, რომ მსგავსი სკოლების ნუსხა იყოს გამოყოფილი და მათი დაფინანსება ხდებოდეს დამატებითი პროგრამის ფარგლებში გამჭვირვალედ და მიზანმიმართულად.

(5) ნინოწმინდის რაიონის სოფელ ღაურმის საჯარო სკოლის მსგავსად 1-169-კონტინგენტიანი სკოლების რიგში არის სკოლები, რომელთაც დაფინანსება საკმაოდ დაბალი აქვთ ანალოგიური ტიპის სკოლებთან შედარებით; ამგვარი სკოლების ჩამონათვალი, რომელიც შევისწავლეთ, იხილეთ ცხრილის სახით:

ცხრილი 39. 1-169 კონტინგენტიანი სკოლები დაბალი დაფინანსებით

სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ ღაურმის საჯარო სკოლა
სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ნიქოზის საჯარო სკოლა
სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო მახოს საჯარო სკოლა
სსიპ - ქალაქ ბათუმის №31 საჯარო სკოლა
სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორღულის საჯარო სკოლა
სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენის №2 საჯარო სკოლა
სსიპ - წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფახულანის თემის №2 საჯარო სკოლა
სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ სპეთის საჯარო სკოლა
სსიპ - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯოჭოს საჯარო სკოლა
სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის №4 საჯარო სკოლა
სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ თორტიზის საჯარო სკოლა
სსიპ - კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ მიქელწყაროს საჯარო სკოლა
სსიპ - ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვეშის საჯარო სკოლა
სსიპ - გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა მეჯვრისხევის საჯარო სკოლა
სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ქანდის საჯარო სკოლა
სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ონარიის საჯარო სკოლა
სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ოქრუაშვილების საჯარო სკოლა
სსიპ - დაბა მესტიის №1 საჯარო სკოლა
სსიპ - ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ გომარეთის საჯარო სკოლა
სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკის საჯარო სკოლა
სსიპ - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედაეწერის საჯარო სკოლა

თუკი ამ სკოლების ხარჯვით ნაწილსაც შევისწავლით, ცხადად გამოჩნდება, რომ მათი დაფინანსება ბევრად მცირეა და ისინი საკუთარი სახსრების დაახლოებით 90%-ს ხელფასებში ხარჯავენ და საოპერაციო თანხები არ გააჩნიათ ან ეს თანხები მიზერულია, რაც მათ არათანაბარ პირობებში აყენებთ ანალოგიური მასშტაბის სკოლებთან შედარებით;

(6) ქვემო ბოლნისის N1 საჯარო სკოლა ბოლნისის რაიონში, სადაც 469 მოსწავლე სწავლობს. სკოლა ფინანსდება 499,000.00 ლარით ვაუჩერული დაფინანსების ფორმულის ფარგლებში. სკოლის მაღალი დაფინანსება განპირობებულია 6 კორპუსის არსებობით. ამ სკოლის დაფინანსება 2-ჯერ აღემატება მოსწავლეთა ამ რაოდენობის სკოლების დაფინანსებას და უტოლდება 1200-მოსწავლიანი სკოლების დაფინანსების ოდენობას. ამ შემთხვევაშიც სახეზეა არაეფექტური ბიუჯეტირება. ქვემო ბოლნისის თემი არ წარმოადგენს მაღალმთიან ან ძნელად მისასვლელ თემს. ტრანსპორტირება ამ თემის სოფლებს შორის შესაძლებელია განხორციელდეს ძალიან მარტივად. შეიძლება ყველა სკოლის მოსწავლის თავმოყრა მოხდეს ყველაზე დიდი შენობაში, სადაც ამჟამად 300 მოსწავლეზე მეტი სწავლობს. შესაბამისად, ამ სკოლების შენობების ოპტიმიზაცია სკოლის დაფინასებისთვის საჭირო თანხას 250 000 ლარით შეამცირებს, რაც ამავე სოფლისთვის და ამავე სკოლისთვის ხარისხის განვითარებისკენ მიმართული უამრავი ხარჯის გაწევის შესაძლებლობას იძლევა;

(7) **ორკორპუსიანი** სკოლები, სადაც სწავლება ხორციელდება ორივე სკოლაში, როგორც დაწყებით, აგრეთვე საბაზო და საშუალო საფეხურებზე. ასეთ სკოლებს აქვთ შესაძლებლობა, რომ ერთ კორპუსში, რომელიც მცირეკონტინგენტიანია, ჰქონდეთ მხოლოდ დაწყებითი სკოლა, ხოლო საბაზო საფეხურიდან მოახდინონ მოსწავლეთა ტრანსპორტირება, რაც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ხარჯების ოპტიმიზაციას და, მეორე მხრივ, საბაზო საფეხურზე ამ მოსწავლეებს მისცემს უფრო ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას;

(8) ცაგერის რაიონის სოფელ თაბორის საჯარო სკოლის წლიური დაფინანსება შეადგენს 65,950.5 ლარს, ხოლო მისი წლიური ხარჯი, მაგ. 2013 წელს შეადგენდა 46 000 ლარს. ამ წელს სკოლას ნაშთი დაუხარჯავი თანხის სახით დარჩა 17 000 ლარი. ანალოგიური ვითარებაა 1-169-კონტინგენტიანი სკოლების საკმაოდ სოლიდურ ნაწილში, რომელთაც აქვთ ზედმეტი დაფინანსება, რომლის ხარჯვაც ვერ ხერხდება. მსგავს ვითარებაში ორი ალტერნატივაა: დაფინანსებისას მოხდეს სკოლების „გათავისუფლება“ მათთვის ზედმეტი და დაუხარჯავი თანხებისგან ან სკოლების ადმინისტრაციებისთვის შეიქმნას პროფესიული განვითარების პროგრამები, რომელთა მიზანიც იქნება ამ თანხების გამოყენება განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად;

(9) თელავის მე-8 სკოლაში მოსწავლე/მასწავლებლის შეფარდება 1/3,5-ია; ანალოგიური ვითარებაა ამავე ქალაქის სხვა სკოლებშიც, სადაც 100 მოსწავლეზე 23 მასწავლებელია, ანუ 1/ 4,3 შეფარდება. თელავის 4 სკოლაში (მე-5, მე-6, მე-7, მე-8 სკოლებში) მოსწავლე/მასწავლებლის შეფარდება 1/4.6 -ს შეადგენს, ხოლო მთლიანად ქალაქ თელავის სკოლებში მოსწავლისა და მასწავლებლის შეფარდება 1/8,7-ს უდრის, რაც ქალაქისთვის საკმაოდ დაბალი შეფარდებაა;

(10) მოსწავლე/მასწავლებლის დაბალი შეფარდება პრობლემატურია არა მხოლოდ თელავის ტიპის ქალაქის სკოლებში, არამედ ეს ტენდენცია აშკარაა მთელი საქართველოს მასშტაბითაც. მოსწავლეთა და მასწავლებელთა შეფარდება საკმაოდ დაბალია ქალაქის ტიპის დასახლებებშიც. დიდი ქალაქების (თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი) გარდა მოსწავლე/მასწავლებლის შეფარდება 1/10,4-ს უდრის. რაც შეეხება დიდ ქალაქებს, მოსწავლე/მასწავლებლის შეფარდება 1/14.2-ს შეადგენს. ქალაქებში არსებული მოსწავლისა და მასწავლებლის დაბალი შეფარდება, ერთი მხრივ, მიუთითებს ხარჯების არაოპტიმალურ ხარჯვაზე, მეორე მხრივ, ხელს არ უწყობს კონკურენციას სკოლებს შორის და კვალიფიციურ მასწავლებლებს შორის. ამასთანავე, მოსწავლე/მასწავლებლის დაბალი შეფარდება გავლენას ახდენს სწავლების ხარისხზე. ქალაქის სკოლები იძლევა ოპტიმიზაციის საშუალებას, მითუმეტეს, სასკოლო ავტობუსების შემოღების პირობებში. აღნიშნული ოპტიმიზაცია, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს საბიუჯეტო თანხების ოპტიმალურ ხარჯვას, მეორე მხრივ, მასწავლებლების დეფიციტის პირობებში, ამ სკოლებიდან კვალიფიციური მასწავლებლების ოპტიმალურ შერჩევას;

(11) არსებობს ქალაქებში, მათ შორის დიდ ქალაქებში, მცირეკონტინგენტიანი სკოლები, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა არ აღემატება 60-ს (მაგალითად ბათუმის 31-ე საჯარო სკოლა, წალენჯიხის მე-6 და მე-7 საჯარო სკოლები, ბოლნისის მე-2 საჯარო სკოლა, ახალციხის მე-4 საჯარო სკოლა, ბორჯომის ლიკანის საჯარო სკოლა და სხვ.); ქალაქის სკოლების ფუნქციონირება, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა 60-ს არ აღემატება (არ იგულისხმება სპეციალური სკოლები), საკმაოდ დიდ ფინანსურ რესურსებს მოითხოვს; ამის მაგალითია ახალციხის მე-4 საჯარო სკოლა, რომელიც 37 მოსწავლეზე 143 778 ლარით ფინანსდება. ანალოგიურად, ბოლნისის მეორე საჯარო სკოლა 52 მოსწავლეზე ფინანსდება 144 000 ლარით. ახალციხესა და ბოლნისში უშუალოდ ქალაქში მდებარეობს სხვა სკოლებიც, რომელთაც აქვთ ამ მოსწავლეების გადანაწილების შესაძლებლობა. სახელმწიფო ხარჯავს 10-ჯერ უფრო მეტ თანხას, ვიდრე დახარჯავდა ქალაქის სკოლებში მოსწავლეთა ოპტიმალური გადანაწილებისა და თუნდაც საჭიროების შემთხვევაში მათი ტრანსპორტირებით უზრუნველყოფის პირობებში. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ამ შენობების გამოთავისუფლებით შესაძლებელია ამ ქალაქებში კერძო სექტორის განვითარება თუნდაც კერძო სკოლების სახით ან, გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ჩარტერული სკოლების სახით;

(12) დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ კამარლოს საბაზისო საჯარო სკოლა ასევე საინტერესოა, როგორც თანხების დაუბალანსებელი და არათანასწორი გადანაწილების ნიმუში. აღნიშნულ სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობა 2013 წელს შეადგენდა 136 მოსწავლეს. სკოლა გეოგრაფიულად წარმოადგენს სოფლის სკოლას, არის აზერბაიჯანულენოვანი, გააჩნია ორი შენობა, სადაც ხორციელდება სასწავლო პროცესი. სკოლა 2014 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით იღებს 107 824.52 ლარს. თუ ამ სკოლის ხარჯვით ნაწილს ვნახავთ, აღმოჩნდება, რომ 2013 წელს აქ დახარჯულია 125 362, 00 ლარი, აქედან 114 568, 00 ლარი არის თანამშრომელთა სახელფასო ხარჯი, ანუ ხარჯების საერთო რაოდენობის 91,4%. დაფინანსება სხვა მსგავსი კატეგორიის მქონე სკოლებთან შედარებით საკმაოდ დაბალია (რეალურად, ხარჯი მეტი აქვს სკოლას, ვიდრე შემოსავალი).

მსგავსი შემთხვევების გამოვლენა 1-169-კონტინგენტიანი სკოლების სეგმენტში უამრავი შეიძლება, რაც სისტემის გაუმართაობაზე მიუთითებს, რადგან, ერთი მხრივ, გვხვდება სერიოზული დაფინანსების მქონე სკოლები, რომლებსაც რჩებათ დიდი ოდენობის გაუხარჯავი თანხები და, მეორე მხრივ, მცირე დაფინანსების სკოლები, რომელთა საბიუჯეტო სახსრებიც სახელფასო ხარჯს ძლივს სწვდება. ეს სკოლები, ფაქტობრივად, ერთსა და იმავე კატეგორიაში არიან სიდიდის, სწავლების ენის, გეოგრაფიული მდებარეობისა და შენობების რაოდენობის მიხედვით.

თავი 5.
სამაგიდე კვლევის შედეგები/ სკოლის არჩევანის თავისუფლება

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არსებული დაფინანსების სისტემას განვიხილავთ განათლების სხვადასხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკის კონტექსტში, რომელიც ხშირად საფუძვლად ედება ვაუჩერული დაფინანსების პრინციპებს. მშობელთა მიერ სკოლის არჩევანის შესაძლებლობა ყოველთვის მნიშვნელოვანი არგუმენტი იყო ვაუჩერული დაფინანსების სისტემის მხარდამჭერი განათლების პოლიტიკის მესვეურთათვის, გადაწყვეტილების მიმღებთათვის, მკვლევრებისა და მეცნიერებისთვის. საქართველოში მშობელთათვის სკოლის არჩევანის შესაძლებლობა შეზღუდულია შემდეგ გარემოებათა გამო:

(ა) სკოლების გეოგრაფიული განლაგება;

(ბ) კერძო სკოლების განვითარების რეგიონული დინამიკა და მაღალი გადასახადები დედაქალაქში;

(გ) სწავლების ენის მიხედვით სკოლის არჩევანის შეზღუდულობა ეთნიკური უმცირესობების კომპაქტური განსახლების რეგიონებში;

(დ) მოსწავლეთა რეგისტრაციის პროცედურები, რაც დამოკიდებულია მშობელთა განათლებისა და ინფორმირებულობის ხარისხზე.

მოკლედ მიმოვიხილავთ მშობელთა მიერ სკოლის არჩევანის შესაძლებლობის შემზღუდავ თითოეულ ფაქტორს:

ა) საქართველოში საჯარო სკოლების გეოგრაფიული განლაგება და მცირეკონტინგენტიანი სკოლების არსებობა სკოლების ნაკლები არჩევანის საშუალებას ქმნის, რადგან ტერიტორიულად ახლოს სკოლები ფაქტობრივად არ არის და მოსწავლეებს უწევთ რამდენიმე კილომეტრის გავლა სკოლამდე. სკოლების არჩევანი რეალიზებული იქნებოდა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პირობებში ზოგიერთ რაიონში, თუმცა დღევანდელი რეალობაში, ტრანსპორტირების გაუმართავი ინფრასტრუქტურის პირობებში, მცირეკონტინგენტიან და სოფლის სკოლებში არჩევანი შეზღუდულია;

(ბ) კერძო სკოლების დაფინანსების სისტემა და განვითარების სპეციფიკა რეგიონულ ჭრილში არ იძლევა მათი არჩევის შესაძლებლობას არც ტერიტორიული და არც ფინანსური თვალსაზრისით: (1) კერძო სკოლები ძირითადად განვითარებულია დიდ ქალაქებში და ნაკლებად - პატარა ქალაქებსა და რაიონული ტიპის დასახლებებში. შესაბამისად, რაიონული ტიპის დასახლებებში კერძო სკოლების არჩევანის შესაძლებლობა მინიმიზებულია, თუ არ ჩავთვლით საპატრიარქოს უფასო ან შემოწირულობაზე მყოფ სკოლებს. კერძო სკოლების გადანაწილება რეგიონულ და ქალაქის ტიპის დასახლებებში წარმოდგენილია ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაში:

დიაგრამა 11. კერძო სკოლების გადანაწილება რეგიონულ და ქალაქების ტიპის დასახლებებში



(2) ფინანსური თვალსაზრისით კერძო სკოლების არჩევანი შეზღუდულია მაღალი გადასახადების გამო, განსაკუთრებით თბილისში. თბილისში მშობლებს მაღალი გადასახადების გამო არ ეძლევათ საშუალება არჩევანი გააკეთონ კერძო სკოლებზე, მიუხედავად იმისა, რომ მათ შეუძლიათ გამოიყენონ სახელმწიფო ვაუჩერი ამ ტიპის სკოლაშიც. თბილისის კერძო სკოლების გადასახადი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში.

დიაგრამა 12. კერძო სკოლების გადანაწილება თბილისში სწავლის გადასახადის მიხედვით



როგორც დიაგრამიდან ჩანს, თბილისში სკოლების 81,%-ის გადასახადი 1500 ლარზე ზევითაა, შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი 300-ლარიანი ვაუჩერი არ იძლევა კერძო სკოლის არჩევის შესაძლებლობას.

(გ) სწავლების ენა წარმოადგენს აგრეთვე ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაბრკოლებას სკოლის არჩევანის თვალსაზრისით ეთნიკური უმცირესობებისთვის. ეთნიკური უმცირესობების კომპაქტური განსახლების რეგიონებში სკოლები ძირითადად ერთენოვანია: სწავლების ენა არის მშობლიური ან სახელმწიფო ენა. მხოლოდ გამონაკლისი შემთხვევების სახით გვხდება ადგილები, სადაც არის ორივე სექტორი, ან ორივე ენის სკოლა. შესაბამისად, არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეთა მშობლები ხშირ შემთხვევაში არჩევანში არიან შეზღუდულები სწავლების ენის გამო. ამ არჩევანს განსაკუთრებით ზღუდავს ბილინგვური სკოლების არარსებობა, რადგან ხშირ შემთხვევაში მშობელს სურს როგორც სახელმწიფო ენის სწავლება საკუთარი შვილისთვის, ისე მშობლიური ენის შენარჩუნება. შესაბამისად, არაქართულენოვან სკოლებში ბილინგვური პროგრამებისა და მოდელების არარსებობა ზღუდავს მშობლის არჩევანს ამ კონკრეტულ კონტექსტში.

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი ასახავს არაქართულენოვანი მოსახლეობის კომპაქტური განსახლების ადგილებში სკოლების რაოდენობას სწავლების ენის მიხედვით და არჩევანის შეზღუდულობას:

ცხრილი 40. სკოლები და სექტორები ახალქალაქში, ნინოწმინდასა და მარნეულში სწავლების ენის მიხედვით

რაიონი	ქართული სკოლები	სომხური სკოლები	აზერბ. სკოლები	რუსული სკოლები	სკოლები ენობრივი სექტორებით	ბილინგვური სკოლები	სულ:
ახალქალაქი	9	53	0	1	2	0	65
მარნეული	9	6	45	3	11	0	74
ნინოწმინდა	4	30	0	3	1		38

(დ) სკოლების არჩევანი მეტნაკლებად შეზღუდულია და დამოკიდებულია მშობელთა განათლებასა და ინფორმირებულობაზე, განსაკუთრებით პირველკლასელთა რეგისტრაციის წესის პირობებში. დღეს მოქმედი წესის მიხედვით, მშობლები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ვადაში ახდენენ პირველკლასელთა რეგისტრაციას მათთვის სასურველ სკოლაში. სკოლები გამოყოფენ შესაბამის ადგილებს პირველკლასელთათვის. ამ შემთხვევაში მოქმედებს პრინციპი - ვინც სწრაფად მოახდენს დარეგისტრირებას, სასურველ სკოლაში ის მოხვდება. თუკი ადგილები შეივსება, მშობელი ვეღარ ახერხებს შვილის რეგისტრაციას სასურველ სკოლაში და იძულებულია აირჩიოს ის სკოლა, სადაც ადგილებია დარჩენილი (განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2014). შესაბამისად, შვილის დარეგისტრირება დამოკიდებულია მშობლების ინფორმირებულობასა და უნარზე, სწრაფად დაარეგისტრიროს შვილი. აღნიშნული პროცედურა ზღუდავს მშობელს, შვილი დაარეგისტრიროს სასურველ სკოლაში და სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ვაუჩერი გამოიყენოს საკუთარი არჩევანის შესაბამისად.

თავი 6.
კვლევის შედეგები/ კერძო სკოლების დაფინანსების ეფექტურობა

საქართველოში კერძო სკოლების დაფინანსების განათლების პოლიტიკის ოთხი მნიშვნელოვანი კომპონენტი დაედო საფუძვლად:

(ა) მშობლებისთვის სკოლის არჩევის თავისუფლების მინიჭება: ზოგადი განათლების შესახებ ახალი კანონის შესაბამისად მშობელს მიეცა შესაძლებლობა, საკუთარი შეხედულებისამებრ შეერჩია სკოლა და სახელმწიფოს მიერ გაცემული ვაუჩერი საკუთარი არჩევანის შესაბამისად გამოეყენებინა, მათ შორის, კერძო სკოლებში (მუხლი 22, 2005);

(ბ) კერძო სექტორის გაძლიერება და ზოგადი განათლების სისტემაში მისი როლის გასაძლიერებლად ინსენტივების სისტემის შექმნა;

(გ) კონკურენციის და ეფექტიანობის გაზრდა საჯარო და კერძო სკოლებში, რაც ასახვას პოვებდა სასკოლო განათლების ხარისხზე;

(დ) საქართველოს კონსტიტუციური ვალდებულების შესრულება და ყველა მოსწავლის უზრუნველყოფა საბაზო განათლებით, მიუხედავად იმისა, კერძო სკოლაში სწავლობს ის თუ საჯაროში.

კვლევის ფარგლებში შევეცადეთ გაგვეანალიზებინა, რამდენად ეფექტური იყო კერძო სკოლების დაფინანსებასთან დაკავშირებული განათლების პოლიტიკის განსაზღვრული მიმართულებები.

კერძო სკოლების შესწავლა მოხდა ორი ინსტრუმენტის გამოყენებით:

(ა) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული სათანადო მონაცემების ბაზის ანალიზი;

(ბ) კერძო სკოლების ადმინისტრაციის გამოკითხვა სწავლის გადასახადისა და შეთავაზებული სასწავლო პროგრამისა თუ სერვისის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ კვლევის პერიოდში მოქმედი 243 კერძო სკოლიდან 214 დაგვთანხმდა ინფორმაციის მოწოდებაზე, ხოლო 29 კერძო სკოლამ უარი განაცხადა კვლევაში მონაწილეობასა და ინფორმაციის მოწოდებაზე. შესაბამისად, გაანალიზდა 214 სკოლის მონაცემები, რაც კერძო სკოლების საერთო რაოდენობის დაახლოებით 90%-ს წარმოადგენს და განზოგადების საშუალებას იძლევა.

ქვემოთ განვიხილავთ კერძო სკოლების დაფინანსების საკითხს განათლების პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულების კონტექსტში (სკოლის არჩევანის კონტექსტი წინა თავში იქნა განხილული). შესაბამისად, ამ თავში განვიხილავთ კერძო სკოლების დაფინანსების საკითხს, კერძო სექტორის განვითარებისა და განათლების პრივატიზაციის, კერძო და საჯარო სექტორს შორის კონკურენციის გზით განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებებს.

კერძო სექტორის გაძლიერება.

2011 წელს დაფინანსების სისტემის ცვლილებამ გარკვეული კორექტივები შეიტანა კერძო სკოლების დაფინანსებაში:

(ა) ძველი მოდელით კერძო სკოლები იღებდნენ იმდენსავე დაფინანსებას ერთ მოსწავლეზე გათვლილი ნორმატივის სახით, რამდენსაც იღებდნენ საჯარო სკოლები. ეს პრინციპი შეიცვალა 2011 წლიდან და კერძო სკოლები იღებენ მოჭრილ ნორმატივს 300 ლარის ოდენობით (300 ლარი გახლავთ საჯარო სკოლის 1 მოსწავლეზე გათვლილ მინიმალურ თანხაზე ნაკლები), - მიუხედავად სკოლის მდებარეობისა, მოსწავლეთა რაოდენობის, გადასახადის ოდენობისა და სწავლების ენისა;

(ბ) კერძო სკოლის მოსწავლეები ვერ იღებენ იმ დამატებით სახელმწიფო მომსახურებას, რასაც იღებენ საჯარო სკოლის მოსწავლეები, კერძოდ, სახელმწიფოსგან ყველა პირველკლასელს გადაეცემა საჩუქრად ნეთბუქი, თუმცა ეს არ ვრცელდება კერძო სკოლის მოსწავლეებზე; სახელმწიფომ 2013 სასწავლო წლიდან უზრუნველყო სასკოლო სახელმძღვანელოების „უფასოდ“ დარიგება საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის. ანუ საჯარო სკოლის მოსწავლეების მშობლებს აღარ უწევთ სასკოლო სახელმძღვანელოების შეძენა. აღნიშნული არ გავრცელდა კერძო სკოლებზე, თუ მოსწავლეები არ წარმოადგენენ სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

აღნიშნულ ცვლილებებს შეიძლებოდა ორი სახის ნეგატიური მოვლენა გამოეწვია:

(ა) კერძო სკოლების განვითარების შეფერხება;

(ბ) კერძო სკოლებში სოციალურად დაბალი ფენის მოსწავლეების შედარებით ცუდ მდგომარეობაში აღმოჩენა.

შესაბამისად, კვლევისთვის საინტერესო იყო, რამდენად ეფექტურად მუშაობს სკოლების დაფინანსების სისტემა კერძო სკოლებთან მიმართებით.

კვლევისას შევეცადეთ კერძო სკოლები დაგვეჯგუფებინა სწავლის გადასახადიდან გამომდინარე. ქვემოთ მოცემული ცხრილში წარმოდგენილია ეს მონაცემები.

დიაგრამა 13. კერძო სკოლები სწავლის საფასურის მიხედვით



კერძო სკოლების გადასახადის მიხედვით დაჯგუფებამ საშუალება მოგვცა გარკვეული ანალიზი გაგვეკეთებინა არსებული ვაუჩერული დაფინანსების სისტემის ეფექტურობის შესახებ კერძო სექტორისა და კერძო სკოლების განვითარების თვალსაზრისით. ვფიქრობთ, არსებული პოლიტიკა კერძო სექტორის განვითარების თვალსაზრისით რამდენიმე მიმართულებით იწვევს პრობლემებს:

(ა) უფასო და შემოწირულობაზე მყოფი სკოლები და დაბალი გადასახადის (1000 ლარამდე) მქონე სკოლების რაოდენობა 74-ს შეადგენს, რაც არის კერძო სკოლების საერთო რაოდენობის დაახლოებით 35%, ხოლო რეგიონში არსებული სკოლების დაახლოებით 70%. ამ სკოლის მოსწავლეების მშობლებს არა აქვთ შესაძლებლობა, შვილებს შეუძინონ წიგნები, ნეთბუქები, მითუმეტეს, არ შეუძლიათ, რომ ხელი შეუწყონ ზოგადად სკოლის განვითარებას დაფინანსების გზით. ამავე დროს სკოლის, როგორც კერძო სექტორის განვითარება არ ხდება, რადგან სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ვაუჩერი ამისთვის არასაკმარისია. ასეთი სკოლების რიცხვი კერძო სკოლების საერთო ფონზე საკმაოდ მაღალია, განსაკუთრებით რეგიონებში. ეს კარგად ჩანს ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაში:

დიაგრამა 14. უფასო კერძო სკოლების გადანაწილება რეგიონების მიხედვით



დიაგრამა 15. შემოწირულობით დაფინანსებული კერძო სკოლების გადანაწილება რეგიონების მიხედვით



დიაგრამა 16. 500 ლარამდე სწავლის საფასურის მქონე კერძო სკოლების გადანაწილება რეგიონების მიხედვით



დიაგრამა 17. 500-დან 1000 ლარამდე სწავლის საფასურის მქონე კერძო სკოლების გადანაწილება რეგიონების მიხედვით



(ბ) კერძო სკოლების სეგმენტი განვითარებულია ძირითადად თბილისში (კერძო სკოლების თითქმის 50%) და მსხვილ ქალაქებში (თბილისთან ერთად კერძო სკოლების საერთო რაოდენობის თითქმის 70%) , ხოლო ამ სეგმენტის განვითარება არ ხდება რეგიონებში და რაიონულ დასახლებებში. ეს ტენდენცია ნათლად ჩანს ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებში.

დიაგრამა 18. კერძო სკოლები პროცენტული გადანაწილება რეგიონების მიხედვით



დიაგრამა 19. კერძო სკოლების პროცენტული გადანაწილება დიდ ქალაქებსა და სხვა ტიპის დასახლებებში



(გ) მაღალი გადასახადების მქონე სკოლები იღებენ დამატებით დაფინანსებას, რაც არავითარ ზეგავლენას არ ახდენს მშობლის გადასახადზე. გადასახადი ერთნაირია იმისდა მიუხედავად, იღებს თუ არა მოსწავლე ვაუჩერს სახელმწიფოსგან; სახელმწიფო დაფინანსება არ წარმოადგენს შეღავათს მშობლისთვის. გარდა ამისა, სახელმწიფოს მიერ გაღებული თანხა არ წარმოადგენს ინსტრუმენტს ამ სკოლების განვითარებისთვის, რადგან ეს სკოლები თავისი მაღალი გადასახადების წყალობით ისედაც განვითარების მაღალ დონეზე არიან და სახელმწიფოსგან დამატებით მხარდაჭერას არ საჭიროებენ. ასეთი სკოლების სეგმენტი ძირითადად თბილისშია კონცენტრირებული (90-%-ზე მეტი).

დიაგრამა 20. 3000-დან 5000 ლარამდე სწავლის საფასურის მქონე კერძო სკოლების გადანაწილება რეგიონების მიხედვით



დიაგრამა 21. 5000 ლარს ზევით სწავლის საფასურის მქონე კერძო სკოლების გადანაწილება რეგიონების მიხედვით



კონკურენცია კერძო და საჯარო სექტორებს შორის.

კერძო სკოლების დაფინანსების არსებული სისტემა არაეფექტურია კერძო და საჯარო სექტორებს შორის კონკურენციის გაზრდის თვალსაზრისითაც და ამით განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად როგორც კერძო, ისე საჯარო სკოლებში. რეგიონებში არსებული კერძო სკოლები ნაკლებ კონკურენტუნარიანები არიან საჯარო სკოლებთან მიმართებით შემდეგ გარემოებათა გამო:

(ა) რეგიონში ფუნქციონირებადი კერძო სკოლები მოსწავლეებს ვერ აძლევს იმ პროდუქტებს, რასაც საჯარო სკოლის მოსწავლეები იღებენ უფასო სახელმძღვანელოებისა და ნეთბუქების სახით;

(ბ) საჯარო სკოლის მასწავლებლები არიან უკეთეს პირობებში, ვიდრე კერძო სკოლის მასწავლებლები რეგიონებში, რადგან მასწავლებლები საჯარო სკოლებში იღებენ 12-თვიან ანაზღაურებას, ხოლო კერძო სკოლებში 10-თვიან ანაზღაურებას; საჯარო სკოლის

პედაგოგები უზრუნველყოფილები არიან სადაზღვევო სახელმწიფო პაკეტით, რაც ხელმიუწვდომელია კერძო სკოლის მასწავლებლებისთვის;

(გ) საჯარო სკოლის პედაგოგები იღებენ სერტიფიცირების დანამატს, რასაც მოკლებულნი არიან კერძო სკოლის მასწავლებლები. შესაბამისად, რეგიონებში კერძო სკოლები არაკონკურენტუნარიანები არიან და ხშირად „დღის ცენტრების" ფუნქციებს ასრულებენ და მშობლებისთვის ან სოციალურად დაუცველი მოსწავლეებისთვის გარკვეულ თავშესაფარს წარმოადგენენ (ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა რელიგიური ორგანიზაციების მიერ დაფუძნებული სკოლები).

ამ თვალსაზრისით განსხვავებულია ვითარებაა თბილისში, თუმცა არც თბილისში არსებული ვითარება უწყობს ხელს საჯარო და კერძო სკოლების კონკურენციას და, შესაბამისად, განათლების ხარისხის უზრუნველყოფას. ამის მიზეზი შემდეგი გარემოებებია:

(ა) კერძო სკოლებს თბილისში აქვთ მაღალი გადასახადი და, შესაბამისად, შესაძლებლობა, მოიზიდონ უფრო კვალიფიციური კადრები. კერძო სკოლების მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 44% სწავლობს სწორედ ისეთ სკოლებში, სადაც გადასახადი 3000 ლარი და მეტია. ასეთი სკოლები მაღალ ხელფასს სთავაზობენ მასწავლებლებს და ადვილად შეუძლიათ მათი მოზიდვა/გადმობირება საჯარო სკოლებიდან;

(ბ) საჯარო სკოლების მასწავლებლებს დედაქალაქში აქვთ თბილისში არსებულ საშუალო ხელფასზე დაბალი ხელფასი, შესაბამისად, საჯარო სკოლებში კვალიფიციური მასწავლებლის დამაგრების ერთადერთი მექანიზმია რეპეტიტორობა, რაც ხელს უწყობს ჩრდილოვან განათლებას, ხელს უშლის განათლების ხარისხის გაუმჯობესებას საჯარო სკოლებში. ამდენად, ალბათ მნიშვნელოვანია საქართველოს დედაქალაქსა და რეგიონებში საშუალო თვიურ ხელფასებს შორის არსებულ განსხვავებათა კვალდაკვალ, საჯარო სკოლების მასწავლებელთა ხელფასების დიფერენციაციაზეც ვიფიქროთ (ცხოვრების დონისა და დანახარჯების შესაბამისად კონკრეტულ ქალაქსა თუ რეგიონში). მაგალითისათვის წარმოვადგენთ რეგიონებს შორის საშუალო თვიური ხელფასების გადანაწილებას ბიზნესსექტორში დაქირავებულ დასაქმებულებს შორის.

ცხრილი 41. 2011 წელს ბიზნესსექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი რეგიონების მიხედვით

რეგიონი	**ქალი**	**მამაკაცი**
თბილისი	541,10	842,0
აფხაზეთი	431,3	920,4
აჭარა	329,0	581,7
გურია	179,3	333,9
იმერეთი	267,9	525,9
კახეთი	201,0	390,9
მცხეთა-თიანეთი	393,7	721,8
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	220,8	275,3

სამეგრელო-ზემო სვანეთი	246,9	539,8
სამცხე-ჯავახეთი	234.5	468,3
ქვემო ქართლი	298,0	679
შიდა ქართლი	224,5	457,6

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, 2012.

ხელფასები განსხვავებულია არა მხოლოდ ბიზნესის სექტორში დასაქმებულთა შორის, არამედ სხვა სეგმენტშიც. უშუალოდ საჯარო სკოლების ადმინისტრაციებში დაწესებულია სკოლის დირექტორების, დირექტორების მოადგილეების და ადმინისტრაციის თანამშრომელთა ხელფასების ზედა და ქვედა ზღვარი. ანალოგიური ვითარებაა თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომელთა ანაზღაურების შემთხვევაშიც. თბილისისა და ბათუმის თვითმმართველი ქალაქების ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომლები იღებენ განსხვავებულ და უფრო მაღალ თანამდებობრივ სარგოს, ვიდრე სხვა თვითმმართველი ერთეულის თანამშრომლები. განსხვავებაა თვითმმართველი ერთეულის თანამშრომელთა თანამდებობრივ სარგოებს შორისაც, რადგან პრეზიდენტის ბრძანებულება აწესებს თანამდებობრივი სარგოს მხოლოდ ზედა ზღვარს, ხოლო ამ ზედა ზღვრის შიგნით ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობებიდან და ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ინიშნება თანამდებობრივი სარგო (პრეზიდენტის ბრძანებულება, 2012). შესაბამისად, ქალაქ თბილისსა და რეგიონებს შორის მასწავლებელთა ხელფასების დიფერენციაცია შესაძლებელია განათლების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხი გახდეს. ამ შემთხვევაში შეიძლება განსხვავება და/ან დანამატი თბილისის სკოლის მასწავლებლებისთვის დაიფაროს ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან, რისი საშუალებაც თბილისის ბიუჯეტს გააჩნია. ამით ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობა განათლების სფეროში გაიზრდება, რაც თავისთავად პოზიტიური მოვლენაა განათლების სისტემის მართვის თვალსაზრისით.

თავი 7.
დირექტორთა გამოკითხვის შედეგები მასწავლებლების რაოდენობა სკოლების მიხედვით

როგორც კვლევის მეთოდოლოგიის თავში აღინიშნა, კვლევაში მონაწილეობა 432-მა დირექტორმა მიიღო, რომლებიც, შერჩევის პრინციპებიდან გამომდინარე, გადანაწილებულნი არიან დაფინანსების ფორმულის მიხედვით განსაზღვრული პარამეტრებისა და კვლევის ფარგლებში შემუშავებული კვოტების შესაბამისად.

კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩავთვალეთ მასწავლებლების რაოდენობრივი გადანაწილების გაანალიზება სკოლების სიდიდის მიხედვით, ამისათვის კი კვლევის ფარგლებში გამოყენებული კვოტები გამოვიყენეთ. მეტი სიცხადისათვის, მასწავლებლების გადანაწილების გასაანალიზებლად გამოვიყენეთ როგორც კითხვარში დაფიქსირებული პასუხები, ასევე განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ცენტრის მიერ მოწოდებული ბაზები, სადაც მასწავლებლებისა და მოსწავლეების პროპორციული გადანაწილება საქართველოს ყველა სკოლისათვის არის მოცემული.

თუ ქვევით წარმოდგენილ ცხრილს შევხედავთ, ვნახავთ, რომ 206-735-კონტინგენტიან სკოლებში, რომლებიც დაფინანსების მიხედვით 3 დონედ არის ჩაშლილი, მასწავლებლების რაოდენობის ზედა ზღვარი ერთსა და იმავე რაოდენობაზე იკვეთება. ამასთან, თითოეული სიდიდის სკოლაში გაერთიანებული სკოლების რაოდენობასაც თუ გავითვალისწინებთ, გამოდის, რომ რიგ შემთხვევებში მინიმუმ 230 მოსწავლის ფარგლებში განსხვავებულ სკოლებს (206-299-კონტინგენტიანი სკოლის ზემო ზღვარი და 531-735-მოსწავლიანი სკოლის ქვედა ზღვარს შორის სხვაობა) შეიძლება ერთი და იმავე რაოდენობის მასწავლებლები ჰყავდეს, რაც თავისთავად სხვადასხვა ფაქტორით უნდა იყოს განპირობებული (ორი ან რამდენიმე შენობა...), თუმცა რეალურად, დაფინანსების კუთხით ეფექტიანობაზე საუბრისას ამგვარი გადანაწილება მეტყველებს მასწავლებლების ხელფასების ხარჯების მიხედვით სკოლების არათანაბარ ფინანსურ მდგომარეობაზე აბსოლუტურად თანაბარი დაფინანსების შემთხვევაშიც კი.

ცხრილი 42. მასწავლებლების გადანაწილება სხვადასხვა კონტინგენტიან სკოლებში თითოეული სკოლის კატეგორიისათვის (განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ცენტრის ბაზა)

კატეგორია	1-5	6-10	11-20	21-30	31-40	41-50	51-60	61-70	71-80	81-90	91-100	100+	სულ სკოლების რაოდენობა
მასწავლებლების რაოდენობა 1-50 მოსწავლიან სკოლაში %	1.5%	12.1%	78.1%	8.4%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	406
მასწავლებლების რაოდენობა 51-100 მოსწავლიან სკოლაში %	0.2%	0.1%	51.3%	47.4%	0.9%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	422
მასწავლებლების რაოდენობა 101-169 მოსწავლიან სკოლაში %	0.0%	0.2%	12.6%	79.7%	6.2%	0.9%	0.2%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	436
მასწავლებლების რაოდენობა 170-205 მოსწავლიან სკოლაში %	0.0%	0.0%	2.3%	79.7%	15.6%	1.6%	0.8%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	128
მასწავლებლების რაოდენობა 206-299 მოსწავლიან სკოლაში %	0.0%	0.0%	**2.0%**	**61.5%**	**28.0%**	**5.5%**	**1.5%**	**1.5%**	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	200
მასწავლებლების რაოდენობა 300-530	0.0%	0.0%	0.0%	**9.6%**	**44.5%**	**36.6%**	**7.0%**	**1.7%**	0.0%	0.4%	0.0%	0.0%	229
მასწავლებლების რაოდენობა 531-735	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	**9.7%**	**53.4%**	**28.2%**	**8.7%**	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	103
მასწავლებლების რაოდენობა 736-1269	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	8.9%	34.7%	37.1%	11.3%	6.5%	1.6%	0.0%	124
მასწავლებლების რაოდენობა 1270+	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	8.8%	5.9%	32.4%	17.6%	35.3%	34

მასწავლებლებისა და მოსწავლეების გადანაწილება მკვეთრად არ იცვლება სკოლების სიდიდის შესაბამისად, როდესაც მხედველობაში არ ვიღებთ გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის განსხვავებულ თანაფარდობას (იგულისხმება ის მოცემულობა, როდესაც სოფლისა და დაბის სკოლებშია: აქ მოსწავლე-მასწავლებლებს შორის თანაფარდობა მკვეთრად ჩამოუვარდება ქალაქში არსებულ თანაფარდობას), თუმცა ის ცალკეული შემთხვევები, როდესაც მასწავლებლების რაოდენობა მკვეთრად დაბალი ან მაღალია მოსწავლეების რაოდენობასთან შეფარდებით, სპეციალურ შესწავლას საჭიროებს, - იმისათვის, რათა დადგინდეს, რამდენად ეფექტურია მასწავლებელთა სახელფასო დანახარჯები და ამ ხარჯის გაზრდილი რაოდენობა ხომ არ აკლდება სკოლის მიერ სწავლის ხარისხის უზრუნველსაყოფად აუცილებელ სხვა დანახარჯებს.

ფინანსური მართვა და ანგარიშგების უნარი.

დირექტორთა გამოკითხვის მეშვეობით გვინდოდა დაგვედგინა, არსებული დაფინანსების სისტემა რამდენად აძლევს საშუალებას სკოლებს, ჰქონდეთ დანაზოგი. შესაბამისად, კითხვარში მოცემული იყო კითხვა ბოლო ერთი და ორი წლის განმავლობაში წლის ბოლოს დარჩენილი ნაშთის შესახებ. ამ ტიპის ინფორმაციის საშუალებით შესაძლებელი უნდა გამხდარიყო დადგენა, თუ რამდენად აქვთ სკოლებს შესაძლებლობა, აუცილებელი ხარჯების გაწევის შემდეგ დარჩეთ დანაზოგი, რომელიც სკოლის მიერ პრიორიტეტად მიჩნეულ საჭიროებებს მოხმარდება. უფრო კონკრეტულად კი კითხვარში ასახული ინფორმაციის საფუძველზე უნდა დაგვედგინა, რა რაოდენობის დანაზოგი გააჩნიათ მიზნობრივ სკოლებს, როგორია სკოლის ნაშთებს შორის არსებული ამპლიტუდა და, შესაბამისად, თუ არსებობს რაიმე ტიპის კანონზომიერება სკოლების დანაზოგსა და დაფინანსებაზე მოქმედ კომპონენტებს შორის. ამგვარი მონაცემები საშუალებას მოგვცემდა გვემსჯელა, თუ რამდენად გააჩნია ყველა სკოლას თავისუფალი თანხები იმისათვის, რომ ეფექტურად უპასუხოს სკოლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. შემდეგი, ღია კითხვების საშუალებით უნდა დადგენილიყო, თუ არსებობს იმგვარი ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ თავისუფალი თანხის ხარჯვის დაგეგმვასა და შემდგომ მის მიზნობრივ ხარჯვაზე. გამოკითხვის შედეგად დადასტურდა, რომ ნაშთის კალკულაცია წლების მიხედვით დირექტორებისათვის პრობლემას წარმოადგენს. ნაშთის დასახელებისას, ისინი მეტწილად სკოლის ბალანსზე არსებული ნაშთის სრულ რაოდენობას ასახელებენ და არა უკანასკნელ ფისკალურ წელს არსებულ ნაშთს. შესაბამისად, კითხვარში მოცემული ინფორმაცია ნაშთის არსებობის შესახებ ასახავს სკოლების საბალანსო მდგომარეობას წინა წლისათვის და არა ახალი ვაუჩერული დაფინანსების პირობებში თავისუფალი თანხის არსებობის მონაცემებს.

კითხვაზე, აქვთ თუ არა ნაშთი, პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: გამოკითხულ სკოლების დირექტორთა 82%-ზე მეტი აცხადებს, რომ მის სკოლას ნაშთი დარჩა და მხოლოდ 16.4% აცხადებს, რომ არც შარშან და არც შარშანწინ შემოსავლებიდან ნაშთი არ დარჩენიათ.

დიაგრამა 22. სკოლების გადანაწილება ნაშთების მიხედვით



რეალურად, ის ფაქტი, რომ სკოლების 16.4 პროცენტს ბოლო ბალანსის შესაბამისად ნაშთი არ გააჩნია, არ გვაძლევს საფუძველს გავაკეთოთ დასკვნა, რომ სკოლებს განსხვავებული შესაძლებლობები გააჩნიათ დაფინანსების სისტემით გათვალისწირებული რომელიმე ერთი ან რამდენიმე ფაქტორის მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ ცალსახად ვერ ვისაუბრებთ ფაქტორების გავლენაზე ნაშთთან მიმართებით, საჭიროდ ჩავთვალეთ ნაშთის არსებობა და არარსებობა რამდენიმე ჭრილში განგვეხილა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაში ნაშთები სკოლის სიდიდის მიხედვით პროცენტულ გადანაწილებას აჩვენებს:

დიაგრამა 23. ნაშთების გადანაწილება სკოლების სიდიდის მიხედვით



დიაგრამაში მკაფიოდ ჩანს, რომ სიდიდის მიხედვით დაყოფილ სკოლებს შორის ყველაზე დაბალი პროცენტი ნაშთის არსებობის შესახებ 101-169-მოსწავლიან (72.7% აცხადებს ნაშთის არსებობას) და 170-205-მოსწავლიან (67.7% აცხადებს ნაშთის არსებობას) სკოლებზე მოდის. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დიდ სკოლებზე მოდის, სადაც გამოკითხული სკოლიდან ყველას გააჩნია ნაშთი. ასევე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 206-299-კონტინგენტიან სკოლებშიც (91.4%).

თუ მიზნობრივ სკოლებში ნაშთის არსებობას შენობების რაოდენობის მიხედვით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ რეალურად დიდი განსხვავება არ გვხვდება.

დიაგრამა 24. ნაშთების გადანაწილება შენობების რაოდენობის მიხედვით



რაც შეეხება ნაშთის გადანაწილებას გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით, მცირე ქალაქის (დაბის) ტიპის დასახლებაში ნაშთის არსებობა ნაკლები პროცენტით არის მოცემული, ვიდრე ქალაქსა და სოფელში (75%), ხოლო ქალაქში კი ნაშთი სკოლების 88%-ზე მეტში სახელდება.

დიაგრამა 25. ნაშთების გადანაწილება გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით



ასევე თვალსაჩინოა განსხვავება ნაშთის არსებობის კუთხით სექტორიან სკოლებში. დიაგრამაზე მკაფიოდ ჩანს, რომ სექტორიან სკოლებში ნაშთის არსებობა გამოკითხული სკოლების მხოლოდ 57%-ში სახელდება. მიუხედავად იმისა, რომ 14.3% კითხვას არ პასუხობს, რეალურად სექტორიანი სკოლები ნაშთის მაჩვენებლით მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან ქართულ და არაქართულ სკოლებს, სადაც ნაშთის არსებობა პრაქტიკულად იდენტურად არის დაფიქსირებული.

დიაგრამა 26. ნაშთების გადანაწილება სწავლების ენის მიხედვით



კვლევისათვის ასევე საჭიროდ იქნა მიჩნეული მონაცემების ერთდროული განხილვა სამ ჭრილში, სადაც სკოლები სიდიდის, გეოგრაფიული მდებარეობისა და სწავლების ენის მიხედვით ერთდროულად იქნებოდა განხილული. ამგვარი ანალიზისათვის რაიმე ტიპის ტენდენცია არ დაფიქსირდა.

შემდეგი კითხვა ეხებოდა ნაშთების ათვისების დაგეგმვასა და მის მიზნობრივად გამოყენების შესაძლებლობას. დირექტორთა გამოკითხვის საშუალებით ასევე უნდა გარკვეულიყო, რამდენად ხდება ნაშთების შეგნებულად აკუმულირება, რამდენად ახერხებდნენ დირექტორები ნაშთის ხარჯვას და რამდენად შეესატყვისება ნაშთის დახარჯვა დაგეგმილს.

დიაგრამა 27. ნაშთის დაგეგმვისა და გამოყენების მაჩვენებლები



337 სკოლიდან, რომელსაც ნაშთი დარჩა წინა წლიდან, 280 აცხადებს, რომ დაგეგმილი ჰქონდა ნაშთის ხარჯვა კონკრეტული მიზნისათვის. 280 სკოლიდან კი, რომლებმაც ნაშთის ხარჯვა დაგეგმეს, 231-მა ნაშთი მიზნობრივად დახარჯა. იმ 75 სკოლიდან, რომლებმაც მიზნობრივად ვერ დახარჯეს ნაშთი და 126 სკოლიდან, რომელმაც კითხვას თავი აარიდა, ნაშთის დაუხარჯაობის მიზეზი კონკრეტულად 15-მა ახსნა. არგუმენტები, რომლებიც შესაძლებლობის ფარგლებში აკუმულირდა, ქვემოთ არის მოცემული.

ცხრილი 43. ღია კითხვებზე გაცემული პასუხების მიმართულებები ძირითადი ნაშთის მიზნობრივად დახარჯვასთან დაკავშირებულ პრობლემებთან დაკავშირებით

ვერ მოხერხდა კონკრეტული მიზნისთვის გახარჯვა, მაგ. სახურავის გადახურვა, გაზონის საკრეჭი ტექნიკის შეძენა ტენდერის პირობებისა და შესყიდვებთან დაკავშირებული სირთულეების გამო.
ვაუჩერში სკოლას თანხა დააკლდა და ნაშთი გადაიტანეს ხარჯში, რის გამოც ვერ მოხდა დაგეგმილი შესყიდვის განხორციელება.
უნდა მომხდარიყო სკოლის რეაბილიტაცია და ვერ მოხერხდა, - კახეთის სტიქიასთან დაკავშირებით ჩავარდა.
სკოლა შერწყმული იყო, ერთი შენობა დაიწვა, ამიტომაც დარჩა ნაშთი. დირექტორი ვერ ახერხებს ნაშთის გახარჯვას.
სირთულეა, რომ ყველა საჭიროებაზე ნაშთის ათვისება არ ხერხდება. მაგალითად, ნაშთი არ ნაწილდება ხელფასებად, რისი საშუალებაც რეალურად სკოლას გააჩნია. პრობლემაა ასევე, რომ წინა თვის ნაშთი არ აისახება მომავალი წლის ანგარიშზე.
შენობა არ არის სკოლის ბალანსზე, - საპატრიარქოს საკუთრებაა და ამიტომ ნაშთის მიუხედავად არ ხერხდება მისი გარემონტება.
შესაძლებელი იყო ნაშთის პრემიებად გადანაწილება პედკოლექტივზე, თუმცა ამის უფლება ვერ მიიღეს.
მხოლოდ ნაწილობრივ მოხმარდა დასახულ მიზანს.
ინვენტარის შესაძენად იყო გათვალისწინებული, თუმცა თანხა არ აღმოჩნდა საკმარისი.
ინფრასტრუქტურისთვის გამოყოფილი თანხა, რომლის ხარჯთაღრიცხვაზეც უარი გვეთქვა იმ მიზეზით, რომ ამერიკულ პროექტში ვიყავით ჩართული და ნაშთი არამიზნობრივად ჩაითვლებოდა. რემონტი არ გაკეთებულა.
ბიუჯეტში შესული ცვლილებების გამო ხანდახან ვერ ხერხდება საჭიროებისამებრ ნაშთის განკარგვა.
არ მოხერხდა ბუფეტის გარემონტება, რადგან თანხა არ იყო საკმარისი.
არ დახარჯულა, რადგან განსაკუთრებული შემთხვევა არ შეიქნა.
ამ ნაშთის მიზნობრივი დახარჯვა დაგეგმილია ზაფხულში, ამიტომ ჯერ არაა დახარჯული.

სამინისტროს გააჩნია სარეკომენდაციო მოთხოვნა სკოლებთან - ყველა აუცილებელი ხარჯის გაღების შემდეგ 3% თავისუფალი შემოსავლის დატოვების შესახებ. თავად ის ფაქტი, რომ სკოლების დაახლოებით 16 პროცენტი უთითებს, რომ ნაშთი არ გააჩნია, არ იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად ხერხდება სამინისტროს რეკომენდაციის შესრულება. შესაძლებელია, რომ ნაშთის ათვისება ფისკალური წლის დასასრულამდე ხდება და, შესაბამისად, ის აღარ აისახება წლიურ ბალანსში. თუმცა ღია კითხვების მიხედვით, სადაც დირექტორები აზუსტებენ, რამდენად მოხერხდა დაგეგმილი ნაშთის ათვისება, შეიძლება ცალკეული დასკვნების გამოტანა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად აქვთ სკოლებს ამგვარი თანხები და არსებობს თუ არა ხელისშემშლელი ფაქტორები თავისუფალი თანხების გასახარჯად. ქვემოთ მოყვანილ ღია კითხვებზე გაცემული პასუხები ცხადყოფს, რომ რიგ შემთხვევებში სამინისტროს რეკომენდაციის გათვალისწინება შეუძლებელია თანხების არასაკმარისობის გამო. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, უნდა იყოს თუ არა თავისუფალი თანხის არსებობა რეკომენდებული და არა უზრუნველყოფილი და აუცილებელი ყველა სკოლისათვის, რა ძირითად საჭიროებებს შეიძლება მოხმარდეს თავისუფალი თანხა, რამდენად ეფექტურია თავისუფალი თანხის არსებობის სარეკომენდაციო სახე, თუ რეალურად ამგვარი შემოსავლის არსებობას, დირექტორების მოსაზრებით, სწავლის ხარისხზე აქვს გავლენა.

კითხვარის საშუალებით ვერ ხერხდება რაოდენობრივი და სტატისტიკურად სანდო მონაცემების შეგროვება სკოლების მიერ თავისუფალი შემოსავლის ხარჯვასთან, პრიორიტეტებთან დაკავშირებით, თუმცა ის მონაცემები, რომლებიც კითხვარში დაფიქსირდა, იძლევა საშუალებას, დადგეს სკოლების თანაბარი შესაძლებლობების საკითხი. ასევე, საკითხი იმასთან დაკავშირებით, თავისუფალი შემოსავლის არსებობის ფორმა სავალდებულო უნდა იყოს თუ სარეკომენდაციო და რა არის რეალურად ის მინიმალური ზღვარი, რაც ყველა სკოლას უნდა ჰქონდეს სკოლის ინდივიდუალური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, - ეს საკმაოდ აქტუალური პრობლემაა.

ღია პასუხების მიხედვით ნათელია, რომ რიგ შემთხვევებში ნაშთის ათვისება არ ხერხდება სკოლის ფინანსების განკარგვის ეფექტურობისგან დამოუკიდებლად. მათ შორის დასახელდა სკოლისათვის ვაუჩერის დანაკლისი, რის გამოც აუცილებელი გახდა ნაშთის გამოყენება მიმდინარე მიზნებისათვის. ასევეა ორკორპუსიანი სკოლის ერთ-ერთი შენობის დაწვის შემთხვევაში ნაშთის გამოყენების მართებულობის დადგენის ხანგრძლივი პროცესი. რეალურად, ნაშთის განკარგვის ცალკეული შემთხვევები ადასტურებს, რომ ამ თანხების განკარგვის მკაფიო ინსტრუქციები არ არსებობს ან არსებული ინსტრუქციები ზღუდავს სკოლების ადმინისტრაციის ავტონომიას.

ნაშთის განკარგვის დაგეგმვა და მისი ათვისება ასევე იქნა გაანალიზებული დაფინანსების კრიტერიუმების შესაბამის ჭრილში. პასუხების გადანაწილება ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამებშია მოცემული. ორ- და მეტშენობიანი სკოლების შემთხვევაში განსხვავება დაგეგმილსა და ათვისებულ ნაშთს შორის 9%-ია, ხოლო ერთშენობიანი სკოლების შემთხვევაში კი - 12.5%. თუმცა, ამავდროულად, პასუხისგან თავი ერთშენობიანი სკოლის შემთხვევაში 30.6%-მა აარიდა.

დიაგრამა 28. ნაშთების დაგეგმვისა და მიზნობრივი ათვისების გადანაწილება ერთ-, ორ- და მეტშენობიანი სკოლების შემთხვევაში



საინტერესოა ნაშთების დაგეგმვისა და ათვისების მაჩვენებელი სწავლების ენის მიხედვით სკოლების გადანაწილების შემთხვევაში, სადაც კარგად ჩანს, რომ სექტორიანი სკოლების შემთხვევაში გადანაწილება დაგეგმილ და მიზნობრივ ათვისებას შორის ზუსტად

ერთნაირია. ქართულენოვანი სკოლების შემთხვევაში განსხვავება ნაშთის გამოყენების დაგეგმვასა და ათვისებას შორის დაახლოებით 9 პროცენტია. არაქართულენოვან სკოლებში ნაშთის დაგეგმვის ძალიან მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება (79.5%), თუმცა, მისი მიზნობრივად განკარგვის შემთხვევაში დადებითი პასუხი დირექტორების მხოლოდ 47.7%-ს აქვს მითითებული. რეალურად, დირექტორების 31.8%-მა ვერ შეძლო წინასწარ დაგეგმილი ნაშთის მიზნის შესაბამისად გამოყენება. ამ მაჩვენებლის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ არაქართულენოვანი სკოლის დირექტორები ნაკლებეფექტურნი არიან ფინანსების მართვის თვალსაზრისით. ეს ტენდენცია ამ სკოლების დირექტორების შედარებით დაბალი კომპეტენციით შეიძლება ავხსნათ, რაც სავარაუდოდ, სახელმწიფო ენის ფლობის პრობლემას, და შესაბამისად, ინფორმაციის ნაკლებად ხელმისაწვდომობის პრობლემას უნდა უკავშირდებოდეს.

დაიგრამა 29. ნაშთების დაგეგმვისა და მიზნობრივი ათვისების გადანაწილება სკოლებში სწავლების განსხვავებული ენების შემთხვევაში



გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით საინტერესოა განსხვავება დაგეგმილ და ათვისებულ ნაშთს შორის დაბის შემთხვევაში, სადაც დირექტორების 20.9% აცხადებს, რომ ვერ აითვისა მიზნობრივად თანხა. იმავეს აცხადებს სოფლის სკოლების დირექტორთა 12.8%, მაშინ როდესაც ქალაქის დირექტორების მხოლოდ 4.3% აცხადებს, რომ ნაშთი არ იქნა მიზნის შესაბამისად ათვისებული. ეს მაჩვენებელი კიდევ ერთხელ იძლევა ვარაუდის საშუალებას, რომ გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით დირექტორებს განსხვავებული შესაძლებლობა ეძლევათ არსებული თანხის განკარგვაში სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე. საფიქრებელია, რომ სოფლისა და დაბის სკოლებისათვის გართულებულია იმ სერვისებისა და საქონლის წვდომა, რომელიც მათ საშუალებას მისცემდათ, თანხა მიზნობრივად განეკარგათ ან დირექტორების ფინანსური დაგეგმვის და მართვის უნარები სასოფლო და დაბის ტიპის დასახლებებში ნაკლებად არის განვითარებული ქალაქის სკოლების დირექტორთა სათანადო კომპეტენციასთან შედარებით.

დიაგრამა 30. ნაშთის მიზნობრივად გამოყენების მონაცემები გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით



სკოლების შემოსავლის წყაროები და დანახარჯების სახეები და გადანაწილება.

დირექტორთა გამოკითხვის ამოცანას ასევე წარმოადგენდა დირექტორებისაგან სკოლის შემოსავლისა და გასავლის წყაროების, მათი მოცულობისა და ურთიერთმიმართების შესწავლაც. შესაბამისად, კითხვარი მოიცავდა რამდენიმეპუნქტიან კითხვას, რომელიც დირექტორისაგან მოითხოვდა სკოლის შემოსავლის წყაროების დასახელებას საერთო შემოსავლის პროცენტული მაჩვენებლით და გასავლის/ხარჯის სახეებს მათი წილობრივი მაჩვენებლით.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორების დიდი ნაწილისათვის სირთულეს წარმოადგენს სკოლის შემოსავლებისა და გასავლის წყაროების, მათი მოცულობისა და წილობრივი მაჩვენებლის მითითება დაახლოებით მაინც. მეტიც, რიგ შემთხვევებში მცირეკონტინგენტიანი სკოლის დირექტორები დარწმუნებულები არიან, რომ ისინი ვაუჩერული ტიპის დაფინანსებას იღებენ სამინისტროსგან. შესაბამისად, კითხვარის შევსების პროცესში მეტწილად სკოლის ბუღალტრის ჩართვა გახდა საჭირო. თავისთავად, ეს ფაქტი ცხადად მეტყველებს დირექტორების ფინანსური მართვისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების ნაკლებობაზე, რაც უდავოდ აისახება სკოლის ფინანსურ ეფექტურობასა და, შესაბამისად, ხარისხიანი სწავლის უზრუნველყოფის შესაძლებლობებზე.

კითხვა შემოსავლების შესახებ 9 პუნქტისაგან შედგებოდა, რაც საშუალებას აძლევდა დირექტორებს ყველაზე მეტად გავრცელებული შემოსავლების წყაროებთან ერთად ის კონკრეტული წყარო დაესახელებინა, რომელიც მისი სკოლისათვის იყო რელევანტური. კითხვარის ბოლო პუნქტი „სხვა“ კი, დირექტორებს საშუალებას აძლევდა დაესახელებინა დაფინანსების ის წყარო, რომელიც ყველაზე მეტად გავრცელებული წყაროებისგან განსხვავდებოდა და დაეკონკრეტებინათ იგი.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია შემოსავლების გადანაწილების საშუალო მაჩვენებელი სკოლებისათვის. თვალნათელია, რომ სკოლებისათვის ძირითადი შემოსავალი

სახელმწიფო დაფინანსებაა, რომელიც მთელი შემოსავლის 98.25%-ს შეადგენს და რომელიც კონკრეტული სკოლის პარამეტრების შესაბამისად შეიცავს ინდივიდუალურ დაფინანსებას მცირეკონტინგენტიანი სკოლის შემთხვევაში, ვაუჩერსა და საბაზისო დაფინანსებას 170+ მოსწავლის შემთხვევაში. სახელმწიფო დაფინანსებაში ასევე მოიაზრება მასწავლებლების სახელფასო დანამატები, რომლებიც სკოლებს ცალკე გადაეცემათ მათი პედაგოგიური კოლექტივის მონაცემების შესაბამისად. საერთო რაოდენობაში ასევეა შესული ის სპეციალური და სპეიცალიზებული სკოლები, რომლებიც მიზნობრივ აუდიტორიას ემსახურებიან და ინდივიდუალურად ფინანსდებიან, ასე მაგალითად, კადეტთა სკოლა იმერეთში, სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა სკოლა ახალციხეში და ა.შ.

კითხვარის პასუხების მიხედვით, დანარჩენი დაფინანსება ნაწილდება 8 წყაროს შორის, რომელთა შორის არის: ფართისგან მიღებული იჯარა, სხვა შემოსავლები, გრანტები და ადგილობრივი თვითმართველობიდან მიღებული/მობილიზებული თანხები, შემოწირულებები, მშობელთა ნებაყოფლობითი ძირითადი დახმარებები, კურსდამთავრებულთა მიერ ჩარიცხული თანხები და სხვა ტიპის იჯარისგან მიღებული შემოსავლები. ყოველივე ეს საერთო ჯამში შემოსავლის 1.75%-ს შეადგენს.

ცხრილი 44. სკოლის დაფინანსების წყაროები და მათი წილობრივი გადანაწილება

შემოსავლის წყარო	**შემოსავლის წილი**
1.სახელმწიფო დაფინანსება;	98.25
2. გრანტები;	0.29
3. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისგან მობილიზებული თანხები;	0.14
4. კურსდამთავრებულთა მიერ ჩარიცხული თანხები;	0.03
5. შემოწირულობები;	0.02
6.მშობელთა ნებაყოფლობითი დახმარებები;	0.03
7. ფართის იჯარა;	0.67
8. სხვა საშუალებების იჯარა;	0.10
9. სხვა (დააკონკრეტეთ)	0.47

სახელმწიფოს ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებულის თანხების მიღმა არსებული შემოსავლის გადანაწილება.

მიუხედავად სხვა ტიპის შემოსავლების მცირე მოცულობისა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა სკოლაში სხვა შემოსავლების რაოდენობები საკმაოდ განსხვავებულია. შესაბამისად, საჭიროდ მივიჩნიეთ წყაროების გაანალიზება სხვადასხვა ჭრილში.

დამატებით შემოსავლად გრანტს გამოკითხულიდან 36 სკოლა მიუთითებს და ამ ტიპის შემოსავალი 0.5-დან 20%-მდე მერყეობს. გრანტიდან მიღებული შემოსავალი 20-სა და 14 პროცენტს შეადგენს თითო-თითო სკოლისათვის, ხოლო ორი სკოლისათვის კი ის შემოსავლის 10%-ია. ასევე ერთი სკოლისათვისაა გრანტიდან მიღებული შემოსავალი 7%. 10 სკოლისათვის ამ ტიპის შემოსავალია 2-5%-ია, ხოლო 15 სკოლისათვის კი - 1%.

საგულისხმოა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობიდან მიღებული შემოსავალი 22 სკოლას აქვს, საიდანაც ერთი სკოლა უთითებს, რომ ეს შემოსავალი სკოლის მთლიანი ბიუჯეტის 20%-ია, 8 სკოლისათვის - 2-6%, 13 სკოლისათვის კი - 0.5-დან 1.5%-მდე.

ცხრილი 45. სკოლების დაფინანსების ოდენობა ადგილობრივი თვითმმართველობებიდან

რეგიონი	რაიონი	სკოლის სიდიდე	დაფინანსების წილი სკოლის შემოსავალში
გურია	ოზურგეთი	51-100	0.5
სამეგრელო-ზემო სვანეთი	ზუგდიდი	206-299	0.5
გურია	ჩოხატაური	51-100	1
თბილისი	გლდანი-ნაძალადევი	736-1269	1
იმერეთი	ზესტაფონი	736-1269	1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	ზუგდიდი	101-169	1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	ფოთი	206-299	1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	ჩხოროწყუ	206-299	1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	ზუგდიდი	300-530	1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	წალენჯიხა	51-100	1
სამცხე-ჯავახეთი	ბორჯომი	51-100	1
შიდა ქართლი	ხაშური	1-50	1
კახეთი	ლაგოდეხი	101-169	1.5
იმერეთი	სამტრედია	101-169	2
სამეგრელო-ზემო სვანეთი	წალენჯიხა	101-169	2
სამეგრელო-ზემო სვანეთი	მარტვილი	51-100	2
სამეგრელო-ზემო სვანეთი	ზუგდიდი	101-169	3
სამეგრელო-ზემო სვანეთი	ზუგდიდი	101-169	3
სამეგრელო-ზემო სვანეთი	მარტვილი	101-169	3
სამეგრელო-ზემო სვანეთი	მესტია	1-50	5
იმერეთი	თერჯოლა	101-169	6
შიდაქართლი	ხაშური	300-530	20

ცხრილში კარგად ჩანს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობისგან მიღებული შემოსავალი განსხვავებულია მოცულობის მიხედვით და სკოლების მთლიანი ბიუჯეტის 0,5%-დან 20 პროცენტამდეა გადანაწილებული. ყველაზე ხშირად დასახელებული შემოსავლის წილი ამ წყაროდან 1 პროცენტია. ასევე თვალსაჩინოა, რომ რეგიონის დონეზე თვითმმართველობის მიერ გამოყოფილი თანხები 6 რეგიონსა და თბილისს შორისაა გადანაწილებული. მათ შორის, სამეგრელოში 12 შემთხვევაა, იმერეთში - 3, შიდა ქართლსა და გურიაში - ორ-ორი, თბილისში, კახეთსა და სამცხე-ჯავახეთში კი - თითო. როგორც უკვე აღინიშნა, ამ ტიპის დაფინანსება გამოკითხული სკოლების საერთო რაოდენობასთან მიმართებით 0.14%-ს შეადგენს.

ფართის იჯარისგან მიღებული შემოსავლის მეტი წილი, ბუნებრივია, რომ თბილისის სკოლებზე მოდის. თბილისში გამოკითხული 31 სკოლიდან 27-ს აქვს იჯარა, საიდანაც შემოსავალი ერთი სკოლისათვის 26%, ორი სკოლისათვის კი 20%-ია, ხოლო სამი სკოლისათვის - 10%. რეგიონებში 102 სკოლას აქვს იჯარა. გამოკითხული სკოლებიდან 15 სკოლის შემოსავალი 4-10%-ს შორის მერყეობს, 74 სკოლისა 1-3%-ს შორის, ხოლო 30 სკოლის შემოსავალი ფართის იჯარიდან 0.03%-იდან 1%-მდეა.

სკოლების დაფინანსების სხვა წყაროს აკონკრეტებს 62 სკოლა, საიდანაც 35 სოფელში მდებარეობს, 3 - დაბაში, ხოლო 24 კი - ქალაქში.

სხვა ტიპის შემოსავალი მეტწილად შედგება საბანკო სარგებლისაგან გამოკითხული სკოლების 43.54%, საიდანაც 18 სოფელში მდებარე სკოლაა, 2 - დაბაში, 11 კი - ქალაქში.

სკოლების 38.7% სკოლის ბაზაზე არსებული წრეებიდან მიღებულ შემოსავალს ასახელებს შემოსავლის წყაროდ. ასეთია თბილისის 14 და სოფლის 10 სკოლა.

რამდენიმე სკოლა დამატებითი შემოსავლის წყაროდ ასევე ასახელებს ორივეს - საბანკო საპროცენტო სარგებელს და კლასგარეშე წრეებიდან მიღებულ შემოსავალსაც.

1 სოფლისა და 1 ქალაქის სკოლის ბაზაზე ასევე ფუნქციონირებს გახანგრძლივებული კლასი, რომელიც სკოლისათვის დამატებით შემოსავლის წყაროსაც წარმოადგენს.

სხვა შემოსავლებში ასევე იქნა დასახელებული სახელმწიფოსგან მიღებული სუბსიდია, რომელიც სპეციალიზებული სკოლისათვის გამოიყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კითხვარი ასევე მოიცავდა კითხვას გასავლის გადანაწილების შესახებ. ამ კითხვის შევსების დროს ასევე წარმოჩინდა, რომ დირექტორებს არა აქვთ მკაფიო წარმოდგენა, როგორ ნაწილდება გასავალი მათ სკოლებში ხარჯების მიხედვით. შესაბამისად, გასავლის კალკულაციისას მოგვიწია მხოლოდ ის კითხვარები გაგვეანალიზებინა, სადაც პასუხები სრულყოფილად იყო დაფიქსირებული. შესაბამისად, 31 კითხვარის პასუხები არ არის ხარჯების კუთხით გათვალისწინებული. დირექტორების პასუხების მიხედვით, გასავლის თანხები ხარჯებს შორის საშუალოდ შემდეგნაირად ნაწილდება:

ცხრილი 46. ხარჯების გადანაწილების საშუალო მაჩვენებელი კატეგორიების მიხედვით

1	მასწავლებლების ხელფასი	71.85
2	ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ხელფასი	11.61
3	კომუნალური ხარჯები	4.89
4	სარემონტო და ინფრასტრუქტურული ხარჯები	3.71
5	მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაზე მიმართული ხარჯები	0.73
6	სასწავლო მასალის (თვალსაჩინოებები, წიგნები, საკანცელარიო საქონელი) ხარჯები	2.57
7	სასკოლო ინვენტარის ხარჯები (მერხები, დაფები, კომპიუტერები, პროექტორები, ლაბორატორიები)	2.20
8	ტრანსპორტირების / სატრანსპორტო საშუალებების შეძენის და/ან შენახვის ხარჯები	0.15

9	მასწავლებელთა პრემირება და წახალისება	0.93
10	ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის პრემირება და წახალისება	0.69
11	სხვა (მიუწერეთ)	0.66
სულ:		**100%**

შემოსავლისა და გასავლის გარდა, დირექტორთა გამოკითხვით გვინდოდა ასევე გაგვერკვია, თუ რა ტიპის საჭიროებები გააჩნია სკოლას, რისთვისაც დამატებითი შემოსავლის პირობებში დირექტორი სწორედ ხარჯების ამგვარ გადანაწილებას მიანიჭებდა უპირატესობას. კითხვაზე - **„დამატებითი შემოსავლის არსებობის პირობებში, რა პრიორიტეტებს მოახმარდით დამატებით თანხებს?“** - დირექტორებს ვთხოვეთ, რომ მუხლები პრიორიტეტების მიხედვით დაეხარისხებინათ. მუხლებს შორის პრიორიტეტების გაკეთებისას, 24.8%-სთვის პრიორიტეტული სარემონტო და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისათვის გაწეული დანახარჯებია. მეორე პრიორიტეტად სასწავლო მასალის შეძენა დასახელდა. ასევე პრიორიტეტულია დირექტორების 15%-ზე მეტისათვის სასკოლო ინვენტარისა და აღჭურვილობის შეძენა. 10.4%-სთვის კი დამატებითი ფინანსების არსებობის შემთხვევაში მასწავლებლების პრემირება და წახალისება იქნებოდა პრიორიტეტული. კლასგარეშე კულტურულ, სპორტული და საგანმანათლებლო აქტივობებისათვის დამატებითი თანხების არსებობის პრიორიტეტულობაზე საუბრობს დირექტორების 9.6%. კადრების მომზადება დირექტორების 8%-სთვის არის პრიორიტეტული. ხარჯების გადანაწილება პრიორიტეტების მიხედვით ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილშია მოცემული.

ცხრილი 47. დამატებითი ფინანსების არსებობის პირობებში დირექტორთა პრიორიტეტები

პრიორიტეტი	**პირველ რიგში**	**მეორე რიგში**	**მესამე რიგში**	**საშუალოდ**
a. მასწავლებლების პრემირება და წახალისება	10.9%	6.9%	8.3%	10.4%
b. ადმინისტრაციულ ტექნიკური პერსონალის ხელფასის ზრდა, პრემირება და წახალისება	0.9%	5.8%	6.9%	5.4%
c. კომუნალური ხარჯები	1.9%	1.2%	2.5%	2.2%
d. გათბობისა და გათბობის მიზნით სხვა საწვავისა და ნედლეულის ხარჯები	3.2%	3.7%	5.1%	4.8%
e. სარემონტო და ინფრასტრუქტურული ხარჯები	33.8%	18.5%	10.4%	24.8%
f. კადრების მომზადება/გადამზადება	9.3%	6.7%	4.4%	8.1%
g. სასწავლო მასალის (თვალსაჩინოებები, წიგნები, საკანცელარიო საქონელი) შეძენა	3.0%	20.1%	18.1%	16.3%
h. კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო ღონისძიებების ხარჯები	3.0%	7.2%	14.1%	9.6%
i. სასკოლო ინვენტარის შეძენა (მერხები, დაფები, კომპიუტერები, პროექტორები, ლაბორატორიები)	6.9%	14.4%	18.1%	15.6%
j. ტრანსპორტირება/ სატრანსპორტო საშუალებების შეძენა და/ან შენახვა	0.2%	1.9%	0.7%	1.1%
სხვა		4.4%		1.74%

როგორც ცხრილიდან ჩანს, დირექტორების 1.74%-მა არსებულ მუხლებს შორის პრიორიტეტი „სხვა“ მუხლს მიანიჭა. „სხვაზე“ მითითებისას დირექტორებს ვთხოვეთ, რომ დაეზუსტებინათ, რა იქნებოდა დამატებითი შემოსავლის შემთხვევაში მათთვის პრიორიტეტული. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია ის დებულებები და მათი განმეორების სიხშირე, რაც გამოკითხვამ აჩვენა. მოსწავლეთა წახალისება/ დაჯილდოვება დირექტორებისათვის პრიორიტეტულია, ისევე როგორც ღია და დახურული მოედნების მშენებლეობა. რეალურად, რიგ შემთხვევებში „სხვა“ პრიორიტეტებში დაზუსტებული დებულებები კონკრეტულად გაწერილ პრიორიტეტებს ნაწილობრივ ემთხვევა, თუმცა, იმდენად, რამდენადაც დირექტორებმა მათი ცალკე გამოტანა და ხაზგასმა გადაწყვიტეს, ისინი ცხრილში ასევე ცალკეა მოყვანილი.

ცხრილი 48. დირექტორების მიერ დასახელებული სხვა პრიორიტეტები

სხვა პრიორიტეტები	**რაოდენობა/პასუხი**
ახალი შენობა სკოლისთვის	2
ღიაა და დახურული სპორტული მოედანი	3
კომპიუტერული კლასები	1
სამივლინებო ხარჯები	1
სააღმზრდელო მომსახურება	1
მოსწავლეთა წახალისება	4
ეზოს კეთილმოწყობა, მესრის შემოვლება	2
ინკლუზიური მოსწავლეებისთვის საჭირო ტექნიკის შეძენა	1
კლასების გაყოფა სასურველია	2
მასწავლებლის ხელფასის ზრდა	1
საგანმანათლებლო ღონისძიებები, უფასო წრეები	2

კითხვარი ასევე მოიცავდა შეკითხვას ხარჯების განკარგვის თავისუფლებასთან დაკავშირებით. უფრო კონკრეტულად კი კითხვარში მოცემული იყო კითხვა, თუ რამდენად იღებდნენ რეკომენდაციებს ან მითითებებს დირექტორები კონკრეტული ხარჯის გაწევასთან დაკავშირებით. პასუხები ამ შეკითხვაზე შემდეგნაირად გადანაწილდა:

ცხრილი 49. შეკითხვაზე მიღებული პასუხების გადანაწილება

გაქვთ თუ არა რაიმე ტიპის ზეპირი მითითება ან რეკომენდაცია რესურსცენტრისგან ან სამინისტროსგან, მიღებული დაფინანსებიდან რა სახის აქტივობების ან რესურსების შეძენას უნდა მოხმარდეს თანხის გრკვეული ნაწილი		%	რაოდენობრივი გადანაწილება
1	არა	73.38	317
2	ადრე იყო, ახლა აღარაა	3.94	17
3	მხოლოდ ცალკეულ საკითხებზე	6.94	30
4	დიახ	15.28	66
5	არ ვიცი/არ მახსოვს	0.46	2

დირექტორების 77.2% აცხადებს, რომ ამგვარი მითითებები არ არსებობს ან ადრე არსებობდა და ახლა აღარაა. 22,2% აცხადებს, რომ ამგვარი რეკომენდაციები მიუღიათ ან ცალკეულ საკითხებთან მიმართებით მიუღიათ. ამასთან, ისინი აკონკრეტებენ, რა შემთხვევების დროს მიიღეს ზეპირი მითითება ან რეკომენდაცია დაფინანსების განაწილებასთან დაკავშირებით. ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ ძირითადი მითითებები სარემონტო სამუშაობის წარმოდგენასა და შეკვეთასთან დაკავშირებითაა (15.9%), დირექტორები ასევე ასახელებენ ტექნიკურ და ადმინისტრაციულ პერსონალზე ხელფასების გადანაწილების მითითებას. მონაცემების გადანაწილება მითითებების ტიპებთან დაკავშირებით მოცემულია შემდეგ დიაგრამაში:

დიაგრამა 31. ზეპირი მითითებება ან რეკომენდაცია ხარჯების გადანაწილებასთან დაკავშირებით



როგორც დიაგრამაშია მოცემული, დირექტორების ყველაზე დიდი ნაწილი მითითებებს სარემონტო სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებზე იღებს (15.9%), თანაბარი რაოდენობით იღებენ ასეთ მითითებებს დირექტორები ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის ხარჯებთან დაკავშირებითაც (8.6%). ნაკლებია მითითება დამატებითი საგანმანათლებლო რესურსების და კლასგარეშე აქტივობების ორგანიზებისათვის გაწეული ხარჯების შემთხვევაში. რეალურად, დირექტორების 57.7% ხარჯების გადანაწილებისათვის „სხვა“ ტიპის მითითებებს გამოყოფს და აკონკრეტებს, რომ ძირითადად მითითებები ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებით არის, უფრო კონკრეტულად კი, სკოლებმა ამისათვის დაფინანსების 3%-ზე მეტი არ უნდა დახარჯოს. ქვემოთ მოტანილია ის „სხვა“ მითითებები, რომლებიც ცალკეულ შემთხვევებში დაფიქსირდა. მათ შორის, საინტერესოა მითითება: დირექტორებს ურჩევენ, რომ თანხა მაქსიმალურად დაზოგოს.

ცხრილი 50. დირექტორთა მიერ დასახელებული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მითითებები „სხვა“ ხარჯებთან დაკავშირებით

სხვა მითითება	პასუხების რაოდენობა
კომუნალურზე	2
ტრანსპორტზე იყო მითითება. ინგლისურის მასწავლებელი დადიოდა მეორე სოფლიდან და დავუქირავეთ მანქანა.	1
საწვავზე-გათბობაზე	1
ოლიმპიადების ჩატარებასთან დაკავშირებით	1

მასწავლებელთა ხელფასებზე ხელფასების მომატების საშუალება აქვს და არ ამატებინებენ	3
მაქსიმალურად იქნას თანხები დაზოგილი	1
ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მხოლოდ 3% უნდა წავიდეს	4

სკოლების დაფინანსება და თანასწორობის საკითხები.

კვლევის ფარგლებში ასევე საინტერესო იყო დირექტორების მოსაზრებების მოსმენა დაფინანსების სისტემის სამართლიანობასა და ამ სისტემის საშუალებით სკოლებისათვის თანასწორობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. კითხვარში მოცემულ კითხვაზე, თუ რამდენად ის უზრუნველყოფს ყველა სკოლისათვის თანაბარ შესაძლებლობებს ფინანსური კუთხით, დირექტორების პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

დიაგრამა 32. პასუხების გადანაწილება კითხვაზე სკოლების თანასწორობის შესახებ.



საგულისხმოა, რომ დირექტორების ნახევარზე მეტს მიაჩნია, რომ არსებული დაფინანსების სისტემა ვერ უზრუნველყოფს ყველა სკოლისათვის ერთნაირ შესაძლებლებებს. გამოკითხულ დირექტორთა მეოთხედზე მეტს მიაჩნია, რომ სისტემა მხოლოდ ნაწილობრივ უზრუნველყოფს თანასწორობას. თავისთავად ის ფაქტი, რომ დირექტორების ¾ ვერ ხედავს სკოლის დაფინანსების სისტემაში თანასწორობის უზრუნველყოფის მექანიზმებს, საკმაოდ დამაფიქრებელია. სავარაუდოა, რომ მაშინ, როდესაც ყველა სკოლა და, შესაბამისად, ყველა დირექტორისთვის ერთნაირადაა სავალდებულო ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულება, მათი შეფასება სკოლების თანასწორობასთან დაკავშირებით შეიძლება ნეგატიურად აისახოს ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე. ამ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა დირექტორების მიერ დაფიქსირებული ღია პასუხებიც, სადაც საკმაოდ ხშირად ჩანს მოსაზრებები თანაბარი პასუხისმგებლობისა და არათანაბარი ფინანსური უზრუნველყოფის შესახებ. ღია კითხვაზე დაფიქსირებული პოზიცია სკოლების თანასწორობის შესახებ ქვემოთ უფრო დეტალურად არის განხილული.

იმისათვის, რომ უკეთ გაგვერკვია, თუ რა კონკრეტული ფაქტორები მოქმედებს დაფინანსების სისტემაზე, კითხვარში შევიტანეთ ის ძირითადი ფაქტორები/საკითხები, რომლებიც შეიძლება ურთიერთმიმართებაში იყოს დაფინანსების სისტემის ეფექტურობასთან. შეკითხვა ფაქტორების შესახებ ნეგატიური და პოზიტიური კუთხით იყო განხილული

და დირექტორებს აძლევდა საშუალებას ამგვარი ფაქტორები მათი ზემოქმედების/ მნიშვნელობის შესაბამისად მოენიშნათ მოცემულ კითხვარში.

კითხვა ნეგატიური ფაქტორების შესახებ დაფინანსების სისტემაზე მოქმედ ფაქტორებს მოიცავდა და ნეგატიურ ასპექტში იყო დასმული. პასუხები ამ კითხვაზე შემდეგნაირად გადანაწილდა:

ცხრილი 51. პასუხების გადანაწილება დაფინანსების სისტემაზე მოქმედი ნეგატიური ფაქტორების მიხედვით

		არ არის ჩემი სკოლისათვის რელევანტური	სრულიად არ მოქმედებს	მოქმედებს, მაგრამ უმნიშვნელოდ	საკმაოდ მოქმედებს	ძლიერად მოქმედებს
1	სკოლების ინდივიდუალური დაფინანსება (დაფინანსება არ გამოითვლება ფორმულის - 1-169 მოსწავლე- მიხედვით)	31.7	41.2	9.5	10.2	7.4
2	სოფელში/დაბაში მდებარეობა	21.1	51.4	11.3	9.5	6.7
3	ქალაქებში მდებარეობა	62.3	31.7	2.3	2.8	0.9
4	ის, რომ ერთზე მეტი შენობაა	58.1	28.5	3	6.5	3.9
5	ორ- და მეტსექტორიანია	76.9	20.4	0.5	1.6	0.7
6	მაღალმთიანი სკოლაა	60.2	26.2	3.2	5.3	5.1
7	მეტი IX-XII კლასის მოსწავლე მყავს	42.6	42.8	7.6	5.8	1.2
8	მეტი I-VIII კლასის მოსწავლე მყავს	26.9	50.9	13.2	8.1	0.9
9	1-დან 6-ის ჩათვლით შს მოსწავლე მყავს	73.1	25.9	0.5	0.5	0
10	7-დან 13-ის ჩათვლით შს მოსწავლე მყავს	73.1	25.9	0.5	0.5	0
11	14-დან 23-ის ჩათვლით შს მოსწავლე მყავს	75.9	23.8	0.2	0	0
12	23-ზე მეტი შს მოსწავლე მყავს	75.9	24.3	0.2	0	0
13	რეალურად, ერთი რომელიმე ფაქტორი არ განაპირობებს რთულ ფინანსურ მდგომარეობას, არამედ რამდენიმე ფაქტორი კომპლექსურად	65.3	10.0	5.0	9.5	10.3

როგორც პასუხებიდან იკვეთება, დირექტორების უმეტესი ნაწილი არც ერთ ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორს არ თვლის არსებითად ნეგატიურად, რაც შეიძლება შეესაბამებოდეს მათი პასუხების გადანაწილებას თანაბარი შესაძლებლობების შესახებ. დირექტორების 17%-ზე მეტს მიაჩნია, რომ მცირე სკოლების დაფინანსების სისტემა, რომელიც ფორმულის მიხედვით არ გამოითვლება, ნეგატიურად აისახება მათ თანაბარ შესაძლებლობებზე.

დაახლოებით 20%-ის აზრით კი მხოლოდ ერთი ფაქტორი არ განაპირობებს რთულ სკოლის ფინანსურ მდგომარეობას, არამედ პრობლემა უფრო სისტემურია. დირექტორების დაახლოებით 16 პროცენტი სოფლისა და დაბის სკოლებს და მათი დაფინანსების სისტემას მიიჩნევს სკოლების ფინანსურ მდგომარეობაზე მოქმედ ფაქტორად.

შემდეგი კითხვის საშუალებით გვინდოდა ასევე გაგვერკვია, თუ მიაჩნიათ დირექტორებს, რომ მოსწავლეების კონკრეტული რაოდენობა და არსებული დაფინანსების სისტემა რეალურად განაპირობებს სკოლების ეფექტურ ოპერირებას და რა იქნებოდა მოსწავლეების ოპტიმალური რიცხვი ამ შემთხვევაში. ცხრილში მოტანილია დირექტორების პასუხები, სადაც კარგად ჩანს, რომ დირექტორებს არა აქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული წარმოადგენა, თუ რა რაოდენობის მოსწავლეებისთვის იქნებოდა არსებული სისტემა ეფექტური. პასუხები ყველა შესაძლებელ ვარიანტზეა გადანაწილებული და ერთი ან რამდენიმე მკაფიოდ გამოხატული რაოდენობა არ არის მოცემული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე დიდი პროცენტი 400-ზე მეტ მოსწავლის შემთხვევაში დაფიქსირად, შესაბამისად, ყველაზე მეტი დირექტორი თვლის სწორედ ამ რაოდენობის მოსწავლეს რელევანტურად არსებული დაფინანსების პირობებში ყველაზე მეტად ეფექტური მუშაობისათვის.

ცხრილი 52. პასუხების გადანაწილება მოსწავლეების ოპტიმალურ რაოდენობასთან დაკავშირებით

	>20	>50	>100	>150	>200	400+	600+	800+	1000+	მხოლოდ დამატებითი დაფინანსების პირობებშია შესაძლებელი
აბსოლუტურად არარელევანტურია	67.1	53.2	40.7	38.7	41.4	41.0	46.1	50.5	53.2	54.6
ნაწილობრივ არარელევანტურია	6.5	17.6	20.4	18.5	17.1	15.5	11.3	9.5	7.2	4.6
აბსოლუტურად რელევანტურია	5.3	8.8	19.7	23.1	20.8	25.7	23.1	17.4	15.7	16.7
პასუხი არ არის	21.1	20.4	19.2	19.7	20.6	17.8	19.4	22.7	23.8	24.1

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დირექტორების 24.8% სხვა ვარიანტს განიხილავს არსებული დაფინანსების სისტემის მაქსიმალურად ეფექტური მუშაობისათვის ხელშემწყობად.

კითხვარის ერთ-ერთი კითხვა ასევე მოიცავდა სკოლებში მომუშავე პერსონალისა და მოსწავლეების შეფარდების შესაბამისობის შეფასებას. დირექტორების პასუხები ამ კითხვაზე დიაგრამაშია მოცემული:

დიაგრამა 33. დირექტორების პასუხები მოსწავლეებისა და სკოლის პერსონალის რაოდენობის შესაბამისობასთან დაკავშირებით



ის დირექტორები, რომლებიც თვლიან, რომ დაფინანსებისა და კადრების გადანაწილების პრობლემა მოსწავლეების რაოდენობასთან შესაბამისობაში ნაკლებადაა, თავიანთ არგუმენტებს შემდეგ კითხვაში კომენტარის სახით ხსნიან. მიუხედავად იმისა, რომ დირექტორების მეოთხედზე მეტი თვლის, რომ დაფინანსება და სასკოლო კადრების გადანაწილება აბსოლუტურ შესაბამისობაშია მოსწავლეების რაოდენობასთან, 374 დირექტორი აკეთებს კომენტარს, სადაც კონკრეტულ პრობლემას ასახელებს ერთი კონკრეტული ან რამდენიმე კუთხით.

ყველაზე ხშირია სკოლაში ტექნიკური პერსონალის არასაკმარის რაოდენობასთან დაკავშირებული კომენტარები; დირექტორები შეუსაბამოდ მიიჩნევენ მოსწავლეების რაოდენობის მიხედვით ტექნიკური პერსონალის რაოდენობის გამოთვლას.

ასევე არასწორად მიაჩნიათ მათ ადმინისტრაციული პერსონალის ხელფასის პირდაპირი დამოკიდებულება მოსწავლეების რაოდენობასთან, რადგან, მათი აზრით, მოსწავლეების მცირე რაოდენობა არ არის კავშირში ადმინისტრაციის ნაკლებ საქმიანობასთან.

დირექტორები ასევე აყენებენ სკოლის უფლებამოსილების საკითხს, მოიწვიოს სხვადასხვა მიმართულების ექსპერტი და პროფესიონალი, თუ დაფინანსება ამის საშუალებას იძლევა.

დირექტორები ფიქრობენ, რომ არსებული სისტემა არ იძლევა საშუალებას მოსწავლეებისა და მასწავლებლების რეკომენდებული შეფარდება დაიცვან და რიგ შემთხვევებში მოსწავლეები ერთ საკლასო ოთახში აღემატება რეკომენდებულს.

ხშირია საუბარი პედაგოგიური კადრების არასაკმარისობაზე ზოგადად.

კომენტარების ნაწილში დირექტორები საუბრობენ ბუნებრივი აირით გათბობისას არასაკმარის დაფინანსებაზეც.

ღია კითხვაში დირექტორი მიუთითებს: „ვერ ვხვდები, რა სისტემაა. დანამატები ცალკეა, ათასი საზომია და მაინც არათანაბარი დაფინანსებაა. არის სკოლები დეფიციტური, არიან სკოლები რომ არ იციან, თანხა სად წაიღონ. ე.ი მანკიერი სისტემაა“.

კითხვარში ასევე იყო კითხვა დამატებითი სახსრების მოზიდვასთან დაკავშირებულ შესაძლო შეზღუდვებთან დაკავშირებით; 432 დირექტორიდან მხოლოდ 10 (2.3%) უთითებს შეზღუდვების შესახებ.

შესყიდვებთან დაკავშირებულ სირთულეებთან დაკავშირებით დირექტორების 7.2% საუბრობს ამგვარ შეზღუდვებზე, ხოლო დირექტორების 92.1% კი აცხადებს, რომ ამგვარი შეზღუდვები არ ჰქონია.

ის დირექტორები, რომლებიც შესყიდვებთან დაკავშირებით გარკვეული შეზღუდვებზე საუბრობენ, განმარტავენ იმ კონკრეტულ შემთხვევებსაც, როდესაც ამას ჰქონდა ადგილი. ისინი მიუთითებენ, რომ ძირითადი პრობლემაა შესყიდვების შპს-სთან წარმოდგენის აუცილებლობა. სასოფლო დასახლებებში ამგვარი გამყიდველების პოვნა ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული.

დირექტორები ასევე საუბრობენ ყველა შესყიდვისათვის თბილისში ჩასვლის აუცილებლობაზე, რაც ძვირია და დამატებით დროსთან არის დაკავშირებული.

ერთ-ერთი დირექტორი საუბრობს სამინისტროდან თანხის დაგვიანებოთ ჩარიცხვაზე, რაც ართულებს შესყიდვის პროცედურას.

დირექტორები ასევე საუბრობენ ადგილობრივი კომპანიების მხრიდან სატენდერო წინადადებებში მონაწილეობის სურვილის არქონაზე, ინტერნეტთან დაკავშირებულ გაუმართაობებზე სატენდერო პროცესის მიმდინარეობისას და იმ დისკომფორტზე, რომელიც საქონლის თუ მომსახურების შესყიდვისათვის ფიქსირებული საფასურის დაწესებას უკავშირდება.

დირექტორების კითხვარი მოიცავდა კითხვას იმ კომპონენტის შესახებაც, რომელზეც გავლენა იქონია 2013 წლის დაფინანსების სისტემაში განხორციელებულმა ცვლილებებმა. ამასთან, დირექტორებს შეეძლოთ დაეფიქსირებინათ გავლენის ინტენსივობა ყველა ჩამოთვლილი ფაქტორიდან პრიორიტეტულის არჩევით. ქვევით მოცემულ ცხრილში მოცემულია დირექტორების პასუხების გადანაწილება პრიორიტეტების მიხედვით (პირველი სამი პრიორიტეტის მიხედვით). ცხრილის მიხედვით, დირექტორების ყველაზე დიდ რაოდენობას (44.3%-ს) მიაჩნია, რომ დაფინანსების ახალმა სისტემამ გავლენა მოსწავლეების მთლიან რაოდენობაზე მოახდინა. 25.7% ფიქრობს, რომ განხორციელებულმა ცვლილებებმა გავლენა სპეციფიკურად I-VIII კლასის მოსწავლეების დაფინანსებაზე იქონია, ხოლო თითქმის 20%-ის აზრით, ამგვარი გავლენა IX-XII კლასის მოსწავლეების დაფინანსების შემთხვევაშია საგრძნობი.

11.6% ცვლილებებს სკოლის ადგილმდებარეობას უკავშირებს. 15.3% თვლის, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა სკოლის ახალმა დაფინანსებამ ინკლუზიური მოსწავლეების დაფინანსებაზე მოახდინა. 16 პროცენტს უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა. იხ. ცხრილი ქვემოთ:

ცხრილი 53. პასუხების გადანაწილება კითხვაზე კომპონენტის შესახებ, რომლის დაფინანსებაზეც გავლენა იქონია 2013 წლის დაფინანსების სისტემაში განხორციელებულმა ცვლილებებმა

კომპონენტი	სერიოზული გავლენა	საკმაო გავლენა	მეტ-ნაკლები გავლენა
რამდენიმე სექტორის ქონა	15	2	3
რამდენიმე შენობის ქონა	35	12	3
მოსწავლეთა მთლიანი რაოდენობა	117	56	18
მოსწავლეების გადანაწილება I-VIII კლასებში	45	45	21
მოსწავლეების გადანაწილება IX-XII კლასებში	15	39	32
სკოლის ადგილმდებარეობა	10	24	16
ინკლუზიური მოსწავლეების რაოდენობა	40	19	7
მიჭირს პასუხის გაცემა/არ ვიცი/არ მახსოვს	69	0	0

დირექტორების კითხვარი ასევე მოიცავდა კითხვას იმ ფაქტორების შესახებ, რომლებზეც დაფინანსების ახალმა სისტემამ განსაკუთრებით ნეგატიური გავლენა მოახდინა. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს დირექტორების პასუხებს თითოეულ ფაქტორთან დაკავშირებით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დირექტორების ნახევარზე მეტი (57.17%) აცხადებს, რომ ახალ სისტემას საერთოდ არ ჰქონია ნეგატიური გავლენა.

დირექტორების 12% თვლის, რომ გარკვეული ნეგატიური გავლენა 2013 წლის ცვლილებამ მასწავლებლების პროფესიულ გადამზადებაზე მოახდინა, ხოლო 8.8% კი თვლის, რომ ნეგატიური გავლენა დამხმარე სასწავლო მასალების მოძიებასთანაა დაკავშირებული.

10%-ის აზრით, ცვლილებებს ნეგატიური გავლენა შენობა-ნაგებობებისა და სკოლის ინვენტარის შენარჩუნება-შენახვასთან დაკავშირებით აქვს.

20,4% თვლის, რომ დაფინანსების ახალმა სისტემამ განსაკუთრებით ნეგატიურად იმოქმედა სკოლის სხვადასხვა ხარისხის რემონტზე. დირექტორების 11.8% თვლის, რომ ახალი სისტემა ნეგატიურად აისახა სკოლისთვის ახალი საოფისე ინვენტარის შეძენისას, ხოლო 6.7%-ს მიაჩნია, რომ ახალი სისტემა ნეგატიურად აისახა დამატებითი გაკვეთილებისა და წრეების ფინანსური უზრუნველყოფისას, კომუნალური და გათბობის გადასახადის დაფარვისას. 6.9% ფიქრობს, რომ ახალი სისტემა პერსონალისთვის ადეკვატური ხელფასების გაცემაზე მოქმედებს უარყოფითად.

ცხრილი 54. პასუხების გადანაწილება იმ ფაქტორების შესახებ, რომლებზეც დაფინანსების ახალმა სისტემამ განსაკუთრებით ნეგატიური გავლენა მოახდინა

მოქმედი ფაქტორი	პასუხების გადანაწილება
მასწავლებლების პროფესიული გადამზადება	12.0%
დამხმარე სასწავლო მასალების მოძიება	8.8%
შენობა/ნაგებობებისა და სკოლის ინვენტარის შენარჩუნება/შენახვა	10.0%

შენობა/ნაგებობების/ოთახების რემონტი	20.4%
სკოლისთვის ახალი საოფისე ინვენტარის შეძენა	11.8%
დამატებითი გაკვეთილები და წრეები მოსწავლეებისათვის	6.7%
კომუნალური გადასახადები, გათბობის გადასახადი	6.7%
პერსონალისთვის ადეკვატური ხელფასების გაცემა	6.9%
არ გამოწვევია ნეგატიური ცვლილება	57.4%
უარი პასუხზე	5.1%

თქვენი აზრით, დაფინანსების რომელი ფაქტორი შეიცვალა სასიკეთოდ 2010-დან 2013 წლამდე დაფინანსებაში? - ამ კითხვაზე პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: დირექტორების 43.1% თვლის, რომ ცვლილებები ძალიან თვალსაჩინოა, 1.4%-მა კითხვას არ უპასუხა. დირექტორების 35.2%-ს მიაჩნია, რომ ცვლილებები არცთუ ისე თვალსაჩინოა, 15%-ის აზრით, ცვლილებები საკმაოდ ცოტაა, 5.4%-ის აზრით, რეალურად ცვლილება არ მომხდარა. 0.5% განხორციელებულ ცვლილებებს ნეგატიურად ახასიათებს. მთლიანობაში დირექტორების 55.5% არ თვლის 2010-13 წლებში განხორციელებულ ცვლილებებს ეფექტურად ან საკმარისად ეფექტურად.

დიაგრამა 34. პასუხების განაწილება 2010-13 წლებში სკოლის დაფინანსების სისტემაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ



კითხვარის საშუალებით ასევე გვინდოდა გაგვერკვია დირექტორების აზრი კონკრეტული ფაქტორების დაფინანსების და იმ ცვლილებების მიმართ, რომლებიც 2013 წელს განხორციელდა სკოლების დაფინანსების სისტემაში.

„თქვენი აზრით, დაფინანსების რომელი ფაქტორი შეიცვალა სასიკეთოდ 2010-დან 2013 წლამდე დაფინანსებაში? – ამ კითხვაზე პასუხები ასეთი იყო:

ცხრილი 55. ფაქტორები, რომელთა დაფინანსებაზე იქონია გავლენა 2010-2013 წლის დაფინანსების სისტემაში განხორციელებულმა ცვლილებებმა

ფაქტორი		გადაწილება
1	დაფინანსება (-170 მოსწავლეების სკოლებისთვის, რომლებიც მოსწავლეების რაოდენობაზე არაა მიბმული)	11.15%
2	I-VIII კლასის მოსწავლეებზე განსაზღვრული ვაუჩერი	5.36%
3	IX-XII კლასის მოსწავლეებზე განსაზღვრული ვაუჩერი	4.45%
4	საბაზისო დაფიანანსება, რომელიც ვაუჩერის გარდა, სკოლას ერიცხება	5.09%
5	ადგილმდებარეობის მიხედვით გამოყოფილი კოეფიციენტი	2.68%
6	დამატებით შენობაზე გამოყოფილი კოეფიციენტი	2.20%
7	დამატებით სექტორზე გამოყოფილი კოეფიციენტი	0.64%
8	მასწავლებლების სერტიფიცირებისა და საგნობრივი მაჩვენებლების მიხედვით გამოყოფილი სკოლის დაფინანსების გარეთ არსებული თანხები	8.63%
9	სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების რაოდენობის მიხედვით გამოყოფილი თანხა	6.22%
10	სხვა ფაქტორი (დააზუსტეთ)	17.20%
11	სასიკეთო ცვლილება არ მომხდარა	1.34%

მცირეკონტინგენტიანი სკოლების დაფინანსების ფაქტორს ყველაზე მეტი დირექტორი აფასებს პოზიტიურად; კლასების მიხედვით ვაუჩერული დაფინანსების გაუმჯობესებაზე საერთო ჯამში 9.9 პროცენტი საუბრობს; მესამე, ყველაზე ხშირად დასახელებული პოზიტიური გაუმჯობესებაა მასწავლებლების დამატებითი დაფინანსების სისტემა (8.63%).

რეალურად, ყველაზე ხშირად დირექტორები სხვა ფაქტორებზე საუბრობენ. საგულისხმოა, რომ „სხვა“ ფაქტორების დასახელების დროს დირექტორები არა პოზიტიურ, არამედ პრობლემურ მხარეებზე საუბრობენ და ღია კითხვებში დაფინანსების სისტემის სისუსტედ რამდენიმე სექტორის ქონას თვლიან.

დირექტორების ნაწილი ასევე საუბრობს ტენდენციაზე, როდესაც სკოლებს აქვთ უარესი ფინანსური მდგომარეობა, რადგან მოსწავლეები არავაუჩერული დაფინანსების ზღვარზე იმყოფებიან.

დირექტორების აზრით, ინკლუზიური განათლების დადებითი მხარის მიუხედავად, უარყოფითი ფაქტორია ის, რომ სკოლებს არა აქვთ სათანადო სპეციალისტების აყვანის საშუალება.

დირექტორები ასევე თვლიან, რომ ჩამოთვლილი პრობლემები მანამდეც არსებობდა და ამ მხრივ არაფერი შეცვლილა.

კითხვარში ასევე იყო მოცემული კონკრეტული კითხვები იმ ხარჯებთან დაკავშირებით, რომლებიც წინა პერიოდში სკოლების ნაწილისათვის საკმაო სიძნელეს წარმოადგენდა. „მოახერხეთ თუ არა, გადაგეხადათ სკოლის გათბობის ან სხვა კომუნალური გადასახადი შემდეგი 2 ზამთრის სეზონებზე?“ - ამ კითხვაზე პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

ცხრილი 56. გათბობის საკითხებთან დაკავშირებული პასუხების გადანაწილება წლების მიხედვით

	კონკრეტული სეზონი	დიახ	არა
1	2011-2012 წლის (ზამთრის სეზონი)	97.2	2.8
2	2012-2013 წლის (ზამთრის სეზონი)	96.5	3.5

დირექტორებს ასევე ვთხოვეთ დაეკონკრეტებინათ, რა იყოს შეფერხების მიზეზი. ქვემოთ წარმოდგენილი პასუხების მიხედვით ნათელია, რომ შეფერხებები ფინანსურ პრობლემებს უკავშირდება:

ცხრილი 57. კონკრეტული პასუხები სკოლის გათბობასთან წარმოშობილ პრობლემებთან დაკავშირებით

პასუხები
თანხა არ გვქონდა. (80%)
სკოლაში დამონტაჟდა გათბობის ცენტრალური სისტემა, რამაც მკვეთრად გაზარდა კომუნალური ხარჯი.
სკოლა გათვლილია 1300 მოსწავლეზე, ვაუჩერიც შესაბამისად მოდის, სკოლის ფართობი მეტია მოსწავლეთა რაოდენობაზე.
სამინისტრომ გადაგვიხადა, თანხა არ არის საკმარისი.
საკმარისი თანხა არ მომცეს სკოლის გათბობისთვის, 5000-ს ვითხოვდი და 2000 გამომიგზავნეს.
მოსწავლეთა და ვაუჩერის მცირე რაოდენობა.
კომუნალურების გადახდა (განსაკუთრებით შეშა და დიზელი) ძალიან გვიჭირს.
დიდთოვლობის გამო შეშა ვერ შემოვიტანეთ, თუმცა სასწავლო პროცესი არ შეფერხებულა.
ბიუჯეტიდან თანხა არ ეყო და ნაშთიდან მოხერხდა ამის გადახდა, თუმცა წელს ვერ მოხერხდება.
გაზის გათბობის გამო.

სკოლის დირექტორებმა ასევე უპასუხეს კითხვას, თუ როგორ მოხერხდა არსებული პრობლემის გადაჭრა:

ცხრილი 58. კონკრეტული პასუხები სკოლის გათბობასთან წარმოშობილი პრობლემების გადაჭრის გზებთან დაკავშირებით

პრობლემის გადაჭრის გზა	რაოდენობა
თვითმმართველობამ დაგვიფარა.	1
თანხა არ გვქონდა და სამინისტრო დაგვეხმარა.	5
შაშკინის დროს ხელფასებზე დაკლებით გადაიხადეს კომუნალურები (გვითხრა შაშკინმა, რომ ჯიბიდან ამოიღეთ და ისე გადაიხადეთო, ჰოდა, ჩვენც ამოვიღეთ და გადავიხადეთ).	1
მშობლებს მოჰქონდათ შეშა.	1
კერძო სახსრებით.	1
ახლა გრაფიკის მიხედვით ვიხდით.	1

კითხვარი ასევე მოიცავდა კითხვას განახლებული ფორმულის შედეგად სკოლის მენეჯმენტში ცვლილებების გამოწვევასთან დაკავშირებით. პასუხები კითხვებზე შემდეგნაირად გადანაწილდა:

ცხრილი 59. პასუხების გადანაწილება კითხვაზე „შემოიტანა თუ არა განახლებულმა ფორმულამ ცვლილება სკოლის მენეჯმენტში"

დიახ	39.1
დიახ, ნაწილობრივ	23.1
არა	34.0
უარი პასუხზე	3.7
მიჭირს პასუხის გაცემა/არ ვიცი/არ მახსოვს	5

დაფინანსების ფორმულის ცვლილებებთან ერთად დირექტორების 62.2% საუბრობს განხორციელებული ან ნაწილობრივი ცვლილებების შესახებ. შესაბამისად, 253 დირექტორი განმარტავს, თუ რა ტიპის ცვლილებები განხორციელდა.

დირექტორების 78% საუბრობს ხელფასის ზრდასა და შტატების მატებაზე, 3% კი ინკლუზიური განათლებისათვის სპეციალური მასწავლებლების დამატებაზე სკოლაში. დირექტორები ასევე საუბრობენ ადმინისტრაციული კადრების შემცირებაზე (7.5%). დაკონკრეტების დროს დირექტორები ასევე საუბრობენ ტექნიკური პერსონალის მატებასა ან დაკლებასთან დაკავშირებით (6.7%). დირექტორების დაახლოებით 4% საუბრობს ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ საკითხებზე და პერსონალის საკმარის ან არასაკმარის რაოდენობას უკავშირებს ამ საკითხს.

გაზარდა თუ არა განახლებულმა ფორმულამ სკოლის ავტონომია?-ამ კითხვას დირექტორების ¾ დადებითად პასუხობს. აქედან ნახევარზე მეტი თვლის, რომ დამოუკიდებლობა გაიზარდა, ხოლო დაახლოებით 20% კი თვლის, რომ ნაწილობრივ გაიზარდა (იხ. ცხრილი)

ცხრილი 60. პასუხების გადანაწილება სკოლის დამოუკიდებლობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით

დიახ	54.4
დიახ, ნაწილობრივ	19.4
არა	24.3
უარი პასუხზე	1.8

დირექტორებს ასევე ვთხოვეთ დაეკონკრეტებინათ, თუ რა კუთხით გრძნობენ ისინი მეტ დამოუკიდებლობას. პასუხები საკმაოდ ჰომოგენურია და მეტწილად მოიცავს პასუხებს ბიუჯეტის დაგეგმვისა და განკარგვის დროს დამოუკიდებლობის შესახებ. 262-დან 4 დირექტორი საუბრობს, რომ შეზღუდვები არც ადრე ყოფილა და არც განახლებული ფორმულის შემთხვევაშია თვალსაჩინო.

სულ ბოლოს დირექტორებს მივეცით ღია კითხვა დაფინანსების სისტემაში არსებული ხარვეზების შესახებ.

კითხვაზე პასუხი 373 დირექტორმა დააფიქსირა. დირექტორების 10.2 პროცენტი საუბრობს, რომ დაფინანსების ამ სისტემას ხარვეზი არ გააჩნია; 34.8% დირექტორი დაფინანსების არასაკმარისობაზე აკეთებს აქცენტს; 16.3% დირექტორი საუბრობს ვაუჩერული სისტემის არარელევანტურობაზე და თვლის, რომ სკოლის დაფინანსება არ უნდა იყოს მიბმული მოსწავლეების რაოდენობაზე; 7.8% საუბრობს კომპლექტ-კლასების არაეფექტურობაზე; 11.8% ფინანსების არასაკმარისობას შტატების სიმცირეს და შესაბამისად, სწავლების დაბალ ხარისხს უკავშირებს; დირექტორების 18.5% ერთდროულად რამდენიმე ხარვეზს ასახელებს, რომელიც დაფინანსების ნაკლებობას, კომლექტ-კლასებს, კომუნალური გადასახადების გადახდის სირთულეებს, არასაკმარისი რაოდენობის პედაგოგებს, ტექნიკურ და ადმინისტრაციულ კადრებს ასახელებს. პასუხების დაახლოებით 10% ინდივიდუალურ შემთხვევებზე ამახვილებს ყურადღებას ან რეპლიკის ტიპის კომენტარს აკეთებს, როგორებიცაა, მაგალითად, შენობის მძიმე მდგომარეობა, სპორტული დარბაზის შეკეთების აუცილებლობა, კლასგარეშე აქტივობებისათვის თანხებისა და რესურსების უქონლობა, ლაბორატორიების უქონლობა და ა.შ.

დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ დირექტორების უმრავლესობას დაფინანსების სისტემასთან დაკავშირებით გარკვეული მოსაზრებები და წარმოდგენები გააჩნია, თუმცა მკაფიოდ ჩამოყალიბებული დამოკიდებულება კონკრეტულ ასპექტებთან ნაკლებად არის წარმოჩენილი.

დირექტორების პროფესიული განვითარება.

გამოკითხულ დირექტორთაგან 197 სერტიფიცირებულია, ხოლო დანარჩენი 235 კი არასერტიფიცირებული, ამასთან, 304 დირექტორს გავლილი აქვს სერტიფიცირების გამოცდისათვის პროფესიული ტრენინგი, ხოლო 102 დირექტორს კი ეს არ გაუვლია. 26 დირექტორმა პასუხს თავი აარიდა. კითხვაზე, რამდენად საჭიროდ მიაჩნიათ პროფესიული განვითარებისათვის სხვადასხვა ტრენინგი, 357 დირექტორი აცხადებს, რომ სჭირდებათ ის, 51 ამის აუცილებლობას ვერ ხედავს, ხოლო 24 დირექტორი კი კითხვას უპასუხოდ ტოვებს.

კითხვაზე, **„სჭირდებათ თუ არა გადამზადება/დამატებითი უნარების ან ცოდნის ათვისება იმისათვის, რომ უფრო ეფექტურად შეძლონ სკოლის ბიუჯეტის მართვა ან დამატებითი ფინანსების მოზიდვა“** დირექტორების 88.7% (383) აცხადებს, რომ სჭირდება ეს, ხოლო 11.3 პროცენტი (49 დირექტორი) კი ამაზე უარს აცხადებს.

ცხრილი 61. პასუხების გადანაწილება დამატებითი უნარების ათვისების საჭიროებასთან დაკავშირებით

	ბიუჯეტის დაგეგმვა, ბიუჯეტირება	შესყიდვებთან დაკავშირებული პროცედურები	ხარჯების პროგნოზირება და ანალიზი	ფინანსური რისკ-მენეჯმენტი	შემოსავლისა და გასავლის მონიტორინგი	თანხების მოძიება	ფინანსების ეფექტური განკარგვა	ფინანსური ანგარიშგება	სკოლის დაფინანსების სისტემის პრინციპები
პასუხისგან თავი შეიკავა	7.1%	10.2%	10.2%	13.4%	12.4%	9.5%	10.8%	13.4%	12.9%
ვერ დამეხმარებოდა	11.1%	13.0%	20.4%	11.1%	13.0%	13.0%	1.9%	9.3%	7.4%
დამეხმარებოდა	17.1%	12.7%	13.1%	7.7%	9.3%	12.1%	11.1%	8.5%	8.4%
ძალიან მჭირდება	18.9%	12.0%	9.9%	6.9%	8.0%	17.2%	13.8%	5.3%	8.0%

რაც შეეხება ეფექტური ფინანსური მენეჯმენტის კონკრეტულ უნარებს, დირექტორების ყველაზე დიდი პროცენტი ბიუჯეტის დაგეგმვაში უნარების ამაღლებას მიიჩნევს პრიორიტეტულად (36%), ხოლო დირექტორების თითქმის 30% კი თანხების მოძიებისათვის უნარების ამაღლებას თვლის საჭიროდ. ასევე სასარგებლოდ თვლიან დირექტორები ფინანსების განკარგვის უნარებსა (24.7%) და შესყიდვებთან დაკავშირებული პროცედურების უკეთეს ცოდნას (24.9%).

გარდა სპეციფიკური ცოდნისა და უნარებისა, რომლებიც ფინანსების ეფექტურ მართვასა და განკარგვას უკავშირდება, კითხვარის საშუალებით ასევე გვინდოდა დაგვედგინა, თუ რა ტიპის კომპეტენციები შეიძლებოდა სასარგებლოდ მიეჩნიათ დირექტორებს სკოლის ეფექტური მართვის უნარების გასაუმჯობესებლად. ქვემოთ მოცემულ ცხრილში დირექტორების პასუხები პრიორიტეტების მიხედვითაა დალაგებული, სადაც ძალიან პრიორიტეტულია 1 და ნაკლებ პრიორიტეტული - 6.

ცხრილი 62. პასუხების გადანაწილება ფინანსურ მართვასთან არაპირდაპირ კავშირში მყოფი დამატებითი უნარების ათვისების საჭიროებასთან დაკავშირებით

საკითხები	**11**	**22**	**33**	**44**	**55**	**66**	**არ უპასუხა**
დროის მენეჯმენტი	17.8	14.6	13.2	12.5	12.0	2.8	27.1
უცხო ენა (ინგლისური)	15.3	13.0	13.7	10.0	8.8	5.6	33.8
საპროექტო განაცხადების შემუშავება	20.4	21.8	15.0	9.5	9.7	2.1	21.5
მოლაპარაკების ხელოვნება	6.7	12.0	12.3	16.9	13.9	3.0	35.2
თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, (სოციალური ქსელები, ონლაინ აპლიკაციები, ე-კონფერენციების ორგანიზება და მონაწილეობა, ბლოგის შექმნა და მართვა, ა.შ.)	21.3	17.1	17.6	10.2	9.5	1.4	22.9
მოლაპარაკება და კონფლიქტის მენეჯემენტი	4.2	6.0	10.6	14.1	16.0	6.9	42.1

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მეტად დირექტორებს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კუთხით სურთ ცოდნის გაღრმავება, თუმცა ასევე დიდია საპროექტო განაცხადების შემუშავების უნარების გაუმჯობესების სურვილიც. მესამე პრიორიტეტული უნარი დირექტორებისათვის დროის მენეჯმენტია. დირექტორებს ასევე შეეძლოთ „სხვა“ ვარიანტში საკუთარი პრიორიტეტი დაეფიქსირებინათ. სადაც შემდეგი ტიპის სურვილები დაფიქსირდა:

„სადირექტორო სკოლა, სადაც შევისწავლით ამ ყველაფერს და მართვას. ამდენი წვალება და გამოცდა რომ არ იყოს საჭირო.“

„მენეჯმენტის მოდელი, გათვლილი სისტემა ბავშვთა დახმარების საჭიროებებზე. ესტონეთში მასტერ-ტრენინგი ანალოგიური სკოლის მენეჯმენტი.“

„სახელმწიფო ენა“ - 2 დირექტორი.

ამრიგად, დირექტორები მზად არიან პროფესიული და ზოგადი უნარების განვითარებისათვის და ცხადად ხედავენ იმ საკითხებს, რომლებიც განსაკუთრებით ეფექტური იქნებოდა მათი წარმატებული პროფესიული საქმიანობისათვის.

სკოლის მართვის ზოგადი საკითხები.

კითხვარის ბოლო სექცია სკოლის მართვის ზოგად საკითხებს მიმოიხილავდა და ისეთ საკითხებზე იყო ფოკუსირებული, როგორიცაა, მაგალითად, ფინანსური მართვისა და განკარგვის წილი დირექტორის მთლიან საქმიანობაში, ის სიძნელეები, რომლებიც სკოლის მართვაზე უარყოფითად მოქმედებენ და ა.შ.

„როგორც სკოლის დირექტორი, მთელი სასწავლო წლის განმავლობაში დროის რა ნაწილს უთმობთ ქვემოთ მოცემული ამოცანების შესრულებას სკოლაში?“ - ამ კითხვაზე პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

ცხრილი 63. პასუხების გადანაწილება დირექტორების მიერ სხვადასხვა მიმართულების სამუშაოზე დროის გადანაწილებასთან დაკავშირებით

შიდა ადმინისტრაციული ამოცანები, მოიცავს ადამიანურ რესურსებს/პერსონალის საკითხებს, რეგულაციებს, ცხრილებს	30.6
სკოლის ფინანსური საკითხები (ხარჯების პრიორიტიზება და დაგეგმვა, სკოლის ბიუჯეტი,)	6.9
სასწავლო გეგმა და სწავლებასთან დაკავშირებული ამოცანები (მოიცავს სწავლებას, გაკვეთილების მომზადებას, საკლასო დაკვირვებებს, მასწავლებელთა კონსულტირებას)	53.2
ადგილობრივი, სახელმწიფო და ეროვნული საგანმანათლებლო მოხელეების მოთხოვნების დაკმაყოფილება	3.5
სკოლის წარმოდგენა საზოგადოებრივ შეხვედრებზე	4.2

დირექტორები მთელი დროის ნახევარზე მეტს სასწავლო გეგმასა და სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებულ ამოცანებს უთმობენ. შიდა ადმინისტრაციულ ამოცანებს, რომლებიც ადამიანური რესურსების მართვის საკითხებს მოიცავს მეტწილად დირექტორებს დროის

დაახლოებით 30% ეხარჯებათ. ფინანსურ საკითხებს ისინი დროის 6.9%-ს უთმობენ. ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე საგანმანათლებლო უწყებებთან ურთიერთობას და სხვადასხვა საკითხების მიმოხილვას დროის დაახლოებით 3.5% ეთმობა, ხოლო სკოლის წარმოდგენას საზოგადობრივ შეხვედრებზე კი მეტი დრო - 4.2%.

თავისთავად ცხადია, რომ დირექტორების საქმიანობის ამგვარი გადანაწილება პირობითია და ზუსტად ვერ ასახავს იმ ურთიერთმიმართებას, რაც დირექტორების საქმიანობის სხვადასხვა ასპექტს შორის არსებობს. მაგალითისათვის, კითხვარების შევსებაზე მუშაობის პროცესში დირექტორებს სთხოვეს, რომ საზოგადოებრივ შეხვედრებზე სკოლის წარდგენის რამდენიმე მაგალითი მოეყვანათ, რაც რიგ შემთხვევებში საკმაოდ რთული აღმოჩნდა. მეორე მხრივ, დირექტორების ღია კითხვებში ხშირად გაჟღერდა უკმაყოფილება სხვადასხვა ფინანსურ საკითხებთან, მათ შორის შესყიდვებთან დაკავშირებით რეგიონში ან დედაქალაქში მივლინებასთან და დაკარგულ დროსა და ფინანსებთან დაკავშირებით. ასევე რთული გასაანალიზებელია, რამდენად მკვეთრად არის გამიჯნული ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების საკითხები ფინანსური ოპერაციებისგან, რომლებიც იმავე პერსონალის ანაზღაურებას უკავშირდება, თუმცა მთლიანობაში კითხვარში სხვადასხვა საქმიანობაზე გადანაწილებული დროის წილი გამოხატავს იმ დამოკიდებულებას, რომელიც დირექტორებს გააჩნიათ საკუთარი საქმიანობის თითოეული ასპექტის პრიორიტეტულობასთან დაკავშირებით.

შემდეგი კითხვა იმ ფაქტორებს ეხებოდა, რომლებსაც სასწავლო პროცესის შეფერხება შეიძლება გამოეწვია. პასუხები კითხვაზე შემდეგნაირად გადანაწილდა:

ცხრილი 64. პასუხების გადანაწილება კითხვაზე ფაქტორთან დაკავშირებით, რომლებიც სასწავლო პროცესის შეფერხებას შეიძლება იწვევდნენ

	კვალიფიცირებული მასწავლებლების სიმცირე	მასწავლებელთა დაბალი ხელფასი	არასაკმარისი დაფინანსება	ლაბორატორიული ტექნიკის სიმცირე	სასწავლო პროცესებში დამხმარე პერსონალის ნაკლებობა	სხვა დამხმარე პერსონალის ნაკლებობა	სასწავლო მასალების ნაკლებობა ან არაადეკვატურობა	სასწავლო კომპიუტერების ნაკლებობა	სხვა აღჭურვილობების ნაკლებობა ან არაადეკვატურობა	ბიბლიოთეკის მასალების ნაკლებობა ან არაადეკვატურობა
საერთოდ არ მოქმედებს	31.9	16.0	29.4	11.8	29.4	37.7	22.0	37.0	25.0	25.2
მცირედ	19.7	21.1	17.6	12.5	21.8	22.0	20.6	20.1	20.8	20.1
რამდენადმე	36.1	43.8	32.4	22.2	26.9	27.1	40.0	26.4	33.1	31.9
ძალიან მოქმედებს	12.3	19.2	20.6	53.5	22.0	13.2	17.4	16.4	21.1	22.7

პასუხებიდან ცხადია, რომ დირექტორების უმრავლესობა სასკოლო ინვენტარისა და აღჭურვილობის, ადეკვატური სასწავლო გარემოს სიმცირეს ძირითად დაბრკოლებად

მიიჩნევს (ლაბორატორიები და ტექნიკა - 53.5%, ბიბლიოთეკა - 22.7%, სხვადასხვა აღჭურვილობა -21.1%). საგულისხმოა, რომ ამ კონკრეტულ კითხვაში, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი შესაძლო ვარიანტი არასაკმარისი დაფინანსება იყო მოცემული, დირექტორებმა მაინც კონკრეტულ ფაქტორებზე გააკეთეს აქცენტები. „რამდენადმე მოქმედებს" ვარიანტისათვის ყველაზე მაღალი პროცენტი მასწავლებლების დაბალ ხელფასზე მოდის (43.8%), სასწავლო მასალების ნაკლებობა (40%), კვალიფიციური მასწავლებლების სიმცირე (36.1%). დირექტორების 37.7% თვლის, რომ დამხმარე პერსონალის ნაკლებობა საერთოდ არ მოქმედებს სასწავლო პროცესის შეფერხებაზე.

კითხვარის ბოლოს, დირექტორებს საშუალება ეძლეოდათ დაეფიქსირებინათ იმგვარი მოსაზრებები, რომელთა გამოხატვის საშუალება კითხვარში არ მიეცათ. ღია კითხვაზე საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების სურვილი 103 დირექტორს გაუჩნდა. პასუხები ძალიან მრავალფეროვანია და კონკრეტული სკოლის კონკრეტულ საჭიროებებს აღწერს. მათ შორის განსაკუთრებით ხშირადაა საუბარი ამორტიზებულ ან ძლიერ გასარემონტებელ სკოლის შენობაზე, ასევე კონკრეტულ ფინანსურ საქმიანობის შეფერხებაზე დოკუმენტაციის წარდგენის ან წარმოების სიძნელეების გამო. რეალურად, ყველაზე ხშირად ფინანსების არასაკმარისობაზეა საუბარი, რომელიც სწავლების ხარისხს, პერსონალის ნაკლებობას, არასაკმარის ხელფასებს, არაადეკვატურ სასწავლო გარემოს, მოსწავლეების გადინებას, ზამთარში გათბობის პრობლემებს, ინკლუზიური განათლების სათანადო განხორციელებისათვის სპეციალური მასწავლებლის არყოლას უკავშირდება. ამ მხრივ ღია კითხვა საგულისხმო აღმოჩნდა, რადგან დირექტორებმა ამ შემთხვევაში ბევრად მარტივად შეძლეს იმ პრობლემების დაფიქსირება, რომლებიც მათი კონკრეტული შემთხვევისთვისაა დამახასიათებელი და რომლებიც მეტწილად ერთმანეთის მსგავსია.

კითხვარების შედეგად მიღებული ინფორმაციის შედარება/შეპირისპირება და სინთეზი კვლევის სხვა შედეგებთან საბოლოო დასკვნებისა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების საშუალებას იძლევა.

თავი 8.
რეკომენდაციები პოლიტიკის გასაუმჯობესებლად

კვლევის შედეგებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა წარმოაჩინა, რომელიც მეტადრე განათლების პოლიტიკას და მის შესაბამის დაფინანსებას უკავშირდება. მთავარი და ზოგადი პრობლემა, რომელიც სისტემას ახასიათებს, არის მისი გაუმართაობა სტრუქტურული და ინსტიტუციური თვალსაზრისით. შესაბამისად, რაოდენ ეფექტური დაფინანსებაც არ უნდა მოახდინო არაეფექტური სტრუქტურის და სისტემის პირობებში გრძელვადიან და რეალური შედეგების მიღწევა შეუძლებელია. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია დაფინანსების საკითხი და მეთოდოლოგია ზოგადად განათლების პოლიტიკას დაუკავშირდეს და ამ პოლიტიკიდან და რეფორმიდან გამომდინარეობდეს. მაგალითად, არაქართულენოვანი სკოლების დაფინანსება მიებას არაქართულენოვანი სკოლების რეფორმირებას ამ სკოლების ლინგვისტური საჭიროებებიდან გამომდინარე. მთის და მცირეკონტინგენტიანი სკოლების დაფინანსება მიებას ამ სკოლების რეფორმირებას და ხარისხის გაზრდას, კერძო სკოლების დაფინანსება მიებას კერძო სექტორის განვითარების, სკოლის არჩევანის შესაძლებლობების გაზრდის და სკოლებს შორის კონკურენციის გზით განათლების ხარისხის გაუმჯობესების რეფორმებს. აღნიშნული ურთიერკავშირის გარეშე დაფინანსების რაოდენობრივი ზრდა ვერანაირ ეფექტს ვერ მოიტანს და პირუკუ, უდიდესი დანახარჯების მიუხედავად, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს რეალურად ხარისხიან განათლებას.

განათლების რეფორმისა და პოლიტიკის და დაფინანსების ურთიერთკავშირის გარდა უმნიშვნელოვანესია სახელმწიფომ გაზარდოს განათლების სფეროს დაფინანსება მთლიან შიდა პროდუქტთან და სახელმწიფო ბიუჯეტთან მიმართებით და მეტ-ნაკლებად მიახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს.

ზოგადთან ერთად მნიშვნელოვანია კონკრეტული რეკომენდაციებიც. ამ თვალსაზრისით კი კვლევამ განათლების პოლიტიკისა და დაფინანსების სამი მთავარი მიმართულება გამოავლინა და, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, რეკომენდაციებიც ამ სამი მიმართულებით შემუშავდა:

(ა) კერძო სკოლების დაფინანსება განათლების პოლიტიკის გაცხადებული მიზნების მისაღწევად;

(ბ) არაქართულენოვანი სკოლების დაფინანსება მათი ლინგვისტური საჭიროებებიდან გამომდინარე;

(გ) მცირეკონტინგენტიანი (1-169) სკოლების დაფინანსება.

ქვემოთ გთავაზობთ რეკომენდაციებს თითოეული მიმართულებით და მათ კავშირს კვლევის შედეგებთან.

კერძო სკოლების დაფინანსება:

1. კერძო სექტორის წახალისება და საჭიროებაზე მორგებული მოდელის ამუშავება კერძო სკოლებისთვის. აღნიშნული მნიშვნელოვანია, რადგან კვლევამ აჩვენა, რომ სკოლები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან სწავლის გადასახადების მიხედვით; განსაკუთრებით თვალშისაცემია განსხვავება თბილისსა და რეგიონებს შორის. არცთუ იშვიათად სახელმწიფო დამატებითი თანხებით უზრუნველყოფს სკოლებს, რომელთაც ამის საჭიროება არ გააჩნიათ, ხოლო რეალური ფინანსური პრობლემების მქონე სკოლებისთვის კი სახელმწიფოს მიერ გაცემული თანხა არასაკმარისია. შესაბამისად, არსებული დაფინანსება სისტემით ხელს ვერ უწყობს ამ სექტორის განვითარებას და მნიშვნელოვანია ამ თანხების ოპტიმალური, შედეგზე გათვალისწინებით გადანაწილება;

